

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

## ფაუსტი (პირველი ნაწილი)

პირველი ნაწილი

სერია „მსოფლიო კლასიკა“

### წინათქმა

გოეთეს „ფაუსტი“ გერმანულენოვანი ლიტერატურის ყველაზე მაღალ ქმნილებად არის მიჩნეული და მას მსოფლიო კლასიკის უპირველეს ძეგლთა შორის მკვიდრი ადგილი უკავია. პოეტურ ძალმოსილებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ ხშირად ხმარებული სიტყვა „ფაუსტური“ ევროპული აზროვნების ყველაზე ნიშანდობლივ თავისებურებებს მოიცავს. არც ის არის ნაკლებმნიშვნელოვანი, რომ ფაუსტისა და მეფისტოფელის, ცენტრალური წყვილის, ფიგურები დიდი ხანია გასცდნენ ნაწარმოების ფარგლებს და დამოუკიდებელი ცხოვრება მოიპოვეს, კაცობრიობის ეგრეთ წოდებულ „მარადიულ თანამგზავრთა“ მცირერიცხოვან დასში დაიდეს ბინა.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749-1832) „ფაუსტზე“ ადრეული სიჭაბუკიდან მუშაობდა და საბოლოო წერტილი გარდაცვალებამდე ათი დღით ადრე დასვა. ცხადია, მთელი სიცოცხლე მხოლოდ ამ ნაწარმოებისთვის არ შეუღევია, თუმცა პერიოდულად უბრუნდებოდა.

სიუჟეტი თავად გოეთეს არ ეკუთვნის, ლეგენდები დოქტორ ფაუსტზე გერმანიაში ფართოდ იყო გავრცელებული და თოჯინური წარმოდგენებიც ხშირად იმართებოდა. ახალი ვერსიის ავტორმა ზოგიერთი ცვლილება, რასაკვირველია, სიუჟეტშიც შეიტანა, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ მასზე სულ სხვა რიგის მენობა ააგო, პერსონაჟთა სახეებსაც და მთელ მოქმედებასაც სხვა სიღრმე და სიმაღლე შესძინა. ერთი უმნიშვნელო ალქიმიკოსისა თუ ჯადოქრის ტრაგიკომიკური გზა უმაღლეს სულიერ ფასეულობათა ძიების ეპოქალურ გზად აქცია.

გოეთესა და მის „ფაუსტზე“ ზღვა ლიტერატურა არსებობს, სურვილის შემთხვევაში არც ქართულად გაჭირდება საინტერესო გამოკვლევის მიგნება, ამიტომ ამ მცირე შესავლისათვის უფრო მართებული იქნება, ამოუწურავ საკითხთა გამოდევნებაზე ხელი ავიღოთ და ორიოდ სიტყვით მოვნიშნოთ, რას უნდა მოველოდეთ და რას არა ამ წიგნისგან.

უმეტესნი მოელიან, რომ კიდევ ერთ შექსპირულ დრამას წაიკითხავენ და, როცა ვერც სცენური ინტრიგების ხლართებს წააწყდებიან, ვერც ბაროკოულ ხვავრიელ მეტაფორისტიკას, დაბნეულნი რჩებიან და, შესაბამისად, ღირსებების დანახვაც საკმაოდ უჭირთ. კაცმა რომ თქვას, ასეთი მოლოდინი ცოტაოდენ ნაივრობასაც გულისხმობს: მართლაცდა, რა ფასი ექნებოდა დიდი გერმანელის მთელ ძალისხმევას, თუკი შედეგად მეორეულ ნაწარმოებს, ვისიმე მიმბაძველობით შექმნილ სუროგატს მივიღებდით?

გოეთეს სახელს კიდევ რამდენიმე კლიშე გადაეჭაჭვა. ერთი მათგანი ჩვენში ილია ჭავჭავაძემ გაახმოვანა და ლამის ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად აქცია: გოეთე მყინვარია, ცივი და მიუკარებელი, ყოველივე ქვეყნიერისაგან შორს გამდგარი. ამ კლიშეს აქვს ერთგვარი ბიოგრაფიული საფუძველი, მაგრამ არავითარი შემოქმედებითი საფუძველი არა აქვს. იგი გერმანიის რევოლუციური წრეებიდან გავრცელდა და შესაშური სიცოცხლისუნარიანობა აღმოაჩნდა. ცნობილია, რომ „ვაიმარელ ბრძენად“ სახელდებული პოეტი რევოლუციების მიმართ კეთილგანწყობას არ ამჟღავნებდა. - რევოლუციები ხდება იქ, სადაც ქვეყანა ცუდად იმართება და ხალხის ხმას ყურს არავინ უგდებს, - მიიჩნევდა იგი. საფრანგეთის რევოლუციაში, გერმანელი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი აღფრთოვანებითა და იმედებით აღსავსე რომ შეხვდა, გოეთე გაცილებით

მეტ ბოროტებას ხედავდა, ვიდრე სიკეთეს, და რიტორიკულ პათეტიკას სრული გულგრილობით იგერიებდა. გარდა ამისა, რაც მგზნებარე ახალგაზრდებში კიდევ უფრო მკვეთრ გაღიზიანებას იწვევდა, მქუხარე პატრიოტიზმის გამოვლენას ცხოვრებაშიც ისევე გაურბოდა, როგორც შემოქმედებაში. „ო, დიდო გერმანია, როგორ მიყვარხარ და მემამყები“, ერთხელაც არ წამოსცდენია. ავი - რამდენიც გნებავთ.

როგორც შემოქმედი, გერმანიის პირველი პოეტი არც ცივია და არც მიუკარებელი, იგი არანაკლებ დიდი და მძაფრი ვნებებით არის დატვირთული, ვიდრე „თერგივით“ ბაირონი, იმ განსხვავებით, რომ ეს განცდები რომანტიკულად ჰიპერბოლიზებული და ნარცისული არასოდეს არ არის, უფრო ნამდვილია. და, როგორც ორივე შემოქმედის ღრმად მცოდნენი გვარწმუნებენ, კიდევ იმ განსხვავებით, რომ საკუთარ სამწერლობო ენასა და მთელ მის ევფონიურ სიმდიდრეს გერმანელი ბევრად უფრო მაღალ დონეზე ფლობდა.

არის კიდევ ერთი კლიშე, რომელსაც განსაკუთრებული დარწმუნებით ისინი იმეორებენ, ვისაც დედანზე ხელი ნაკლებად მიუწვდება: გოეთეს ლექსი მძიმეა, ხოლო „ფაუსტი“ გარიტმული ფილოსოფიაა. გოეთეს ლექსი ხან მსუბუქია და ხანაც მძიმეა, იმისდა მიხედვით, სათქმელს სად რა უფრო შეჰფერის, ტონალობათა ცვლა არავისგან ესწავლება. ფილოსოფიურობის საკითხი კი საკმაოდ ორჭოფულია, იმდენად ორგანული არა, რამდენადაც - გარედან მიტმასნილი. ნუთუ შემოქმედებით წვდომებსა და ინტუიციებს უსათუოდ ფილოსოფიური უნდა დაერქვას, რომ უფრო სრულად დაფასდეს მათი მხატვრული ღირებულება? სამეცნიერო კვლევებში ეს ტენდენცია, როგორც ჩანს, ამოუძირკვავია.

მკვლევარნი ძირითადად იდეათა სამყაროს განიხილავენ, არადა, ყოველ წარმატებულ მხატვრულ ნაწარმოებში შესრულება პირველადია. „მოდინ და მეკითხებიან ხოლმე“, ეუბნება გოეთე ეკერმანს, „რა იდეის ხორცმესხმას ვლამობ ჩემს „ფაუსტში“. თითქოს ვიცოდე და არ ვამხელდე!“ პოეტი აქ, უეჭველია, უტრირებას ახდენს, მაგრამ სავსებით გასაგებია, რისი თქმა სწაღია. „მართლაცდა, რა საქმე იქნებოდა“, განაგრძობს იგი, „მთელი ეს სავსე, ჭრელი, ათასფერი ცხოვრება, „ფაუსტში“ რომ გამოვსახე, რომელიღაც გამჭოლი იდეის განზვიადებულ დაფხე ასხმულიყო!“

ფილოსოფიის ხშირ-ხშირი ხსენება ბევრი მკითხველის გონებაში წინასწარვე გაუცხოების შიშნულ გრძობას ბადებს და უშუალო აღქმის სითამამეს ვკარგავთ. ვცდილობთ, ყოველ სტრიქონში ღრმად ჩამალული განყენებული სიბრძნე ამოვიკითხოთ, და გასაგებია, ხელმოცარულნი ვრჩებით, რადგან ავტორს შიგ მსგავსი არაფერი ჩაუდვია. გოეთე მაგ ენით არასოდეს გველაპარაკება, პოეტურ და ფილოსოფიურ „ბნელმეტყველებას“ იგი ყოველთვის ამრებით უყურებდა. „ფაუსტის“ სრულფასოვნად აღქმას არავითარი წინასწარი ფილოსოფიური მომზადება არ სჭირდება. ადამიანური ყოფიერების მტკივნეული პრობლემები აქ მხოლოდ მხატვრულ სიბრტყეზე იშლება და გოეთესათვის სავსებით სულერთია, თუ იგივე პრობლემები რაღაც სხვა კუთხით ფილოსოფიასაც აინტერესებს. მთავარია, ნაწარმოების ემოციურ ძარღვს მივაგნოთ და იგი არ გაგვისხლტეს.

მაგრამ ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აქ მსუბუქი გასეირნება არავის გველოდება. გოეთეს „ფაუსტი“ იმდენად ძნელი აღსაქმელი არა, რამდენადაც ნელა საკითხავი წიგნია. თუ იგი სრულად გვინდა შევიგრძნოთ, წინ არ უნდა მიგვეჩქარებოდეს, ყურადღება იმ პასაჟზე უნდა დავაკავოთ, რომელსაც მოცემულ მომენტში ვკითხულობთ. ჩვენი მონდომება აუნაზღაურებელი მხოლოდ ამ შემთხვევაში არ დარჩება. მართალია, ავტორი თავის ქმნილებას „ტრაგედიას“ უწოდებს, მაგრამ სინამდვილეში იგი უფრო დრამატული პოემაა, ვიდრე საკუთრივ დრამა.

გოეთე, პირველ ყოვლისა, დიდი ლირიკოსი იყო, ამ მხრივ თავს არც „ფაუსტში“ იზღუდავს და უპირატესად სწორედ ეს გვავალდებულებს აუჩქარებლად წაკითხვას. მაგალითისთვის შორს წასვლა არ გვჭირდება: ფაუსტის პირველივე მონოლოგი დრამატული ნაწარმოებისათვის მეტისმეტად ვრცელია. თუ დასაწყისში იგი ასე თუ ისე გამართლებულია, - მთავარ გმირს ახლოდან ვეცნობით, მისი მეორე მონაკვეთი, ვაგნერთან საუბრის შემდეგ, დაახლოებით ორასი სტრიქონი, დრამატურგიულად მხოლოდ უსარგებლო ყოვნია. მაგრამ ავტორი ამას სულ მცირეოდენ ანგარიშსაც არ

უნევს, გოეთეს აქ წმინდა პოეზიის საუფლოში გადავყავართ და ლამის ჩვენ თვალწინ ერთ-ერთი გამორჩეული ლირიკული შედევრი იქმნება. ხმა თანდათანობით ძლიერდება, სულ უფრო მაღლა, კიდევ უფრო მაღლა მიიწევს (მთარგმნელი იმედოვნებს, რომ ეს ქართულ ტექსტშიც აისახა) და ბოლოს საეკლესიო საგალობლების შორეულ ხმოვანებას ერწყმის. სათქმელიც ხმის თანაფარდია, ღრმა და მნიშვნელოვანი.

ასეთ ადგილებს მთელი წიგნის მანძილზე იშვიათადაც არ შევხვდებით, მოსინჯულია ყველა დაბალი ხმა, ყველა მაღალი ხმა, მეფისტოფელის ცინიკური სკაბრებიდან გრეტხენის მთრთოლავ ლირიზმამდე. ალბათ უმჯობესია, წინასწარვე გარკვევით ითქვას: მას, ვინც ლირიკული პოეზიის მიმართ რამდენადმე მაინც გახსნილი არ არის, „ფაუსტის“, როგორც მხატვრული ფენომენის, ჯეროვანი დაფასება გაუჭირდება.

ბოგიერთი გერმანელი მკვლევარი გაცილებით შორს მიდის. ფილოსოფიის ისტორიკოსი, ცნობილი და სპეციალისტებისათვის ლამის შეუცვლელი კუნო ფიშერი, რომელმაც „ფაუსტს“ ვრცელი კომენტარები მიუძღვნა, დაბეჭითებით აცხადებდა, რომ გოეთეს ამ გენიალურ ქმნილებაში ერთიანი კონსტრუქცია არ უნდა ვეძებოთ, რომ იგი მოზაიკური ნაწარმოებია, და გვიჩვენებს, ცალკეული მონაკვეთებით მთელისაგან დამოუკიდებელივ დავტკბეთ, თუ გვინდა მათგან სრული სიამოვნება მივიღოთ. ეს თვალსაზრისი, რასაკვირველია, დღეს გაზიარებული არ არის, „ფაუსტი“ რომ ერთიანი ქმნილებაა თავისი არსითა და მიზანდასახულობით, მტკიცებას არ საჭიროებს. მაგრამ „მოზაიკური პრინციპი“, მეტისმეტი გადაჭარბებისდა მიუხედავად, სრულ აბსურდადაც არ გვევლინება, მასაც აქვს, თუ კონცეპტუალური არა, ერთგვარი მხატვრული საფუძველი. საქმე ის გახლავთ, რომ ცალკეული სცენების დიდი უმეტესობა ერთმანეთისაგან განსხვავებული პოეტურ-სტილისტიკური მანერით არის შესრულებული, რეალიზებულია რომელიმე ლოკალური მხატვრული მიზანი, თითქმის ყველა მათგანი სპეციფიკურად საკუთარ ტონალურ ფონზე იშლება. ამას პოეტი, შეიძლება ითქვას, ზღურბლიდანვე „გვაჩვენებს“. სამივე შესავალი („მიძღვნა“, „პროლოგი თეატრში“, „პროლოგი ცაში“) ინტონაციითაც და პოეტური იმპულსითაც მკვეთრად განირჩევიან. პირველი სცენის („ღამე“) დასაწყისი მათგან ასევე მკვეთრად სხვაობს, ეს უკვე გერმანული შუა საუკუნეების სურნელია, მაგიის საუფლო, ჩახუთული, ოდნავ არქაიზებული სივრცე, საიდანაც, შემდეგსავე პასაჟებში („ქალაქის ბჭესთან“) გაშლილ მინდორ-ველებზე გავდივართ, აღდგომის სახალხო სეირნობას ვესწრებით, და ინტონაციური ფონიც სრულიად სხვაა, - ყოფითი, ყოველდღიური საუბრების ჭრელ-ჭრელი მიმოქცევანი. რომელიღაც სხვა მონაკვეთს ხალხურ შელოცვათა ტონალობა გასდევს, რომელიღაცას კიდევ - სუფრული ენაგაღესილობისა. ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს; სასურველია, მთელი ეს ინტონაციური სიმდიდრე ჩვენი თვე ვიგრძნოთ და დავაფასოთ.

მაგრამ ყველა ტონალობა ბოლოს მაინც ერთად იყრის თავს და მთლიანობას არ არღვევს, პირიქით, მონოლითურად იკვრება. ერთადერთი და შედარებით მარტივი მაგალითით დავკმაყოფილდეთ: ბოლოსწინა სცენა, მოკლე დიალოგი ფაუსტსა და მეფისტოფელს შორის, სულ ექვსი სტრიქონი, თითქოს არაფრის მთქმელია, თითქოს მხოლოდ საკუთარ სილამაზებზეა დამყარებული და მეტი ფუნქცია არა აქვს, ამდენად, გამორიცხული არ არის, ზედმეტადაც კი მოგვეჩვენოს. და მხოლოდ შემდეგ, როცა საპყრობილის სცენას წავიკითხავთ, მივხვდებით, თურმე როგორი სიზუსტითა და ოსტატობით შემზადდა ჩვენი განწყობა უმძაფრესი და უმშვენიერესი ფინალური პასაჟების აღსაქმელად. ეფექტი ალბათ უფრო პოეტურია, ვიდრე დრამატურგიული, მაგრამ გოეთე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ შორის ზღვარს ნაკლებად ავლებს.

დასასრულ, მეფისტოფელზეც უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა: უჩვეულო და არაერთგვაროვანი პერსონაჟია. ემოციურად არასწორნი აღმოვჩნდებით, თუ მას აბსოლუტური ბოროტების განსხეულებად შევრაცხავთ. თავისი წინამორბედის, ხალხურ დადგმათა მეფისტოფელის, თოჯინურობა რიგ შემთხვევებში ბოლომდე არცა აქვს დაკარგული. გავრცელებული შეხედულებით მიხედვით, ფაუსტიცა და მეფისტოფელიც ერთი და იმავე მოაზროვნე სუბიექტის, მისი სულისა თუ მსოფლალქმის თება და ანტითებაა, ორმაგი ჰიპოსტასია, რაც, შესაძლოა, გარკვეული გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ ისინი რომ ჰარმონიულად ავსებენ ერთმანეთს, დავას არ ეჭვმდებარება. ავტორი მეფისტოფელის მიმართ შეფარული, მაგრამ დროდადრო არცთუ ძნელად დასანახავი

სიმპათიით არის განწყობილი, რაც იმის დასტურია, რომ ეგ დარდიმანდულად მოარული ირონისტი (თვითირონისტი) და სარკასტი მთლად ჩვეულებრივ ეშმადაც არ უნდა ვიგულისხმოთ. მისი და ფაუსტის პირველი ორი ვრცელი დიალოგი, ღრმააბროვნებითა და მახვილგონივრული ესკაპადებით აღსავსე, სადაც ისინი ერთმანეთს ტოლს არ უდებენ, მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება.

ასეთია ამ დიდი ქმნილების მხატვრობის ზოგიერთი ძირითადი კონტური. მთარგმნელს აქვს ერთგვარი იმედი, რომ საშუალოზე უკეთესი ეკვივალენტი შექმნა. საშუალო თარგმანი მრავალი დიდი ქმნილებისათვის სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგია, მაგრამ „ფაუსტის“ შემთხვევაში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სრული მარცხია - დედნის მთავარ ღირსებებს ვერა დონებზე ვერ ჩავწვდებით.

მიძღვნა

[1]

ხილვანო ძველნო, ფერმიმქრალნო, კვლავ მეცხადებით, ოდესღაც ნათლივ დანახულნო გმანების თვალით.

მომდევსლა ვნება, განვიმსჭვალო თქვენი ხატებით, ხორცი შეგასხათ? იმ სიგიჟის დარჩალა კვალი?

იქმნას! განმაგეთ! ოდინდელი მოგაქვთ ნათელი, თუმცა ბური ხართ - მოვანება ნისლისა მკრთალი.

კვლავ იძრა გული, ჭაბუკური ჩქროლვა მოსურდა

წყებათა თქვენთა რიალთაგან ხმაჯადოსნურთა.

წარსულ სურათებს ვეშურები თქვენი მხილველი, ისევ დგებიან საყვარელი აჩრდილნი მკვდრეთით.

ეჰა, პირველი მეგობრობა, ტრფობა პირველი, ვით მილეული რამ ზღაპარი, და ფეთქავს წვეთი, და მოთქმა ნელა მიუყვება, ხმაშეჭირვებით, ხსოვნის ლაბირინთს, სადაც ახლა ნავლია მეტი, მიითვლის ძვირფას მათ სახელებს, წინას და წინას, ვინც იმ წარსულში სამუდამო დაიდო ბინა.

დღეს აღარ აღხენთ სიმღერები ჩემი გვიანი, პირველჟამინდელ საგალობლებს ვისთანაც ვმღერდი, მიწყდა პირველი მოძახილი ხალისიანი, შფოთიც, ზრიალიც, და ძველთაგან აღარვინ გვერდით.

გარს უცხო ხალხი, წლიდან წლამდე უცხო ხმიანი, ტაშზეც კი მათზე ცივი შიშით მიზრზინავს მკერდი.

ხოლო ისინი, ვინც გულგახსნით მისმენდა ძველად, თუ კვლავ არიან, შორს არიან, განმებნა ყველა

და მომენატრა ის საუფლო, ის ხმანი ძველნი, გადაჩვეული მონატრებით, ნაღველზე მწარით.

კვლავ ცოცხალია, რაც ოდითგან მიყვარს და მეღმის, თრთის ბგერა, თითქოს ეოლოსის ჩქროლავდეს ქნარი[2].

ჟრჟოლა დამივლის და ნელ-ნელა გბას იგნებს ცრემლი, ლხვება, ლბილდება მკაცრი გული, წყვილდება პწკარი.

რაც მაქვს, ლანდადლა ილანდება ცრემლსართავიდან  
და სულ, სულ უფრო ნამდვილდება, რაც გარდავიდა.

პროლოგი თეატრში

თეატრის დირექტორი - კომიკოსი - პოეტი-დრამატურგი[3]

დირექტორი

თქვენც ჩემთან ერთად გასწიეთ ჭირი, იცით, რა რისად მალაპარაკებს, -

დღეს ამ გერმანულ დაბა-ქალაქებს

უჩანს, რას ატყობთ, საჩვენო პირი?

თავი და თავი, კმაყოფილი ვინც მინდა დამრჩეს, ეს წვრილი ხალხი, თავისა და ქვეყნის  
დამრჩენი.

ამართულია ფიცარნაგი, შევდივართ სარჯელს, და კაცადკაცი დღესასწაულს უცდის  
არსმენილს.

მიმსხდარ-მომსხდარან, აუნვლიათ მალლა წარბები, რითი განცვიფრდნენ, გვიყურებენ  
თვალდახარბებით.

ვიცი მაგათი ჯდომა-დგომა, სარჩულ-საპირეც, მაგრამ დღეს შევდრკი, ველარა ვარ  
აქამდელ რიხზე.

სანახავთაგან რა უნახავთ? - არც არაფერი.

სამაგიეროდ, წაუკითხავთ, - უფალო, გვიხსენ!

რას გამოუდგამ, თანაც ისე მისხლით აწონილს, ცინცხალიც იყოს, აზრიც იდოს შიგ  
მოსაწონი?

არადა, ხალხი, მოდენილი ზღვა ხალხი მინდა, მათი ზიმზიმა ნაკადების მიყვარს ყურება,  
ჩვენს შემოფიცრულს რომ აწყდება ყოველი მხრიდან

და, ბოლოს, აღთქმულ ვინრო კარში მოიწურება; დღისითვე, ოთხის გახდომამდე, მთელი  
მიღეთი

სალაროს ჭიხურს რომ ესევა, იბრძვის ბილეთზე, კაცს ეგონება, რა ბილეთი, რისი ბილეთი,  
დგას შიმშილობა და პურისთვის თავ-პირს ილენენ.

ვინ იქმს ამადარ სასწაულებს, თუ არ მგოსანი?

ქმენ იგი დღესაც, მეგობარო, ხარ ჯადოსანი!

პოეტი

ფიქრიც არ მინდა მაგ ზიმზიმით მოდენილ ხალხზე, აშთობს ყოველგვარ შთაგონებას ხმა  
ბრბოსეული.

გამანაპირე, გადამკარგე, მაგ ურდოს დამხსენ, მორევში გვითრევს, ღრიანცელით გარს  
მოსეული.

ცისპირს მანახე რამ ალაგი, სიმშვიდით სავსე, სადაც მგოსნური აღტაცება სახლობს ზეული

და ჰყვავის გულში სიყვარული ზეციურ ვარდად, ვარდად, რომელიც უფლის ხელმა  
დარგო და ბარდა.

სიტყვას, გულიდან რომ დაიძვრის და ჩვენს უნებლივ

შემკრთალ ბგერებად ბაგეებზე დაიწყებს ფართქალს, თუ სადღეისომ გადაგვძალა  
ზრუნვა-ცთუნებით, წამი უძღები არ დაინდობს, ხელადვე დანთქავს.

მწამს მხოლოდ საქმე, ჟამთასვლისგან გაუხუნები, ზიზილ-პიპილით რა ფასი აქვს სახელის  
განთქმას!

ყალბი ბრჭყვიალით ვერ შეიქცევ დიდი ხნით ვერვის, რაც ნამდვილია, მხოლოდ იგი  
შერჩება მერმისს.

კომიკოსი

გული განყალდა მაგ მერმისით, წამელო სმენა!

ერთიც ვნახოთ და მეც მერმისზე ამქავდა ენა, ვინლა გაართოს, ბატონებო, დღე  
დღევანდელი?

ამ რჩეულ ბიჭებს გადახედეთ, ალაღად ანმყოფთ!

ყველა სანახავს, მიდექ-მოდექ, მაგათზე ვანყოთ, ვითომ რა ხელი აგვიღია, რას  
ვემადლებით?

ვინც მაგათ გულით მიენდობა, მიინდობს კიდევ, არ უმტყუნებს და ვერც მაგათგან  
შეხვდება ღალატს.

და, რაც დიდია ხალხმრავლობა, რაც მეტი იდენს, მით უფრო სრულად ამოფეთქავს ნიჭი  
და ძალა.

მოდით, მაგათთვის იხელოვნეთ, შევეშვათ მყოფადს, აგვავსეთ თქვენი ფანტაზიის ზღვა-  
და-მდინარით!

კი, კი, გონება, წარმოსახვა, გულიც და გრძნობაც, მაგრამ გაფრთხილდით! - არ  
გამოგრჩეთ გასაცინარი.

დირექტორი

თან მოქმედება! წამით შედგა, წამსვე განახლდეს!

აქ მაყურებლად მოდის ხალხი, ეძებს სანახველს.

თვალეში მრავლად შეაფეთე ეგ სანახველი, და თუ გაცეცდა, ბოლოს პირიც თუ დარჩა  
ღია, შორით შორამდე გაჰქუხს უკვე შენი სახელი, ვაცი ხარ ხალხის სათაყვანო, სხვა  
მადლი გცხია.

მათი სიმრავლის დასაპყრობად სიმრავლე დასძარ, უხვად, ხელგაშლით მიმოფანტე,  
მოხელონ თავად.

რადაცა გასცა თვითეულზე, ვინც ბევრი გასცა, იამებს ხალხი, კმაყოფილი გუნებით წავა.

დგამ წარმოდგენას? დადგი გროვად წვრილი ნატრები, ადვილ საჯრელი და თვალეშიც  
ადვილ საჩრელი, მენდეთ, ძვირფასად დაანაყრებთ ეგეთი რაგუც.

მთლიანობისთვის თუ დაშვრები, ფუჭად დაშვრები, მაინც თვალდათვალ დაგიფლეთენ  
ნაკუნ და ნაკუნ.

პოეტი

სპობს ხელოვნებას მსგავსი ხელობა!

არც აკვირდებით, რა აზრებს თესავთ!

ჯილდო-მილდოთა ეგ მთითხნელობა, ჩანს, დაგიდვიათ ცხოვრების წესად.

დირექტორი

ნუ ფიქრობთ, გული გამიგმირით მაგ საყვედურით!

საქმეს თუ იწყებს კაცი ოდნავ წინდახედული, მიდის და საქმის შესაფერსვე ირჩევს იარაღს.

მანდ ჩეხვა უნდა, ჩემო კარგო, ხვეწა კი არა, ვისთვის წერთ, ნახეთ, და ნურაფერს მე ნუ მემდურით!

ეს აქ მოწყენამ მოიყვანა, ბის და მჭმუნვარებს, ეს სუფრას უჯდა, ქელავს მუცელ-გამოტენილი, ეს აგერ, კიდევ უარესი, უჯდა ჟურნალებს, მსჯავრი თან მოაქვს, წინასწარვე გამოტანილი.

იმ მავანისთვის თეატრონი მასკარადია, ამ მავანისთვის - ჭორიკნული ცნობისწადილი, ქალთათვის - ღიმილ-სამკაულთა ჩენის ადგილი, ისე იღვწიან, გეგონება, წილში გადიან.

ამათთან გნებავთ, მოიხადოთ ზეგარდმო ვალი?

ამათ გამოა პოეტური თქვენი ბორგნები?

მაგ დამფასებლებს მიმოავლეთ ახლოდან თვალი, ვინ გულგრილია, ვინ ბლაგვი თუ გაუჩორკნელი.

წავლენ, ბანქოზე გადავლენ უცებ, ან ჩაცეცხლავენ, მოყრიან მეძავთ.

ამათთვის ტანჯავთ საბრალო მუხებს, სათქმელს ებრძვით და რანდავთ და ხვეწავთ?

არ ასცდეთ მიზანს, თუ ნამდვილი ოსტატი გქვიათ, თავს დაახვავეთ სულ მეტი და სულ უფრო მეტი.

უნდა ეცადოთ, დაასხათ რეტი, დაკმაყოფილდნენ, ძნელია ფრიად...

რა გჭირთ? ტკივილი შემოგეგზნოთ? თუ შთაგონება?

პოეტი

წადი, სხვა ნახე, სხვები დასხი ამგვარ მონებად!

რა გაბედვინებს, უბადრუკო, მოსთხოვო მგოსანს, შენთვის დამარხოს, ბუნებითი რაც მადლი მოსავს, რა ცოდვა გინდა ატვირთვინო, არც შეგდის თავში!

რითი ძრავს იგი კაცთაგანის გულს და გონებას?

რითი კრავს იგი სტიქიონებს, ოთხივე კავშირს?

არა იმ ძალით, იმ თანწყობით, გულზე რომ გადის

და უკუმობგერს შიგ ჩაწნული სამყაროს ხატი?

როცა ბუნება თავის უწყვეტ, განუზღვრელ სართავს

ართავს გულგრილი და ივსება ნართით მასრები, როცა შეუწყობ-შეუწვნელად ხმას ხმაზე ჩხლართავს

და დგას ხმაური უთავბოლო, ყურთამაზრზენი, ვინ აქცევს ამას დასაზღვრულ და მწყობრ ხმოვანებად, სიცოცხლით ავსებს, რითმულ რხევად განასხეულებს?

ცალკერძს ყოვლადში ვინ ათავსებს, ვისი ბრძანება, ვინ კინძავს მათგან ჰარმონიულ ხმათა ხვეულებს?

ვინ ძალდებს გრიგალს, იმქუხაროს დიად ვნებებად?

მარადი ნათლით ვინ აბრწყინებს მიმწუხრის ღრუბელს?

სატრფოს, ვინ არის, დილის ზღურბლთან ვინც ეგებება



და ბილიკებზე გაზაფხულის ყვავილებს უფენს?

უჩინო რტოებს[4] დიადემის სწორფრად გაცისკრავს?

იპყრობს ოლიმპოს და ღმერთებთან უყრია წილი?

ვინ, თუ არ იგი, უმეცარო, ძალი კაცისა, მადლით ცხებული და მგოსანში სახებად ქმნილი!

კომიკოსი

ჰოდა, მაგ ძალით, მაგ მადლმოსხმულით, მიდით, აგვარეთ საქმე მგოსნური, სასიყვარულო როგორც გვარდება: შემთხვევით ნახვა, მილაქარდება, შეკურკურება, შეგურგურება, შეყრა-შეხვევრა, გაყრა-მდურება, ვნება-შვებანი, გულთა კრთომანი, და, ესეც ასე, შედგა რომანი.

მაგავე წესით განყობილი მოლექსეთ დრამაც, ყოფიდან ხაპეთ, მოამგვანეთ ცხოვრებას ამათს!

დადის კაცი და ვერ იაზრებს, რას დადის, რა სურს, მოვა, შეგვხედავს, ვინძლო გულის მიაგნოს პასუხს.

სინათლე - ცოტა, სიჭრელე - დიდი, წყალწყალა ჩმახში - სიმართლის კვნიტი

ყველაზე მარგი გახლავთ სასმელი, მაგ ჯარობებზე ჩამოსასხმელი.

მოანყდებიან თქვენს დადადისს ახალუხლები, მერწმუნეთ, მეტიც არ სჭირდება მათ გაბრუებას, ნაზი სულები ფრთაფარფატით მოვლენ უკლებლივ, მელანქოლიურს გამოწოვენ ნექტარს უებარს.

იმას გამოკრებს თვითეული, მისი რაც არი.

სხვა კიდევ რაღა? ზრიალი და თვალში ნაცარი.

საქვითინოდაც მზად არიან, სახვიხვინოდაც, მგზნებარებისთვის ორი-სამი ტირადა კმარა.

დაგრჩეთ გულგრილი, ვისიც უკვე ნახდა ღვინობა, ვინც ჯერ ღვინდება, მადლობელი დაგრჩებათ მარად.

პოეტი

მაშ, მომეც ჩემი ღვინობის ჟამიც, გზნებათა გზნება, ძალთა მძლეობა!

ჰანგს აღვიძებდა ყოველი ჩქამი, ჩქეფდა წყარო და არ ილუოდა.

სამყაროს ნისლის ეფინა რიდე, სასწაულს შობდა კვირტი ყოველი.

დიდი მინდორი - მზედაქსოვილი, და შიგ ყვავილთა საკრეფად ვიდექ.

ვიყავ ყოვლის და არაფრის მქონე, ცხადი და ლანდი ერთარსად ვკონე.

მომმადლე კვალად იგი სურვილი, ის ტკბილი წყლული, ის მძაფრი ძალა

იმ სიყვარულის, იმ სიძულვილის, იმ სიჭაბუკით გამნათლე კვალად!

კომიკოსი

კაცს სიჭაბუკე იმისთვის გინდა, ომში შეხვიდე თამაშ-თამაშით, და გამარჯვების ჯილდოდ თუ წინდად

ყელს შემოგესკვნას ქალი ლამაზი.

ხშირ-ხშირად წყვიტო ჯირითზე ტაში, გადაუვლელი გადავლო მიჭნა, ცეკვა-როკვაში, ავარდნილ სმაში



სიშმაგის ღამე ღამებე მიჯრა.

მაგრამ თუ გაბმით უღერენ ლარები, თუ თმენაც უნდა სიტყვასთან ჭიდილს, თუ გზა მიმოვლით, კვალის არევით, ზუსტად მონიშნულ მიზანთან მიდის, მაგ ხლართებს უკეთ ჭარმაგნი ხლართავთ

და არც ნაკლებით გიტყვიან ქებით.

სიბერე განა გვაბავშვებს მართლა, სიბერეს კაცი ბავშვადვე ხვდება.

დირექტორი

სიტყვები უკვე საკმაოდ ვხარჯეთ, საქმეც მანახეთ, ჩემო კარგებო, სანამ ერთმანეთს ვამკობდით მარჯვედ, ჯობდა, ქმნილიყო რამ სასარგებლო.

გზნება ყოყმანში არ იბადება, უცებ ჩაქრება, თუ არ უჩქარი.

მანდ პოეზიით მალ-მალ ქადებას, დასძარით მისი ლაშქარ-უშქარი!

იცით, რისასაც ვითხოვ თადარიგს, უნდა მოდუღდეს წვენი მაგარი

და სასმისები დროზე შეივსოს.

თუ არ გაკეთდა დღეს სადღეისო, ხვალისგან, მორჩა, ნულარას ველით.

ქმენ გადაწყვეტით, რასაცა ზრახავ, ქეროში სტაცე შემთხვევას ხელი, და მერე საქმე, რაგინდ-რა ძნელი, თვითონ წაგიღებს, ჩაჰყევი რახან.

ჩვენებურ სცენას ვინ ჰყავს პატრონი, რასაც მოხელავ, გამოდგამ წამზე, მიდით, არ ზოგოთ ამწე და დამწე, ხედნი, ხიდურნი სათეატრონი!

ჰა, ვარსკვლავეთი, ფლანგეთ, გეყოფათ, ჰა, ცეცხლი, წყალი, ღრე თუ პიტალო, რომელი ერთი ჩამოგითვალთ, რა ფრინველები, რა ოთხფეხობა!

მთელი სამყარო აქ, ამ ათიოდ

ფიცრის წრეგანში უნდა ჩატიოთ.

ციდან დაჰყევით[5], სიზმრით თუ ცხადით, და მიწის ჩავლით ჯოჯოხეთს ჩადით!

პროლოგი ცაში

უფალი - ზეციერი მხედრობა - შემდეგ მეფისტოფელი. [6]

წინ წამოდგება სამი მთავარანგელოზი.

რაფაელი

მზე მიმოგრგვინავს, მჭეხი და ფიცხი, სფეროთა შორის ძმებრივ დაძრული.[7]

რაითა შეკრას, ვითარცა მიწყივ, გზა იგი თვისი, წრედ მოსაზღვრული.

ოდენმცა ხილვა ძალით და რწმენით

ავსებს ყოველთა ცისა ბინადართ.

კვლა დგას დიადი ქმნილება შენი

და ბრწყინავს, პირველ ვითა ბრწყინავდა.

გაბრიელი

და თანაბგერით კვლადით და კვლადით

მოზრუნავს, უწყობს ხმას დედამინა, ხან ცისიერი ციაგი მნათი, ხან ყიამეთი მოსავს ღამისა, ზღვა ბრკიალებს და ბორგავს და ხმელთა

ბურჯებს ტინოვანს ემსხვრევა ბროლად, და კლდეთაც, ზღვათაც მიასრბევს ერთბამ მზრუნავ სფეროთა მარადი სრბოლა.

მიქაელი

ხვივიან ქარნი და ქარიშხალნი

ზღვით ხმელეთამდე, ხმელეთით ზღვამდე, გზებს მიგრანგნიან ძალით მრისხანით, ღრმა ცვალებათა საძირკვლის დამდეგს.

იავარ ხდება, რასაც ტაროსი

ელვის ბილიკით დაეგრგვინება, მაგრამ სხვა გვიკვირს უნეტარესი -

დღეთა მათ შენთა წყნარი დინება.

ანგელოზთა დასი

და ხილვა მისი ძალით და რწმენით

გვაგვებს ყოველთა ცისა ბინადართ.

კვლა დგას დიადი ქმნილება შენი

და ბრწყინავს, პირველ ვითა ბრწყინავდა.

მეფისტოფელი[8]

მოხვალ, უფალო, რომ წესის და რიგის თანახმად

გაუწყოთ ჩვენი საქმეები, ჩვენი ზრახვები, და, რაკი ვიცი, გეამება ჩემი დანახვა, საყმოსთან ერთად მეც გეახელ, - დაგენახვები.

გთხოვ, მომიტევო, ამაღლებულს ვერაფერს ვიტყვი, ამ ძვირფას წრეში ვუფრთხი თავის გამოჭენებას.

ჩემს რახარუხზე შენ თვითონვე ატეხდი ხითხითს, სიცილისაგან გადაჩვევა რომ არ გენება.

ვერ გეტყვი, ცაში მნათობები სად რას გალობენ, კაცისა ვიცი, როგორ უჭირს მაგ საწყალობელს.

ეგ თიხის ღმერთი, უცნაური ეგ ღმერთუკანა, რაც პირველ იყო, იგივეა იმ დღის უკანაც.

ხალვათად მაინც იცხოვრებდა, თუ არ ნეტარად, მის თავში ნათლის ათინათი არ შეგეტანა.

რიხით გონება დაარქვა და ერთადერთ საქნარს, პირუტყვზე უფრო გაპირუტყვდეს, ბეჭითად ახმარს.

სხვაფრივ კი იგი, თქვენი დრტვინვა ნუ მიწერია, ზედგამოჭრილი გრძელფეხება ერთი მწერია, აი, რომელიც ბალახ-ბალახ სკუპ-სკუპით დაფრენს, ჩატდება შიგ და - ჭრიი, ჭრიი - აუშვებს აფრებს.

მართლა ბალახში რომ დატევდეს ცუნდრუკი ნირი, მნედ არა სჭირდეს, ყველა შმორში ჩაჩაროს ცხვირი.

უფალი

ეს არის მთელი შენი სათქმელი?

არსად რამ - ცოტა სულმოსათქმელი?

ცუდია ქვეყნად ყველაფერი? ცუდი და მრუდი?

მეფისტოფელი

დია, უფალო! თანაც როგორ გულისად ცუდი!

კაცი, რა ვქნა და, გახლავთ ისე შესაბრალისი, საცოდაობით ველარც ვტანჯავ, წახდა ხალისი.

უფალი

ფაუსტი იცი?

მეფისტოფელი

ვინ, დოქტორი?

უფალი

ჩემი მსახური!

მეფისტოფელი

უცნაურ წესზე კი გამსახურებს, მაღლი ჰფენია!

მიწიერ საზრდოს არ სჯერდება, სურს არნახული, სადღაც სულ სხვაგან მიაბორგებს ფიქრი ჩმახური, თან სანახევროდ ბარემ ატყობს, რაც რეგვენია.

ცისგან, სხვა არა, უნათლესი ვარსკვლავი ნებავს, მიწისგან ყველა უამესი სიამე სოფლის, ვერ დადო გული, წამით ეგრძნო მცირედი შვება, ახლო თუ შორი, არაფერი არაფრად ჰყოფნის.

უფალი

მაგ მიმოდგომით მსახურების არ სცდება საზღვარს, გეტყვი, ნათლამდე გამოაღწევს თავის დროისთვის.

იცის მეზადემ, თუ ხასხასებს, რა ნერგიც დასხა, გაის-გარდამის იმ ნერგიდან ნაყოფს მოისთვლის.

მეფისტოფელი

ნაძლევი, ნაგვრი, მე მივიტაცებ, თუ ნებას მისცემ ბებერ ტარტაროზს, ცოტ-ცოტა მანაც მიმოატაროს.

უფალი

გაქვს ნება, სანამ ცხოვრობს მიწაზე, ძლევა გერგება, თუ შენკენ მიდრეკ.

წრიალებს კაცი, გზას ეძებს ვიდრე.

მეფისტოფელი

გმადლობ, რაკილა ჩემი არსებით

მკვდრებს აგრერიგად ვერ ვეთავსები, ღანვნი მიყვარან ფეროვნები, ხორციით სავსენი.

უმაღლესი მწყინდება ცხედრებს შორის ბნელ აკლდამაში, მეც კატისა მჭირს, ცოცხალ თავგთან მიყვარს თამაში.

უფალი

კეთილი, დრომდე შენ გეხარება, სინჯე, მოსწყვიტე წიაღს პირვანდელს, შენს გზამრუდებზე სცადე ტარება, ჩაღმა და ჩაღმა, ბნელს ჩაძირვამდე.

დამარცხებული აქ დადექ და შენივე პირით

თქვი შერცხვენილმა: ყველაფერზე არ ითქმის ძვირი, კაცი კაცური არ დაჰყვება ავსულთა ბაკვას, ბნელი ბორგვითაც სინათლისკენ გაიგნებს გზა-კვალს.

მეფისტოფელი

კარგი, შევთანხმდით, არ გახდება ეგ საქმე ძნელი, და ნებას ვითხოვ, თუ გავწიე, რაც ვიდე თავზე, აქვე, შენს თვალწინ, გამარჯვების ყიჟინა დავცე.

მინას დამიღრღნის, თან ისეთი სიამით სავსე, პაპიდაჩემიც უკან დარჩეს, განთქმული გველი.[9]

უფალი

აქ გამოჩენა თუ მოგინდეს, თამამად მოდი, მტრობას არასდროს აღმიძრავდა შენდართა შფოთი.

თქვენი დასიდან, უარმყოფელ მაგ სულთა წრიდან, თუ ვიტან ვისმე, ჭკუამახვილ ცუღლუტებს ვიტან.

კაცი იმწამსვე ძაბუნდება, თუ მოისვენა, დაკოსდება და მცონარების ხავსით იმკობა, ამიტომ არის, თანამგზავრთა მიყვარს მიჩენა, დროდადრო ცოტა შეაფხიზლოს მათმა ჭინკობამ. -

თქვენ კი, ღვთისშვილნო, შემოსილნო სიკეთით ყოვლით, მშვენიერებით განიმსჭვალეთ, უხვით და ცხოვლით.

რაც ყოფადია, წინ მოსწრაფე, დღემუდამ ემედი, გარემოისხით, სიყვარულით მოივლეთ ზღვარად, ხანგრძლივი მზერა მიაპყარით ქრობადს და მედინს, ხანგრძლივი ფიქრით აზიარეთ მყოვარს და მარადს.

(ცა იხურება. მთავარანგელოზები გადიან.) მეფისტოფელი, მარტო

მიყვარს შემოვლა ბერიკაცთან და საუბარი, გულს დამაკლდება, მუდამ ასე თუ არ გასტანა.

ვერაფერს იტყვი, ზის ამხელა მამაუფალი

და კაცურ სიტყვას ლაპარაკობს თვით ეშმასთანაც.

ღამე

მაღალთაღიანი გოტიკური ოთახი. ფაუსტი სამუშაო მაგიდასთან[10]

ფაუსტი

ფილოსოფიას შევწირე წლები, დავშვერ სამართლით და მედიცინით, ღვთისმეტყველების საბმურშიც ვები, და ვდგავარ ახლა, სიმწრით ვიცინი.

რა ბრიყვიც ვიყავ, დავრჩი იმადვე, მისხალი ჭკუა ვერ შევიმატე.

მაგისტრიც მქვია, დოქტორიც მქვია

და მოწაფენი წყვდიად და წყვდიად

დამყავს ათწლობით წინა და უკმო, ვაგლახ, უგზოზე ხეტებავ უქმო!

არ ძალუძს მოკვდავს რისიმე ცოდნა, გასივდა გული, სხეული მოდნა.

კი, მაინც ვჭობვარ გავსილებს ბაქით

დოქტორ-მაგისტრებს, ხუც-აქიმ-ვაქილთ.

არ მემართება ვაი და ვიში

ჯოჯობეთის და ეშმაკის შიშით.

სამაგიეროდ, წამერთვა შვება

და რას ვენიე, რა მადლი მრჩება!

არაფრის მქონე, მცოდნე არარის, იმას ვაგროვებ, რაც უხმარ არის, და უქმი უქმად მივიბარგები, კაცთა მოდგმისთვის არად სარგები.

რომელი ძაღლი აიტანს ამდენს, და ბოლოს თავი მაგიას ვანდე, -

სულთა კარნახით და შემწეობით

ვინძლო იდუმალ ცოდნას ვწეოდი, რომ სიმწრის ოფლით, ტანჯული სახით, კვლავ აღარავის ვმოძღვრავდე ჩმახით, ვჭვრეტდე იმ პირველ, უხილავ დვრიტას, შიგნიდან იკვრის სამყარო რითაც, აზრს მივყვებოდე ბოლო ხვანჯამდე

და მხოლოდ სიტყვებს არა ვხარჯავდე.

რას დამცქერ, მთვარევ, მთვარეო ბადრო, ამ ჭირში აღარ გენახო სხვა დროს!

უწინაც ასე, დილის კარამდე, ამ ეტრატებთან მჭდარს ამგვარადვე, თავს დამყურებდი, სავსე თუ მცხრალი, თითქოს მეგობრის დამცქერდა თვალი.

იქ მიმიყვანა, ოდინდელ ჟამთან, შენს ნათელ ბინდში მატარა მთა-მთა, მაქროლა, სადაც დამემში, გვიან, ტყის სულები თუ ელფები ქრიან, მომრეცხა შენი ცინცხალი ჩქერით

სწავლულებათა მჭვარტლი და მტვერი!

ნუთუ კვლავ აქ ვარ, აქ ვაყუდივარ, მძიმე კედლებში მარტოდ ვხუთივარ, სადაც მზის სხივიც ბუნდადღა მინათს, ძლივს გამომცდარი მოხატულ მინას!

გარს - ერთმანეთზე დახვავებული

წიგნების გროვა სართულ-სართული, მტვერდადებული, დაფხავებული, პატრუქებისგან გადამჭვარტლული!

ლუსკუმ-შუშები, ხელსაწყოები, პაპისპაპათა ხარახურანი!

ნუთუ ეს არის, ეს ძილ-ბურანი, კაცის არსი და აზრი ცხოველი?

ჰოდა, რა გიკვირს, შემკრთალი გული

თუ გენურება და სევდა გთრგუნავს, თუ ჩუმად გართმევს უჩინო წყლული

საძრაობას და სიცოცხლის უნარს?

ცხოველმყოფელი ბუნების ნაცვლად, სადაც ღვთისაგან დაგვედო წილი, სენაკი გაკრავს, ქცეული საძვლედ, გამოვსებული ობით და ჩრჩილით.

წადი, გაშორდი ყოფას საზარელს, ბნელი სოროდან დროზე გაძვერი, ეს ეტრატილა ითანამგზავრე, ნოსტრადამუსის[11] ხელით ნაწერი.

შეიცან ციურ ეტლთა დინება, დედაბუნების ჩასწვდი საუფლოს

და განცდის მადლიც მოგეფინება, რომლითაც სული სულთან საუბრობს.

ამ საიდუმლო ნიშნების ენას

ვერ ახსნი მშრალი გონების გვემით.

სულნო მაღალნო, აქა ხართ, სენაკს, ხმა გამაგონეთ, თუ გესმით ჩემი!

(ნიგნს გადაშლის და მაკროკოსმოსის ნიშანს დააცქერდება.) ჰა! თვალი ჩავკარ და ჟრუანტელმა

სხვაგვარი ძალით დამჟრჟოლა უმაღ!

ყველა ნუხილი უმაღ განდევნა

ბედნიერებამ, მძაფრმა და სრულმა!

ვინც ეს მოხაზა, ვინ იყო, ღმერთი?

ვბრუნდები წლებთან, ჭაბუკურ ლაღთან!

თვალახელილი მიღმიერს ვერთვი, ბუნების ძალნი განხმულან ჩემთვის, საბურველების ინყებენ ახდას!

ნუთუ ღმერთი ვარ? ყველაფერი როგორ განათდა!

ნიშანთა შიგნით ვაყურადებ სამყაროს სუნთქვას!

ბუნების ყველა საიდუმლო მოდენს ამათგან, სწორი ყოფილა ბრძენი იგი, რომელსაც უთქვამს: „სულთა საუფლო არ არის ხშული,[12]

გადაგეხსნებათ, გულს თუ გაიხსნით.

ადექ, შეგირდო, განიფრთხე რული

და განიბანე მკერდი აისით“!

ინვნის ყოველი, ერთმანეთს ერწყმის, ვით ხმამრავლობა გალობის ერთხმის.

ძალნი ციერნი ადი-ჩადიან, იცლებ-ივსება ოქროს ბადია, რომ ახლად შობდეს დამლვევი დამდეგს, რომ ყოველ არსში, მიწიდან ცამდე, მთელი სამყარო ჩანდეს და ჩქამდეს!

რა ხილვა იყო! მაგრამ ხილვა! მარტოდენ ხილვა!

როგორ მიმისხლტის ყველაფერი! უღონო ვქმნილვარ!

რაც არ ვიგვემე, ვერ ვენიე ვერა საწადელს, დედაბუნებავ, ძუძუს შენსას არ დამაწაფე!

ცასა და მიწას არწყულებენ რძესავსე ცურნი, მე ვარ, მე დავრჩი ერთადერთი, ვერ ვიკლავ წყურვილს!

(უკმაყოფილო სახით ფურცლავს ნიგნს და უეცრად მიწის სულის[13] მაგიურ ნიშანს დაინახავს.) ყოველი ნაკვითით საჩემოს ზრახავს, სულო მიწისავ, შენი გორგალი!

გეაზიდული ვგრძნობ ძალას ახალს, ახალი ღვინით დავთვერ მბორგავით.

მზადა ვარ, ვზიდო მიწისეული

ყველა ტანჯვა და ყველა სიამე, გინდაც დადრიკონ ჩემი სხეული, ხომალდი ჩემი ჩასცდეს ყიამეთს!

ჯანდი მეხვევა...

სხივები აკრიფა მთვარემ...

ქრება ლამპარი...

იკვამლა! წითელი სხივი იკლავნება, გარს მერკალება...

ძრწოლა მობერავს თაღებიდან

გამჭოლველი, ბურძგლის ამშლეელი...

სადღაც აქ ახლოს დარიალებ, სულო ხმობილო!

გიბრძანებ, აღჩნდე, დამენახო, ყველა გრძნობით შემეგრძნობინო!

ვცახცახებ, თითქოს შეპყრობილი ავი ცხელებით, გასკდომაზე უკვე გული, ცემს გახელებით!

გაუძელ! მისწვდი! ყველა ძალა ერთად დაძარი!

გამოვიხმოთ და გინდ გვიმსხვერპლოს! იყოს, რაც არი!

(ისევ დასწვდება წიგნს და სულთა შელოცვას ბუტბუტებს. უცებ ალი ამოვარდება და ალსშიგნიდან სული ამოჩნდება.) სული

ვინ მიხმობს?

ფაუსტი

განვედ! ხარ ზარდამცემი!

სული

მძლავრი ღაღადით შემომღალადე, შემოაღწიე ჩემს წიაღამდე

და, აჰა...

ფაუსტი

მომკლავს! ვერ გადავრჩები!

სული

შემომვედრებდი გრძნებით მქმინარი, ხმა გაგეგონა, სახე გენახა, აჰა, მოველ და - ეს აქ ვინ არი, შიშით რომ ხავის? ნუთუ შენა ხარ?

ძალთამხმეველი! ზეკაცი ლამის!

რა იქნა შენი სულის ღაღადი, აღტაცებისგან ცახცახის წამი, თავს როცა ზესთა სწორად სახავდი!

ვერ გაგიბედავს თვალის გახელა, ძრწი, იკლავნები ვით ჭიაყელა!

ეს შენ ხარ, ფაუსტ? ზეკაცისგან მდილილა დარჩი?

ფაუსტი

ცეცხლსახოვანო, ვერ დამთრგუნავ, რაც გინდა ქმენი, დიახ, ეს მე ვარ, ფაუსტი ვარ, სწორი ვარ შენი!

სული

ყოფნის გრიგალში, სიცოცხლის ღვარში

საწყის და სასრულ

მიმოვსრბი მასრულ.

ბრუნავს საქსოვარი, დგიმსავარცხლიანი!

ზღვის ღელვა მყოვარი, ცხოვრების ტრიალი!



ვთხზავ შობა-სიკვდილებს, მაქო და ჯარა ვარ, ვქსოვ დროის დაზგაზე ღვთის ცოცხალ ტალავარს.

ფაუსტი

დაუცხრომლობით, ო, რაოდენ ხარ ახლობელი!

მსგავსად და თვისად მიგირაცხავს შენი მხმობელი!

სული

ვინც შეგიცვნია, ხარ იმ სულთა მსგავსი და თვისი, ჩემი - არასგზით!

(გაუჩინარდება.) ფაუსტი, ჩამქრალი ხმით

ვისიდა?

ვისი?

მე, ხატი ღმრთისა, შენც ვერ გედრები?

(ისმის კაკუნი კარზე.) დასწყევლოს! ჩემი ფამულუსი! [14] რა დროს ეს არი!

ბოლო მოელო უზენაეს ჩემს ნეტარებას!

შემომავდება, ყველა ხილვას უმაღ გარეკავს

გულგამოჭმული მუზმუბელა, ეგ აბეზარი!

(შემოდის ვაგნერი, ტანზე შლაფროკი, თავზე ღამის ჩაჩი, ხელში სანთელი) ვაგნერი

გეჭრებით, მაგრამ შემომესმა დევლამაცია, მივხვდი, ანტიკურ ტრაგედიას დევლამირებდით.

დღეს კაცი, კარგად ვერმეტყველი, ცოტა კაცია, მსურს, მაგ დარგშიაც მოვიპოვო ცოდნა მცირედი.

მანდ კომედიანტს, გამიგია, არ ჰყავს ბადალი.

კაი მოძღვარსაც დამოძღვრავსო, აკი თქმად არი.

ფაუსტი

კი, თუ მოძღვარიც თავად იქცა კომედიანტად.

წარმოიდგინეთ, ხდება ხოლმე ჟამიდან ჟამზე.

ვაგნერი

მან, ვინც საცავში ჩაკეტილი ზის დღენიადაგ, ქვეყანას, ისიც დიდუქმობით, ჭოგრიდან გამზერს, ხალხზე, თუ არა რიტორული სწავლის შედეგად, სხვით რითლა უნდა მოახდინოს ბემოქმედება?

ფაუსტი

უგულ-უგრძნობოდ, ჩემო კარგო, სიტყვა ფუჭია, თქვენი გულიდან პირველქმნილი ძალუმი ძალით

თუ არ დაიძრა და მსმენელის გულს არ უნია, რისი შემძლეა? ვისზე გნებავთ, დატოვოს კვალი?

ან რა საქმეა, ნამუსრევი სხვათა და სხვათა, ჯდეთ, აკონინოთ უშნოდ და უფხოდ, სული უბეროთ ჩანაცრულ ღადარს, ნასუფრალისგან კერძები ლუფხოთ!

ვთქვათ, გააოცეთ ბაღლები და მატაოცები, რა ყელი გინდათ მოიღეროთ მაგ გაოცებით?

გულს თუ არ ჩადებთ, მიმოამკობთ მხოლოდ გარედან, ყურთან გარჩება, გულზე არვის გაეკარება.

ვაგნერი

მაინც რიტორი მეტყველებით ფასდება მჭევრით, მე ჯერ მანდამდე, ვგრძნობ, მაკლია ძალიან ბევრი.

ფაუსტი

ნუ ლამობთ, განზრახ ამღვრიოთ წყალი, ეჟვნიან შლეგად[15] იქცეთ ნებითად, აზრი და განცდა საჭირო ყალიბს

იპოვის ცოტა ხელოვნებითაც.

თუკი სათქმელი განუხებთ მართლა, რა საჭიროა სიტყვების ჩხლართვა!

ის რიტორსიტყვა, მოკაზმული და ნასხვისარი, ვაცთა მონუსხვა-გაოცება რითაც გწყურიათ, აი, გვიანი შემოდგომით, სველი ნისლექარის

ხმელ ტოტებს შორის ზუზუნით უამურია.

ვაგნერი

ღმერთო, გრძელია ხელოვნება, ცხოვრება მოკლე!

პერგამენტებთან გაბმით ჯდომისას, დავფიქრდები და შიში მომიცავს, ვიდრე მოსაღვეს მოიღვედე, თავადვე მოგღვეს.

პირველწყაროში ცდილობ შეღწევას, გბებსა და ხერხებს იგონებ ახალს, მაგრამ შუამდე მისულიც არ ხარ, უცებ სიკვდილი წამოგეწევა.

ფაუსტი

ეჰ, პერგამენტი რა ისეთი ჯადო-წყალია, ყველა წყურვილი დაუამდეს, ვინც ეგ დალია!

არ გვეღირსება დაამება, ცდაც ამაოა, ის პირველწყარო სულიდანვე თუ არ ამოვა.

ვაგნერი

მომიტევეთ და მაინც დიდი სიამე გახლავთ, დროის სულს ჩასწვდე, მოიხილო წარსული ახლად, ჩახვდე ძველების ნააზრევით და ნასწავებით, რანი ყოფილან და მასუკან რა შორს წავედით.

ფაუსტი

შორს, ნუღარ იტყვით, ვარსკვლავებს შევწვდით!

წარსული, ჩემო მეგობარო, შვიდმაგი ბეჭდით

დაბეჭდილია, ამოქოლილ კარებს ვეხლებით, ხოლო სწავლულებს დროის სული რაზეც უქვიათ, მათი სულია, მათივ აზრის მონაშუქია, გარდასულ ჟამთა უსიცოცხლო ანარეკლებით!

გამოდეჭილი, მკვდრადშობილი ფოლიანტები, ნაგვის ნაყარი, რეკვიზიტი, ობი და ხავსი, ან, დიდი-დიდი, დრამატული კორიანტელი, მეფე-მთავრებზე პომპეზური დადგმების მსგავსი!

შიგ პრაგმატული მაქსიმები სწალული ბრძენის, ბუსტად, როგორიც ბალაგანში თოჭინებს შვენის!

ვაგნერი

მაგრამ სამყარო! მაგრამ კაცის გული და გონი!

მანდ ყოველივეს ნაბიჯ-ნაბიჯ შეცნობა უნდა.

ფაუსტი

ვიცით, რა არის ეგ შეცნობა? ძალიან ბუნდად!

სახელებს ვარგებთ, შერქმეული სიტყვებით ვწონით!

იმ მცირედთაგან, ვინც შეიცნო რამე მანდედან

და ბრბოს გადასცა გულუბრყვილოდ ხილვა თუ განცდა, გგონიათ ვინმე იპატიეს? ნუ გელანდებათ!

გვემეს, კოცონზე აიყვანეს, ჯვარს აცვეს კაცთა...

გთხოვთ, მეგობარო, სადაცაა თორმეტს გადავა, ეგ სჯა-ბაასი გადაგვედო იქნებ ხვალისთვის.

ვაგნერი

თქვენთან ამ სწავლულ საუბარში მე ჩემდათავად

გათენებამდეც ვიფხიზლებდი დიდი ხალისით.

ხვალ აღდგომაა, ცოტა ხანი ხვალაც დამითმეთ, კვლავ შეგანუხებთ ორი-სამი კითხვით რამითვე.

დღედაღამ ვსწავლობ, არ გავუშვებ შემთხვევას ოდნავს, კი, ბევრი ვიცი, მაგრამ ყოვლის მწაღია ცოდნა.

(გადის) ფაუსტი, მარტო

რა იმედებით ანთებული დადის, დაღელავს, ეს ფუყე საზრდო კი არ უცხოობს, უხელებს მადას, ხელები ლაფში ჩაუყვია, დაეძებს მადანს

და ცას ეწევა, თუ გამოთხრის ერთ ჭიაყელას!

მაგის ხმა უნდა გაისმოდეს, უგრძნობი ცეტის, აჟ, სადაც სულთა ლაშქარია მომდგარი კართან?

თუმცა ამჯერად რას გემდური, რა მეთქმის მეტი, მიწის შვილთაგან უსაწყლესო, მადლობის გარდა!

სასონარკვეთას გამომტაცე, მკვდარი ნახევრად, აზრს ვერ ვიკრებდი, ვბაბანებდი გონგამოცლილი.

მაინც რა იყო ის იმხელა საზარ-სახება!

ჯუჯად ვიქეცი! წამომემხო თავზე ბორცვივით!

მე, უფლის ხატი, ვინც წარუვალ ჭეშმარიტებას

მივვახლე და შევემსჯვალე - ასე ვგონებდი -

ვინც ზედროულში მიმოვსრბოდი თავმოწონებით

და მიწიერი არსებობა ზღვარს ვერ მიღებდა, მე, ქერუბიმზე უფრო მეტი, მე, ვისი ძალაც

ბუნების ძარღვებს ედებოდა ცხოვლივ განტოტვილს, ვინც ვცისკროვნებდი, ღვთაებრივი ნათლით ვნათობდი, მგრგვინავმა სიტყვამ მომისროლა, როგორც ნაფოტი

და ისევ მტვერში მივსხმარტალე, მივათრევ პალანს.

როგორ მეგონა, მე, კადნიერს, თავი შენდარი!

კი, მაინც მოგწვდი, გამოგიხმე ყალყბე შემდგარი, მაგრამ ვერ შეგკარ, სამაგისოდ არ მეყო ძალა!

რა თავისუფლად ვსუნთქავდი იმნამს, დიდიც და მცირეც ვიყავ თანაბარ, როცა მაგ ბარხმამ უკუნსვე მიმცა, ისევ კაცებრივ ხვედრთან დამაბა!

რა ჯობს? დავიდო ნებით ბორკილი?

თუ მივყვე ძახილს? ვინ მეტყვის მაგას!

როგორც წრიალით, ავად ბორგნილით, საქმითაც ისე ვიბურდავთ გზა-კვალს.

რანამს მალლისკენ მისაქცევად განვებრახებით, ყველა წვრილმანი ჩასახშობად მოგვეტანება.

ცოტა დოვლათი თუ ვიშოვეთ, ცოტაც სახელი, იმ მაღალს უკვე ცთომა ჰქვია, ფუჭი ზმანება.

ქვეყნის ტრიალში ხევდებიან გრძნობა-განცდანი, სიღრმისეული რაც შემოგვრჩა, ყოფითს გამცდარი.

გეაიძრება წარმოსახვა ფრთების სწორებით, მარადისისკენ ლაღად შეკრავს კამარას უვრცესს, მაგრამ წამშივე უკუგვითრევს დროის მორევი, შიგ ცვივა ყველა სიხარული ფურცელ და ფურცელ.

ზრუნვა ბის, ზრუნვა, გულისგულში! ფარულად ღვივის!

ქსოვს განუწყვეტლივ, დღიდან დღემდე, უჩინარ ტკივილს.

მოუსვენრობით, დარდით ავსებს, გარს რასაც ნახავს, სახელებს იცვლის, ნიღბებს ირგებს ახალს და ახალს.

ხან სახლ-კარია, ჯალაბია, შვილი და ძირი, ხან ცეცხლი, წყალი, სანამლავი თუ ბურგში დანა, სანამ განსაცდელს დავლანდავდეთ, ვცახცახებთ მანამ, და დღეცისმარე დაუკარგავ დანაკარგს ვტირით.

არა ხარ ზესთა შესაგვანი, გეუნყა ცხადლივ!

ზესთა, რა ზესთა, უბადრუკო, ხარ ოდენ მატლი, მტვერს რომ მიიჭამს და, თუ მოხდა, გალოღდა გზაზე, გამვლელის ფეხი უცაბედი მტვერშივე ჩაზელს.

მართლაცდა რაა, სხვა რაღაა, თუ არა მტვერი, მთელ ამ კედლებზე თარო-წალო რითაც მივსია?

ჩიხიმახონი, დაფხავებულ ეტრატთა ჯერი, ამ საჩრჩილეთში თავს დაყრილი, რის მაქნისია?

აქ უნდა ვპოვო, რაც მაკლია? ვინყვიტო ქანცი, ათასი წიგნი გამოვლოღნო იმის დასტურად, თურმე ნუ იტყვით, ყველა დროში წვალლობდა კაცი

და უმდურველი ცოტა ვინმე თუ გარდასულა?

რაო, ფუტურო თავის ქალავ, რას შემომღიმი?

იმას, რომ ჩემი საგვემელი შენც გაქვს ნაგემი?

რომ დადიოდი მძიმე ბინდში ფოლხვა-ფორხილით, მაგრამ ერთადერთ მსუბუქ დღესაც ვერ მიაგენი?

თქვენც, თქვენც დამცინით, ცდათა ჩემთა იარაღებო, მაგ ჭახრაკებით, ციბრუტებით,

სახრახნისებით!

კარის წინ ვიდექ, ჯიქურ მსურდა მისი გაღება

და გასაღების მაგივრობას თქვენ გაკისრებდით.

მაგრამ ბუნება, რასაც რაზავს, გულდაგულ რაზავს, გარს მოუვლია უხილავი მკვიდრი კედელი

და, ჩვენი სულის სიღრმიდანვე არ გვამცნობს რასაც, ვერ გამოსძალავ დგუშებით და ქანჩბერკეტებით.

ხელსაწყოვ ძველო, არასოდეს ხელთ არ მჭერიხარ, მამისგან მერგე, აქ მაგიტომ ხარ შენახული, ძველო გრაგნილო, ერთიანად მჭვარტლისფერი ხარ, ჭრაქ-ბაზმებისგან დახრჩოლილი, ფერშელახული.

შემომფლანგოდა, რაც მეზადა, მიჯობდა ასნილ, ვინემ ეს ცოტაც საბელივით ყელზე მხვეოდა!

მამა-პაპისგან რაც მოგეცა მემკვიდრეობად, მოიეც, მაგრამ ნუ ეყმობი, შენი გზით გასწი!

ტვირთია განძიც, დადებული მოუხმარისად, წამი შობს ყოველს, ხვალემ უწყის გზანი ხვალისა.

მაგრამ მანდ საით მეზიდება უნებურ თვალი, რა ძალა ახლავს მაგ ლუსკუმას, რა ანდამატთა?

ან ჩემი სული მოლოდინით რატომ განათდა, როგორც უეცრად - ღამეული უღრანი მთვარით?

ეჭა, ფიოლო[16] ერთადერთო, სალამი შენდა, ნახვენო ბროლო, საწყაულო იდუმალ წვენთა, ხელობის მადლი დაგატვიფრა ხელმა მხვენელმა!

თაროდან კრძალვით გადმოგიღებ, აწ დადგა ჟამი!

პირთამდე სავსევ სასიკვდილო კამკამა შხამით, პატრონსა შენსა დღეს სჭირდება შენი შეწვენა.

გიცქერ და წყლული მიაძდება, ტკივილი დაცხრა!

ხელში გიღებ და იწმინდება, ბორგავდა რაც რა, ნელდება ღელვა, ფუჭ ღამეთა ვტოვებ ლაბირინთს!

წინ, ღია ზღვაში, აფრა ჩემი თამამად ივლის, დამიფენს ფერხით მოსარკული ზვირთების ლივლივს, ახალი დილა და ახალი მიხმობს ნაპირი.

ფრთაცეცხლოვანი მომეახლა ეტლი ციერი, ამქვეყნიური განმამორა ყველა სახმილი, მზად ვარ, მივენდო, გადავლახო თვალსაწიერი, წმინდა ქმედების საუფლოსკენ გზა მაქვს გახსნილი.

კვლავ ნეტარება ღვთაებრივი! ვინ აგხსნა ჯადო, რამ ღირსგყო, მდილო წელანდელი, ბნელს მიმალულო?

მაშ, მზეს მიწიერს, მოღადღადე, ხვავრიელ მნათობს, ზურგი ვაქციოთ უდრტვინველად, უსინანულოდ!

წარბმეუხრელმა გადალახე ის ბოლო ზღვარი, რომლის წინამეც ყველა არსი ძრწოლით ივსება, დრო დადგა, საქმით დაამტკიცო, განხმული კარით, -

ზესთა სიმაღლის თანადია კაცის ღირსება!

ნუ შეგაძრწუნებს სალმობათა ბნელი ქვაბული, ნაზღაპრევებმა რომ დახუნძლეს

გაფრიანებმა, იმ შესასვლელის მოიხილე კვნესა გაბმული, მის ვიწრო ყელში ჯოჯოხეთის აბრიალება!

მიიქეც გულით მხიარულით! გამართე ქედი!

არარად ქცევაც მოგელოდეს, თამამად შედი!

ბროლის ჭურჭელო, მაშ, დატოვე ლუსკუმა ძველი, მივიწყებული დგახარ შენთვის ამდენი წელი, არც ჩემი ხელი შეგხებია, არც ჩემი ფიქრი.

როგორ ბრწყინავდი მამაჩემის სუფრაზე წინათ, როცა მეგობრებს უახლოესს დასხამდა ლხინად!

პირთამდე სავსე დაუვლიდი თვითეულს რიგ-რიგ

და, როგორც ყოვლად შეუვალი წესი უდგენდათ, ეს სურათები, შენს ფერცხლებზე გამოხატული, უნდა აეხსნათ საღალღობო ლექსით სხარტულით, მერე ბოლომდე დაეცალეთ სულმოუთქმელად.

ახლა ვერც ვეღარ საღალღობო ზმას გეტყვი რასმე, ვერც ვეღარავის გადაგანვდი პირთამდე სავსეს, დღეს ამ ჟანგისფერ, ჩემი ხელით დანურულ სასმელს

მართო გამოვცლი, უცებ ათრობს ეგე სასმელი, უცებ გამიყვანს დროისა და სივრცის კიდევან.

მაშ, სავსე გულით, ამ ახალი დღის სადიდებლად, შევსვათ ბოლომდე სადღეგრძელო უკანასკნელი!

(სასმისი პირთან მიაქვს. მოისმის ზართა რეკვა და გუნდის გალობა.) ანგელოზების გუნდი[17]

ქრისტე აღდგა!

ძღვევითა აღვსილი!

თქვით ქება წყობილი, აღსრულდა თხრობილი, ხართ პირველშობილი

ცოდვისგან დახსნილი!

ფაუსტი

რა დუდუნია, რა წკრიალი, რა ხმები ზენა, მოულოდნელი მოვანებით რომ ავსებს სენაკს, ჩემს უნებურად რომ მაშორებს ბაგიდან სასმისს?

ჰა, მოწეულა, სააღდგომო რეკვაა ზართა, საგალობლებში ჩაკინძულა, წკრიალში ქნართა, სიტყვა-ნუგეში, დასტურყოფა ახალი აღთქმის, ანგელოზისგან წარმოთქმული აკლდამის კართან.

ქალების გუნდი

ცრემლით დავასველეთ, ვცხეთ ზეთი რჩეული, სამარხს დავასვენეთ

სურნელით კმეული.

აწ დავცქერთ ვებულნი

ცარიელ სამარხს, არღა ძეს ცხებული

სამარხსა ამას!

ანგელოზების გუნდი

ქრისტე აღდგა!

ხარობდინ ყოველი!

ნეტარ თქვენ, რომელთა

განძელთ უცთომელთა, იჭვით უკრთომელთა, შთით მსასოოველი!

ფაუსტი

ხმანო ციერნო, სად მიმიხმობთ, ლბილნი და მძლენი?

რისთვის დამეძებს მინა-მტვერში ქორალი თქვენი?

იქ მიდით, სადაც სასოება ჯერ არ ჩაკლულა!

ვისმენ ხარებას, მაგრამ უნდოდ, რწმენანაკლულად, სასწაული კი სხვა რა არის - ნაყოფი რწმენის.

დღეს ვერ გავბედავ, ძველებურად დავიდო წილი, სადაც სიხარულს გალობენ და უფლის დიდებას, მაგრამ ეს ხმები ჩემი სიყრმის ხმებია ტკბილი

და უკუმიხმობს, სიცოცხლისკენ მიმეზიდება.

მახსოვს, აღდგომის კვირახალზე რა მთრთოლვარებით

ვსვამდი ზეგარდმო ტრფიალების ცეცხლოვან კოცნას, მკაცრ სიჩუმეში ცათა განხმას რეკდნენ ბარები

და მწველ-ნეტარი ჟრუანტელი მივლიდა მლოცვარს.

მიმაჩქარებდა რაღაც ღელვა შეუცნობელი, ტყესა და ველად გავსულიყავ, დამეგდო სახლი, მხურვალე ცრემლებს ვინურავდი მარტოდ მყოფელი

და ვგრძობდი, როგორ იქმნებოდა სამყარო ახლივ.

ეს ხმები ჩემი სიყმანვილის თამაშებს მღერის, ბედნიერ დილებს, გაზაფხულის დღესასწაულებს.

იდინე, ცრემლო, გაცოცხლებულ იმ დღეთა ჯერი

სიკვდილს წედანდელ სადღეგრძელოს ვედარ დაუღევს.

იდინე, ჰანგო სანატრელო, ნაჟურო ცისავ!

იდინე, ცრემლო! სიცოცხლისკენ მოვბრუნდი ისევ!

მონაფე-მოციქულთა გუნდი

ძლევით არნახულით

აღდგა საფლავიდან, ჩვენგან დამარხული

ცხოვლივ ცად ავიდა.

გამორჩეულობის

მადლითა ფენილნი

ვტირით ეულებას, უშენოდ შთენილნი.

შვების წილ, მარტვილნი, ნაღველსა შევსვამთ, დიდებას დავტირით, მოძღვარო, შენსა!

ანგელოზების გუნდი

ქრისტე აღდგა!



ან შვება-ხალისით

ძაძანი განისხით!

რჯით-შემამკობთათვის, სიყვარულ-მყოფთათვის, ძმებრივ-მპურობთათვის, ნუგეშით-  
მხმობთათვის, ხარებად-მგზობთათვის

აქავ არს მოძღვარი!

თანა ვალს ცოცხალი!

ქალაქის ბჭესთან

[18]

ჭრელ-ჭრელი ხალხი ქალაქიდან სასეირნოდ გამოდის.

შეგირდ-ქარგალთა ჯგუფი

საით, ბიჭებო, სად მიხვალთ მანდეთ?

მეორე ჯგუფი

სახუნდრებისკენ, ხევგალმა გზამდე.

პირველნი

ჩვენ წისქვილისკენ ჩავყვებით ჯებირს.

ერთ-ერთი

ვასერჰოფისკენ წამოთ, ჯობია.

მეორე

რა სანახავი ვასერჰოფია!

მესამე

შენ საით იტყვი?

მეოთხე

საითაც სხვები.

მეხუთე

ბურგდორფს წავიდეთ, თუ ვართ წამსვლელი, გოგოები და კაი სასმელი, ზედაც მაგარი  
დაკა-დაკათი.

მეექვსე

მოგკლავენ, შვილო, დადექ, დაკავდი!

თავზე მდის უკვე! ნულარას მეტყვით!

რით ვერ გაძეხი ამდენი ბეთქვით!

მოახლე გოგო

მეყო, ვბრუნდები, მთელი დღეა, დაგყვები შტერად!

მეორე

თავი მომჭერი, იქ არ იდგეს, იმ ალვის ძირას.

პირველი

იდგეს და იდგეს, მერედა, მე რა!

ირბენთ, იცეკვებთ, გადახვალთ ყირას.

მე კუდში გდიოთ! იფ, რა კარგია!

თქვენი ყურება რაში მარგია!

მეორე

დღეს არა-მეთქი, არ მოდის მარტო, ხუჭუჭაც, გითხარ, საქმეში ჩართო.

სტუდენტი ბიჭი

გვრიტები! ორნი! არც იფიქრო დაკარგვა ნუთის!

კვალში ჩავუდგეთ! ღმერთმა მოგვცა, სრული განძია!

თუ რამე მიყვარს ცხოვრებაში - მაგარი ლუდი, მწარე თამბაქო და მოახლე გოგო კვანწია.

ბიურგერის ქალიშვილი

ბიჭებს შეხედე, თვალის სინათლეს!

ვაი და უი! სირცხვილი თქვენი!

არჩევანი აქვთ, ვინ არ ინატრებს, და გომბიოებს მისდევენ ქშენით!

მეორე სტუდენტი, პირველს

ნახე, სხვა ორნიც მოდიან ახლოს, მადროვე, ცეცხლი ნუ გეკიდება!

ის იქითური მეზობლად სახლობს

და ცოტა-ცოტა მომწონს კიდევაც.

მივესალმებით, დავენწყვილებით, ერთად გავივლით ხელგაყრილები.

პირველი

ბავშვი არ იყო! მომყევი სწრაფად!

აზიზმაზიზის ნუ გეჭერება!

იმ ხელმა, ცოცხი რომ ეპყრა შაბათს, კვირას სხვა ეშხით იცის ფერება.

ბიურგერი

ქალაქის თავი? ეგ ახალი? რაც იყო ძველი!

ფშუტეა, ფშუტე, სასიკეთოს ნურაფერს ველით.

გაკეთდა რამე მთელი ამ ხნისთვის?

უფრო გაფუჭდა, ვინემ გაკეთდა.

რაც დაინიშნა, მის მას აქეთ და, სხვა არაფერი, ტარიფებს გვიზრდის.

მათხოვარი, მღერის

კაცნო კეთილნო, ქალნო ლამაზნო, დაკაზმულებო, დალხენილებო, ეგებ მოიღოთ გროში

სამადლო, ჩემს განზანაძვე დახრა ინებოთ.

მიყვარს, როდესაც მთელი ამქარი

გამოდინხართ და გბებზე ხმაურობთ.

თქვენი უქმეა ჩემი სამკალი, ნუ მამუსიკებთ უსაზღაუროდ!

მეორე ბიურგერი

უქმედღობით რა მიყვარს და - ყველაზე მეტად

ომებზე მიყვარს სჯა-ბაასი, ტრაქტირში, ჭიქით, როცა შორს, შოორს, სადმე თურქეთს თუ იმას იქით, არის ბრძოლა და ერთმანეთზე ლაშქრების წყვეტა.

სვამ ნება-ნება, თან სარკმლიდან მდინარეს უცქერ, ჭრელ-ჭრელ კატარღებს გაუშლიათ ქარში აფრები.

მშვიდი გუნებით შინ ბრუნდები საღამოს მწუხრზე

და მადლობ გამჩენს, რომ არ ხდება გარს არაფერი.

მესამე ბიურგერი

არა, ჩემს გულში ზიხართ ნამდვილად, ვაპირებდი და თქვენ დამასწართ!

სხვაგან ქვეყანაც ამოვარდნილა, შინ ძველებურად იყოს, რაც არი.

დედაბერი, ბიურგერის ქალიშვილებს

რა კარგები ხართ, დედა-დედა, რა თვალადები!

თქვენ ინატრეთ და დანარჩენი მე დამაცადეთ!

ცხვირს ნუ იბზეებთ, ვიცი თქვენი გულის ნადები, ერთ შელოცვაზე შეგისრულებთ ყველა სანადელს.

ბიურგერის ქალიშვილი, მეორეს

ხალხი გვიყურებს, საშაროა, ფრთხილად, აგათა,[19]

მაგ კუდიანთან საუბარი აქ არ გაბედო!

არადა, გოგო, ანდრიობა ღამეს[20] თვალდათვალ

ბროლში მაჩვენა მომავალი ჩემი საბედო.

მეორე

მეც, მეც მაჩვენა! ბიჭად ბიჭი მართლა კარგია, ჯარისკაცია, მიდიოდა მწყობრში ჩამდგარი.

ვათვალეირებ მას მერე და, რა დაგკარგვია, არ მენახვება, ერთხელ თვალი ვერსად დავკარი.

ჯარისკაცები

ვერ უძლებს გოდოლი, რაგინდ-რა ძლიერი, დიაცი, რაგინდ-რა

გოროზი იერით

ვაჟკაცურ იერიშს!

დიდია საღვანი

და ჭილდოც მაღალი!

ხმა ჩვენი ბუკისა

მთადაბარს ედება, სად ვისთვის - ზეიმი, სად ვისთვის - ფეთება!

გვხვდებიან ყოვნიით, ვაშათი ერთხმით, ქალნი და ქალაქნი

ცვივიან ფერხთით!

დიდია საღვანი

და ჭილდოც მაღალი!

მივალთ და მივდივართ

დაფით და ნალარით!

ფაუსტი და ვაგნერი

ფაუსტი

წელში გაშლილა, მოლაღობს წყალი, ყინულის გარსში რომ იწვა გუშინ, ძალ-ღონეს იკრებს სიმწვანე მკრთალი, ზედ გაზაფხულის ტრიალებს თვალი, მთებისკენ გარბის გამთარი ქუში.

იქიდან გვიშენს ყინულის მარცვლებს, ტყე-ველს უღონო თვირთვილით ფერავს, მზე დახედავს და ცვარ-ნამად ამცვრევს, თეთრად შეფერილს ვერ ითმენს ვერას.

სიცოცხლის ფეთქვა მოსწყურდა მნათობს, სურს, ცა და მიწა ფერდაფერ ხატოს.

მაგრამ ყვავილი ჯერ არ ჩანს ველის, ჯერ ხალხით არის მინდორი ჭრელი.

ამ ბეჭობიდან გახედე ქალაქს, მძიმე, პირქუში კედელი რკალავს, და ალაყაფის გახსნილი კარით

ნელი ზიმზიმის გადმოდის ღვარი.

გამოფენილა მზის გულზე ხალხი, უფლის აღდგომას ზეიმობს სალხინს.

თვითონაც აღდგნენ, დათმეს დროებით

თავნანვეტილი ჯერმძიმე სახლიც, სახელოსნოც და სავაჭრო დახლიც, ვინრო ქუჩები, სახამროები, თუ საკრძალველი ბინდი ტაძართა, -

მზეს და გაზაფხულს არვინ დაბარდა, აღდგნენ, იმედით აივსნენ ახლით!

გამოაშურეს ჩახჩახა ამინდს, უცებ მოედგნენ მინდვრებს და ბაღებს, შეხედე, ჩვენი მდინარე ნახე, ურიცხვმა ნავმა დაფაროს ლამის!

ის ბოლო ნავი კიდევ დაყვინთავს, თუ არ აკადრეს ზოგ-ზოგს ჩამოსმა!

მთის ბილიკებზეც, უკვე გაღმიდან, გამოანათა ჭრელმა სამოსმა.

აგერ სოფლურიც გაისმის ხმები, რა უშურველად ხარობენ, ხვდები!

ეგ არის, გული გამხსნია საცა

და თავი მართლა მიგრძნია კაცად.

ვაგნერი

თქვენი თანხლება, ეს, ბატონო დოქტორო, ჩემთვის

განუზომელი პატივია - თან რამდენს ვიძენ! -

თორემ აქ სხვაფრივ, ამ გლეხებში, მონძეა ღმერთი, რა მომიყვანდა, ზნე მაგათი, პენი თუ სიბრძნე!

არის ჭყვიტინი, კეგლაობა, თხვრა, დღლაზა-დღლუზი, სილოდა ჰქვია გულისამრევს ყველაფერ ამას.

ისე შმაგობენ, თითქოს გვამში ეშმაკი უზით, ჰკითხო, სიმღერას ეძახიან, ცეკვას და თამაშს.

(გლეხები ცაცხვის ქვეშ) სიმღერა და ცეკვა-თამაში

მწყემსი ბიჭი ჭრელა-ჭრულად

მორთულა და მოკაზმულა, დილკილოშიც - ყვავილჭრელი.

ცაცხვის ძირას ცეკვა მიდის, ცეკვა მიდის, ჰაი გიდი!

აბა ჰა! აბა ჰე!

აბა ჰა და ჰო და ჰე!

ცეკვა მიდის, ჰაი დელი!

გადმო, გოგო, არ დამზოგო, შეითრია წრეში გოგო, შემოჰხვია წელზე ხელი.

მოიყვანა გოგომ გული, ბიჭო, ნუ ხარ სულწასული!

აბა ჰა, აბა ჰე!

აბა ჰა და ჰო და ჰე!

ნუ ხარ, ბიჭო, გაუბრდელი!

მაგრამ, როცა რიალ-რიალ

კაბა-კალთის ფრიალია, ქალი ხარ და გაუძელი!

აქეთ ბრუნდი, იქით ბრუნდი, ცხელი სუნთქვა, მკლავი-ხუნდი!

აბა ჰა! აბა ჰე!

აბა ჰა და ჰო და ჰე!

თედო-თედო დარბის ხელი.

გადეჟ, ბიჭო, ნუ მეკვრები, შეგვაცდენთ და უცებ ქრებით, არ მჭირდება სადარდელი!

მაინც ბიჭმა ნელა-ნელა

შეიტყუა, საცა ბნელა.

აბა ჰა! აბა ჰე!

აბა ჰა და ჰო და ჰე!

ცეკვა მიდის, ჰაი დელი!

მოხუცი გლეხი

მივესალმებით ბატონ დოქტორსა, უფრო გვიყვარხართ კიდევ მისთვისა, რო არ თაკილობთ ჩვენისთანებსა, რო მოიცალეთ აქ მოსვლისთვისა, ხელმწიფის ტოლო სწავლულ კაცო, დაუზარელო ჩვენი ხსნისთვისა.

ჭიქას მოგანვდით მონინებითა, ამა სურვილსაც დავატანთ ზედა, რამდენი წვეთიც მაგაში ესხას, იმდენი წელი იყავით მხნედა.

(გარშემო ხალხი შემოჯარდება.) ფაუსტი

მეც გადღეგრძელებთ ამ საღვთო ღვინით, ჭირი გამოროთ, გიმრავლოთ ლხინი.

მოხუცი გლეხი

კარგ დროებაზე მოხვედით დღესა, როცა ლხინია შინ და გარეთა, მახსოვს, რა ჭირში გიწვედათ მოსვლა, ეხლაც ვიგონებთ ვერე მწარედა.

ბევრი ჩვენგანი დღეს ცოცხლებშორის

სუ მამათქვენის მადლით წერია, იმან ჩააქრო, სულკურთხეულმა, ცხროების სენი რო დაგვერია.

თქვენც თან დაჰყავდით, ჯეელი ჯერა, შინ აკითხავდით ცხროვნებსა ჩვენსა, რამდენი მკვდარი გამოვიტანეთ, თქვენ უვნებელი გადარჩით სენსა.

უფალი იცავს კაცთა დამცველსა, არიდებს ჭირსა და განსაცდელსა.

ყველანი

გლოცავთ, სუ გევლოთ ვერე მრთელადა, ჩვენ სასახელოდ და მშველელადა.

ფაუსტი

ის ერთი ლოცეთ, ვინ-ერთიც ყველას

ცით გვიგზავნის და გვასწავლის შველას.

(გზას განაგრძობს ვაგნერთან ერთად.) ვაგნერი

ნეტავ ვიცოდე, რას განიცდით, კაცო ღვთის სწორო, მთელი ეს ხალხი, როცა ხედავთ, ასე გცემთ თაყვანს.

ო, ნეტარია, ვისაც ძალუძს, სიბრძნით იცხოვროს, ძალუძს ცოდნისგან მაგოდენა სიკეთის ნახვა.

ტყდება ჩოჩქოლი, მიმოკითხვა, საცა კი გახვალთ, გცნობენ, მოდიან დაუხანებლივ, ყრმებს უჩვენებენ თქვენს თავს მამები, ჩერდება დაკვრა, ცეკვები წყდება, განიჭრებიან, დგებიან წყებად, ქუდს იხდის ხალხი, ლამის მუხლის მოყრას აპირებს, მოასვენებდნენ თითქოს წმინდა ვენერაბილეს.[21]

ფაუსტი

ორი ნაბიჯიც ავიაროთ აგერ იმ ქვამდე, იქ ჩამოვსხდეთ და ამოვიღოთ მუხლიდან ქარი.

მახსოვს, რამდენჯერ მივცემივარ მაგ ლოდზე მჭდარი

მწარე საფიქრალს და რამდენი მანდ აღთქმა დავდე!

ჯერ ისევ სასონარუხლომი და რწმენამყარი, ცათა მეუფეს ხორცთა გვემით, ლოცვით და მარხვით

შევთხოვდი, არა, შევგმინავდი, დაეხსნა ხალხი, ჟამისთვის, აიმ ცხროებისთვის, დაედო ბღვარი.

დღეს აქ დაციწვად მეყურება ქება მაგათი, წამით ჩემს გულში ჩაგახედა, წაიკითხავდი, ვერც მამაჩემმა ვერა ქმნა რა საქებ-საქადი, ვერც შვილმა მისმა! ეგ წერია სრული სიცხადით.

დარბაისელი კაცი იყო, თითქმის გამდგარი, ლამობდა, ცდებით განეჩხრიკა ნივთთა ბუნება, ჰო, როგორ გითხრა, პატიოსნად კი რუდუნებდა, მაგრამ თავისი აბრუნდებით, ერთობ სხვაგვარით.

სამზარეულოს ალქიმიურს უჯდა ნიადაგ, სადაც ადევტებს ჰქონდათ მხოლოდ შესვლის უფლება, შიგ შევეტილნი დაეძებდნენ გზებს უჯიათად, საპირისპირო სანყისების შესაუღლებლად.

„ნითელი ლომი“ ნებიერი იყო სასიძო, „სოსანი“, ავზში ჩათბილული, იყო საცოლე, ჯერ შეუგზნებდნენ, როგორც ერქვა, ალს სალაცციოს, მასუკან არმურს, და უცვლიდნენ მიჯრით სანოლებს.

მინის ჯურჯელი უცხოდ ლივლივს იწყებდა მალე, ქორწინებისგან „მეფექალი“ [22] ჩნდებოდა ნორჩი, ნამლად აძლევდნენ პაციენტებს ამ ფერად ნალექს

და მერე აღარც კითხულობდნენ, მოკვდი თუ მორჩი.

გარს, მთელ მხარეში, მაგ საეშმო ნაზავ-ნარევით

შავ ჭირზე ბარე-უარესად ჩვენ ვმძვინვარებდით, მეც ნილი მიდევს, მეც მეკისრა ჩამორიგება.

ზღვა ხალხი განყდა, ის მონილე ისევ აქ არი

და უსმენს, მათი მაშინდელი ნაავსაქმარი

მართლა საქველო საქმესავით როგორ იქება.

ვაგნერი

ღმერთო მაღალო, და სინდისი გქენჯნით მაგაზე!

ვეღარ უვლია ვეღარავის ცოდნის აღმართით!

ყმანვილს რა სწავლაც გადმოგეცათ, საქმეს ახმარდით, ხელი ჩაკვიდეს, გამოგანრთეს და დაგაკაცეს!

როცა სიყრმითვე ღირსეულად აფასებ მამას, სწავლასაც მეტი ერთგულებით მიჰყვები მისას, თუ იმ საცოდნელს, ხანი გავა, შენც დასდებ ამაგს, ხვალ შენი შვილი უფრო მაღალს ეწევა მიზანს.

ფაუსტი

ნეტავ მას, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ ამოვყვინთავთ ცთომათა ზღვიდან!

მართლა საცოდნელს ვიმეცნებთ ვერას, შემოგვიბრძნია, რაც არად გვინდა...

თუმცა დროც ვნახე მაგაზე ხვნეშის, დგას შეღამების მშვენება წყნარი, ქოხებს გახედე ჩამავალ მზეში, მათ სიმწვანეზე დაფენილ არილს!

მზე მიდის, ჩადის, მზევდება სხვაგან, თვალსაწიერი დატოვა ჩვენი.

ო, ფრთები მომცა, ავფრინდე ლაღად!

ო, მზის კვალდაკვალ მატარა ფრენით!

დავცქერდე მიწას, გალურსულს დაბლა, დაისის შექმნე ფერებს რომ იცვლის, გარინდულ ტყე-ველს, მყინვართა ლაპლაპს, მდინარის ჩახჩახს, წყართა ლიცლიცს.

ვერ შეაბრკოლონ ღვთიური ქროლა

ვერა უფსკრულთა, ვერა მწვერვალთა, ჰა, გაოცებულ თვალთა წინ ზოლად

ზღვის თბილი უბე ამოელვარდა.

მე მივფრენ, მწუხრის გადამლახველი, მზე არ ჩამიდის, არ მტოვებს წამ-ერთ, ჩემ წინ დღეა და ჩემ უკან ღამე, თავზემით ცა და ფეხქვეშ ტალღები...



მკრთალდება, ჩაქრა, გასხლტა ზმანება, ისევ ბინდში და მიწაზე ვრჩები, ვაგლახ, სულიერ ჩვენს ფრთოვანებას, რად ხორციელიც არ ესხმის ფრთები!

მაინც წინ გვიხმობს ფარული ვნება, იქ, მალლა, ცისკენ, ლაჟვარდთა მხარეს, როცა ტოროლა ზარივით დარეკს

და ლურჯ სივრცეში წკრიალით ქრება, ან ფრთაგამლილი არწივი რიხით

ციცაბო ტევრთა თხემებზე ხვივის, ან მიფრენს ტბებს და ტრამალებს იქით

სამშობლო მხრისკენ წეროთა მწკრივი.

ვაგნერი

ვი, მეც შემიპყრობს, ხდება ხოლმე, ფუჭი ოცნება, მაგრამ, რაც ბრძანეთ, ვერ დავმაღავ, მესაოცრება.

ტყე-ველად რბენის არც დრო მომდევს, არც ხასიათი, ეგ, მით უმეტეს, არ მქონია, ფრთების კვიპტი.

ო, ჩვენეული აღმაფრენა სხვა სახმილს გვიგზნებს!

ერთი ფურცლიდან - მეორეზე! წიგნიდან - წიგნზე!

ზამთრის ღამეა, მყუდრო ღამე, ცივი და გრძელი, ბინა სითბოთი გაჟღენთილა მშვიდ-საამოთი, გაშლი პერგამენტს, ამოჩნდება დედანი ძველი

და ცა იხსნება, თავისითვე დაბლა ჩამოდის.

ფაუსტი

ერთადერთ ლტოლვას შეუპყრია შენი არსება, არც არასოდეს იცოდიხო სურვილი მეტი!

ორი სული დგას ჩემს სხეულში, ერთი ცას ელტვის, მეორე - მიწას, და ერთმანეთს ვერ ეთავსება.

პირველს სიმაღლე ენატრება, ზესამყოფელი, და განუწყვეტლივ, იქ, ეთერში აჭრის მნდომია, მეორეს მწარედ არ ეთმობა აქ ეს სოფელი, ყველა საცეცით ჩაჭფრენია და ჩაჭკვდომია.

ჰე, სულთა დასნო, გარეშემო მქროლნო ჰაერში, ვინც ზეცასა და მიწას შორის სივრცეებს სერავთ, ოქროცურვილი მაგ ნისლიდან დაბლა დაეშვით, ახალ ცხოვრებას მაზიარეთ, ვრცელსა და ფერადს!

ან ის მფრინავი მოსასხამი მომასხით ტანზე, ზღაპრისეული, ბავშვობაში რომ გვინატრია!

ფერმკრთალდებოდა მის წინაშე ყოველი განძი

და ბრწყინვალეობა ერთმეოდა მეფის მანტიას.

ვაგნერი

არ ჩამოიხმოთ ეგ დასები მაგ მავნე გვართა, გარს რომ ბრუნავენ და სავსეა მათით ჰაერი!

არა მოაქვთ რა ვაცისათვის, ზიანის გარდა, ხოლო ზიანი დიდიც მოაქვთ და ბევრნაირიც.

ჩრდილოეთიდან გადმოსულნი ავად ბასრობენ, აქვთ ისრებივით ენები და ავი ზაკვები, აღმოსავლეთით შემოჭრილნი ნელა გვაშრობენ, ადამიანთა ფილტვებია მათი საკვები.

სამხრეთის დასი ხორშაკია, ხვატი ამოაქვს, კეფაში დაგკრავს, გამოგაცლის უცებ არაქათს, დასავლეთისა ჯერ-ჯერ თუმცა სასიამოა, ტბორებად მიდის და მოსავალს ართმევს ბარაქას.

ფლიდნი არიან, არ იწყებენ ზრიალს და ბღავილს, ალერსს იწყებენ, გვიმაღლავენ უზურს თავიანთს, დალამუნებენ, ანგელოზად გვაჩვენონ თავი, არადა, ნურვინ მიენდობა, გული შავი აქვთ...

თუმცა დავიძრათ, ხანი უნდა შინამდე მისვლას, ბინდდება, ჟრჟოლავს, მაღლობები დაფარა ნისლმა.

ასეთ დროს არის, გიხარია სახლი და ჭერი.

მაგრამ რა იყო, რას გასცქერით გამჭოლი მზერით?

თავს ეჭვით აქნევთ, აკვირდებით რაღაც სხვარიგად...

ფაუსტი

მანდ შავი ძალლი ნანვერალში დარბის გარიგარ.

ვაგნერი

მერედა, მაგან შეგაშფოთათ? ირბინოს ძალლმა!

ფაუსტი

რა ჭილაგია? ერთი კარგად შეავლე თვალი.

ვაგნერი

პუდელი გახლავთ, დაჰკარგვია პატრონის კვალი

და მის ძებნაში დაწრიალებს აღმა და დაღმა.

ფაუსტი

არა, გარს გვირბენს, ახლო-ახლო მოდის თანდათან, წრეებს ნელ-ნელა ავიწროებს, თან გვითვალთვალეებს.

ნელან, მე მგონი, წამით აღმაც ამოანათა, უცებ იფეთქა და ზოლივით გაჰყვა ნაკვალევს.

ვაგნერი

ვერაფერს ვხედავ, ერთი შავი პუდელის გარდა, ბინდში მაგ ციალს უფრო თვალის შეცდომა ბადებს.

ფაუსტი

მე კი მგონია, რაღაც ჯადო-მარყუჟებს ხლართავს, ფეხებზე გვაქსოვს სამომავლოდ მაგიურ ბადეს.

ვაგნერი

მე ყოყმანს ვამჩნევ, წასვლაც უნდა, არც უნდა წასვლა, უკვირს, ორ უცხოს რომ წაადგა პატრონის ნაცვლად.

ფაუსტი

წრეც შემოთავდა, მორჩა, უკვე აქა ბრძანდება.

ვაგნერი

ჰოდა, ხომ ხედავთ, არც სულია, არც მოლანდება.

კვლავ ეჭვობს, მაგრამ შიში უკვე გაუქრა ჩვენი.

კუდს აქიცინებს. მუცლით ხოხავს. ძალღური ზნენი.

ფაუსტი

მოდის, სულელო, ნუ გგონივართ ავის მნდომელი.

ვაგნერი

ცქვიტი ძაღლია, პუდელურად დაუდგრომელი.

ჩერდები - გიცდის, ნიშანს აძლევ - მოექანება, თავს არ დაზოგავს, შეგისრულებს ყველა ბრძანებას.

დაკარგავ რამეს - მოგიძებნის, ციმციმ მოგიტანს, თქვენი ჯოხისთვის გადახტება წყალში ბოგიდან.

ფაუსტი

სწორი გამოდევ, ავსულისა არა სცხია რა.

ეტყობა, მართლაც ჩინებული წვრთნა გაიარა.

ვაგნერი

წვრთნა გაიარა, თან ცოცხალი მოსდევს გონება, ვფიქრობ, ეკუთვნის, ბრძენისგანაც ხვდეს მოწონება.

მაშ, წარმოგიდგინო: სტუდენტების შეგირდი გახლავთ, დაბეჭითებით ითხოვს ჩვენგან, ჩავაგდოთ ძაღლად.

სამუშაო ოთახი

[23]

შემოდის ფაუსტი, პუდელიც თან მოუყვანია.

ფაუსტი

ბნელში დავტოვე ტყე და მინდვრები, ღამე ჩამოწვა და გადაფარა, კვლავ ის უამია - დრო გარინდების, როცა უღრმესი იწყებს ლაპარაკს.

ცხრება წადილთა ხმა დღისიერი, ჩასძინებიათ საშმაგო ზრახვებს, და სული ჩვენი თრთოლით ციერით

ღვთისა და კაცის სიყვარულს ახმევს.

დანყნარდი, პუდელო, რა იყო, რას მირბენ გარს?

რას ყნოსავ ზღურბლსა და კარს?

რას დანრიალე, დახტი, წკმუტუნებ, ღრენ?

წექ ღუმელს უკან! ჰა, ჩემი ბალიში შენ!

გზად ბევრი იცელქე, სულ ხტუნვით იარე კარამდე, აქ უკვე შინა ვართ, ეგ შენი ბზრიალი დამთავრდეს.

კეთილი მასპინძლის თუ ვიცავ წესსა და რიგს, სტუმარმაც წესი ჰყოს, უკადრისს ნურაფერს იქს.

აციაგდება როცა ლამპარი

და განათდება სენაკი ვიწრო, გულიც ნათდება, გრძნობით გამთბარი, გული, რომელმაც საგულე იცნო.

ბასრდება აზრი, კვლავ დარი დარობს, კვლავ ძალას იკრებს იმედი მცხრალი, სადღაც  
სულ ახლოს ლიკლიკებს წყარო

და უკვდავების გადმოდის წყალი.

ნუ მიშლი, პუდელი, ხმებია ზენა!

თუ განზრახ ატეხე ყეფა და ღრენა?

არ გამაკვირვებდა, კაცს ექნა ეს, ჭირად სჭირს არჯლობა ადამის ძეს.

დაჰყეფებს, დაჰყმუვლებს, არ ესმის რაც, აიკლებს დაცინვით!

შენ რაო, პუდელი, რა ტვირთი გაც?

რას მავნობ კაცივით?

მორჩა, ეგ იყო, დაშრა ცხოველი წყალი!

სცადე, რაც გინდა, არ ამოფეთქავს ძალით!

კვლავ უნდა ვიჯდე წყურვილეული, მე შენ გეტყვი და არ ვარ ჩვეული, გამოცდილება, აბა,  
მანდა მაქვს, თუ მაქვს...

მაინც დავძალავ! სალბუნს ვუპოვი უმაღს!

ძალი მიწიერი

და ძალი ციერი -

გამოცხადება!

ახალ აღთქმაშია ყველაზე ძლიერი

მისი ნათება.

მსურს წამოვიწყო საქმე ძნელად გასაბედავი, ავამეტყველო ჩვენს ენაზე წმინდა დედანი.

თავდაპირველად იყო სიტყვა[24] - ასე წერია.

უკვე შევფერხდი. მანდ სათუო არაფერია?

ასეც დავტოვოთ? არა, სიტყვა არ ღირს მაგდენად.

არ ეფარდება, საჭიროა ცნების დადგენა.

გადამეწმინდე, გამინათდი, გონებავ ქუფრო!

ჯობს, პირველთაგან იყო აზრი. ფარდია უფრო.

შესდექ, ნუ ჩქარობ, არაფერი ჩანერო მცდარი, არ გაგიმრუდდეს პირველივე ნათარგმნი  
ბნჯარი.

აზრისგან იქმნა, რაც რამ იქმნა? ნივთი ყოველი?

თუ პირველთაგან იყო ძალა? ძალი ცხოველი.

არადა, რაღაც არ მანებებს, დავნერო ასე, რაღაც მაძალებს, შესატყვისზე ვიფიქრო სხვაზე.

სული მკარნახობს! ზუსტი არსი მოიკვეთება!

ვწერ დარწმუნებით: პირველთაგან იყო ქმედება![25]

თუ გინდა, პუდელი, გაგიყო ჭერი, შეწყვიტე ყმუილი, ფარსაგად მღერი!

არც მისმენს! თუ დადგეს, თუ დაცხრეს ნუთით!

ცეტი ხარ, ყმანვილო, ცეტი და ცმუტი!

გავბებრდი, დამთავრდა, მეტს ვეღარ აგიტან, ერთ-ერთი ჩვენგანი მიბრძანდეს აქედან!

ვწუხვარ, მასპინძელი გამოვდექ ცუდი.

არადა, რა გიყო, ბრალი ხომ შენია!

ჰა, კარიც მოგიღე - გზა ვარდად გფენია!

ოჰო! რას ვხედავ! რა ოინია!

რამხელა გახდა ჩემი ფინია!

წუთიც და სახე როგორ იცვალა, სად აინელა, სად აიძალა!

შინ მოჩვენება შემომიშვია, ვინ ეშმაური ჭილაგ-ჭიშია!

პუდელი იყავ, ცქათად შემოხტი, გაქრა პუდელი - დგას ბეჭემოთი, დაუფჩენია ხახა ვეება, ალი გიზგიზებს თვალთა წრეებად.

ვერ დამისხლტებით ქვესკნელის ძენი, კლიტე მიპყრია სოლომონ ბრძენის![26]

სულეები, ტალანიდან

ფრთხილად! არ გაბედოთ შესვლა!

გარირგვლივ მოჭარდით ყველა!

გაბმულა ბებერი ეშმა, ძრწის, როგორც ხაფანგში მელა!

ვეშველოთ, ხვრელი რამ ვუჩვენოთ, ქათიბი გასძვრება უჩვენოდ!

არიქა! არიქა!

ბე და ქვე! გარიგარ!

ოთხახმით! შავის ხმით!

სანამ არ დავიხსნით!

დავიხსნით, მისხნი ვართ, ათასგზის გიხსნივართ!

ფაუსტი

შელოცვა დავცეთ მლახვრელი, ოთხთაგან ამომსახვრელი![27]

სალამანდრა იწვოდეს, უნდინა ღვარობდეს, სილფი ქარობდეს.

კობოლდი მიწობდეს.

ოთხივე სტიქიას

ნიშანთა რიგი აქვს

ჯადოდ სახმარისი, სულეების საუფლოს

ვერ შეესაუბროს, ვინც იგი არ იცის.

ალში ჩასრიალდი, სალამანდრავ!

ჭავლად გაშრიალდი, უნდინავ!

ფრინდი, სილფო, შორით შორად, ცაზე ბრწყინდი მეტეორად!

ინკუბუსო[28], ამუშავდი!

გამო, ვინ ხარ, გამოშავდი!

ამ ოთხთა არსი

ცხოველში არ ზის.

წევს და შემომღიმის, ვითომც არაფერი, ვითომც სალალობოს ველაპარაკები.

ვანწინოთ სხვა რამე, უფრო სავარამე!

კრულვისამც სული ხარ?

ქვენიტ მოსული ხარ?

გზაბნელო მოხეტევე, ამ ნიშანს მოხედე, სცან, რასაც დაგძახი!

ეცნო, აიჯაგრა, შეუდგა ძაგძაგი.

ყურთ იღე ძახილი, იხილე სახელი

უჟამ-უქმნელისა, გამოუთქმელისა, დიდებასრულისა, ნებით ბასრულისა!

თვალდათვალ იფუშება, კუთხეში იყუჟება.

გაფუვდა, იფოლხვება, ჭერისკენ იბოლქვება.

განერთხე, კვამლო, ნუ მიხვალ ნურსად, მბრძანებლის ფერხით გაწეწი ლურსად!

მიხვდი, ტყუილად არ გემუქრები, ყველა სატანჯველს დაგცემ უკლებლივ!

გნებავს, განახო, რისიც ვარ შემძლე?

სამკვეცი გრძნება ვიხმარო შენზე?

სამსახმილოვან ალზე გახურო?

მეფისტოფელი

გამოდის კვამლიდან მოგზაურ სქოლასტად[29] ჩაცმული

რა საჭიროა ეს ხმაური? გთხოვთ, მიმსახუროთ.

ფაუსტი

აი, კაზუსი! პუდეღშიგნით რა ჩიტი მჭდარა!

სქოლასტი! თანაც მოგზაური! ღირდა წვალებად!

მეფისტოფელი

ჩემი სალამი ბატონ სწავლულს და მოკრძალება!

ისეთი ხვითქი გადამდინდა, ამ ჯერზე კმარა.

ფაუსტი

რა გქვია?

მეფისტოფელი

ყოვლად ლიტონი კითხვა, მისგან, ვისთვისაც უქმია სიტყვა, სძულს გარსი, ჩენჩო, მოდებ-

მიდება

და საგნის არსში ღრმად იჭვრიტება.

ფაუსტი

ეგ თქვენი ჯური თქვენი ფანდებით

სწორედ არსობრივ ვინ რა ბრძანდებით, ზედწოდებებიც მკაფიოდ ავლენს, ბუბების ღმერთი[30], მაცთური, მავნე...

კარგი, ვინა ხარ?

მეფისტოფელი

ვარ იმ ძალის ნაწილი ერთი, დღემუდამ ბოროტს რომ იზრახავს და სჩადის კეთილს.

ფაუსტი

როგორ გავიგოთ? უქარაგმოდ თქვი სათხრობელი!

მეფისტოფელი

სული გახლავარ, მუდამ ყოვლის უარმყოფელი, და სწორიცა ვარ, რაც შექმნილა, გაქრეს, ჯობია, დიახ, პირწმინდად, უკვალ-უკლებ მოსასპობია

და, რომ არასდროს შექმნილიყო, ის აჯობებდა, ანუ, მოკლედ და უქარაგმოდ, რასაც ცოდვებად, წაწყმედად ნათლავთ, ბოროტება რაზეც გიქვიათ, გახლავთ, ასე ვთქვათ, ძირეული ჩემი სტიქია.

ფაუსტი

ნაწილი ვარო, აცხადებ და - დგახარ მთლიანი?

მეფისტოფელი

მოკრძალებული სიმართლეა, გაჭრილად თქმული.

ეს - თქვენი მოდგმა ყელყელაობს, ადამიანი, რეგვენი თავი მთლიანობა ჰკონია სრული.

მე ნაწილი ვარ ნაწილისა, იმ პირვანდელი

ყოვლის ნაწილი, იმ ბნელისა, ვინც შვა ნათელი, ყინჩი ნათელი, დედალამეს რომ ეჭიფხება, რომ ედავება სივრცესა და ძველ ხელმწიფებას.

მაგრამ ფუჭია, რასაც ომობს თავგადაკლული, რადგან სხეულთა ზედაპირზე რჩება გაკრული.

მათით ლამაზობს, მათით არის, თუ არის მნათი, მათგან მოდენს და გზაც აგრეთვე ეხმობა მათით.

მათთან ერთადვე, იმედია, მალე გაქრება, სრულად მოუწევს არყოფნაში ჩაარაფრება.

ფაუსტი

გასაგებია, რაც გიტვირთავს ღირსეულ ვალად, ქვეყანას ვნება მოუტანო, არ შეგწევს ძალა, დაფაცვიფუცობ, პატ-პატარა ზიანს შეჰხარი.

მეფისტოფელი

და მანდაც ბევრი არაფერი მაქვს საკვებარი.

სამყარო ანუ წამიერი მცირე წყვეტილი, არარაობის წიაღიდან გამოჭყეტილი, მაინც დგას, ვერა დავაკელი, რაც არ ვირჯები, რა ქარიშხლები, რა ხანძრები, რა მიწისძვრები, რა



წყალთა რღვნები, რითი აღარ აღვმართე ხელი, ვერა და ვერა, დგას უვნებლად ზღვაცა და ხმელიც.

ან ეს ჯილაგი, ცხოველთა და კაცთა ნაყარი, მუსრე, რამდენიც გაგიხარდეს, ტალახში სრისე, გაიხედავ და სამზეოზე დაცოცავს ისევ, მიმორბის სისხლი ახალი და კიდევ ახალი.

წყალს, მიწას, ჰაერს მოსდებია სიცოცხლის ღვი, ღვივის და ღვივის, ერთი იყო, ათასი შობა, არც სიცხე უშლის, არც სიცვივე, ღღობა თუ შრობა, გავბებრდი! შველა აღარ არის! ღვივის და ღვივის!

ცეცხლი რომ არა, მცირე გოჭსაც ვერსად ვპოვებდი, ჩემი რამ კუთხე მომეფარგლა განკერძოებით.

ფაუსტი

მოკლედ, ამოაო ბაკვით ჩუმ-ჩუმით

შემოქმედ ნებას წინ ეგრიხები

და უილაჯოდ გაქვს დაკუმშული

ეშმაკეული ცივი მჭიდები.

გიტობს, მონახო სხვა საწრიალო, ქაოსის ძეო, კუდბანრიანო.

მეფისტოფელი

ხვალზევით ისევ მოვალ და გნახავ, მაშინ ვიფიქროთ ამა საქმისაც.

ნება მიბოძე, დაგტოვო ახლა.

ფაუსტი

ვიშ, ჩემი ნება მოესაკლისა!

გნახე, გაგიცან, აგიბი მხარი, წა და მო, რაწამს გითხრას გუნებამ, აგერ სარკმელი, ეს აგერ კარი, არც ბუხრის ხვრელი დაიწუნება.

მეფისტოფელი

მაგრამ გავლენა კარქვემო ნიშნის, მაგ დრუდეს ფეხში[31] რომ იფარება, შემაფერხებლად ცვლის ვითარებას...

ფაუსტი

აჰ, პენტაგრამა? და გასვლას გიშლის?

შიგნით როგორღა შემოხვედი, თუ ასე გასუსხავს?

ეგ ჯოჯოხეთის მონასხლეთი, ეშმა ნაჯევი, ვერაფერს მიხვდი და ტყაპანით ლაფში ჩაჯექი?

მეფისტოფელი

ტლანქად ხატია, მოხაზული არ არის ზუსტად.

ქიმი, გარეთკენ მიმართული, ხედავ თვითონაც, თავშეუკვრელი დარჩენილა, პირი აქვს ღია.

ფაუსტი

და ტყვე ხარ ჩემი? აი, მესმის შემთხვევითობა!

ჰე-ჰე, იღბალმა გაგიჭრასო, მაგ საქმეს ჰქვია!

უფიქრ-უზრახად ტარტაროზის აქ ჩაყუდება!

მეფისტოფელი

ვერ მოჰკრა თვალი სიჩქარეში ნიშანს პუდელმა, ცქვიტად შემოხტა, არ ჰქონია არაფრის რიდი, სამაგიეროდ, ზის ეშმა და ველარსად მიდის.

ფაუსტი

შენც, დიდი საქმე, ადგები და ფანჯრიდან წახვალ.

მეფისტოფელი

მაგ მხრივ ქაჯ-ეშმაკ-მოჩვენებებს კანონი გვზღუდავს, თუ სადმე შესხლტი, იმავე გზით გამოსხლტე უნდა: შესვლა ჩვენზეა, გამოსვლისას კანონის ყმა ხარ.

ფაუსტი

მაშ, ჯოჯოხეთიც მკაცრ კანონებს მორჩილებს, რაღა!

დავიმახსოვრებ, სამომავლოდ გამომადგება, ხელშეკრულების თუ მომიხდა თქვენთან დადება.

მეფისტოფელი

ო, მაგ საქმეში პირის შეშლა არა გვჩვევია, ბოლო მისხლამდე მოგეცემა, რაც აღგეთქმება, მაგრამ ხელწერილს დადინჯებით უნდა შედგენა, ყოველი სიტყვა სამსჯელო და გასარჩევია.

ამ ჯერზე აღარ მოესწრება, დღეს მოვრჩეთ ამით, ხვალ-ზეგ მოვალ და გავაგრძელოთ ეს ლაპარაკი, ახლა გამიშვი.

ფაუსტი

კიდევ ცოტაც, ორიოდ წამი.

ჩემზედაც მითხარ სამერმისო რამე არაკი.

მეფისტოფელი

დღეს მეჩქარება, სხვა მოსვლაზე დავრჩები დიდხანს

და შეძლებისად ვუპასუხებ შენს ყველა კითხვას.

ფაუსტი

რას მედავები, შენს გაბმაში მე მიდევს ბრალი?

შენს თავს მოჰკითხე, უნდა უკეთ გჭეროდა თვალი.

თქმულა, ეშმაკი მოიმწყვდიო, მყის ხელი სტაცე, ვინძლო მეორედ ველარ შეხვდე შემთხვევას ასეთს.

მეფისტოფელი

რაკი ეგრეა, დავრჩე უნდა, რა მაქვს სათქმელი, ოღონდ პირობა: კითხვები და განსჯები მორჩეს.

ეს დრო გართობას მოხმარდება. გთავაზობ კონცერტს.

ჩემი მაღალი ხელოვნების სმენით დატკბები.

ფაუსტი

იყოს, თუ მართლა ეგ სიმაღლეც აქვს მეტ-ნაკლები, თუ შიგადაშიგ ცოტა მაინც ჰგავს ხელოვნებას.

მეფისტოფელი

მდაბლად შეგნიშნავ: ჰაიჰარად მსჯელობ მაგაზე.

ეგ მცირე ხანი ბევრად მეტი განცდით აგავსებს, ვიდრე მთელი წლის შენეული ერთფეროვნება.

რასაც აქ ახლა გიმღერებენ ჩემი ჩვილები, ეს არ იქნება, უნდა გითხრა დანამდვილებით, მხოლოდ მსგავსება, მხოლოდ გარსი და საბურველი, ჩვეულებრივი ხელოვნების ლანდთა ლამუნი.

შექლებ, შეეხო, ნახო გემო, იგრძნო სურნელი, გულს შეგიჩქროლებს, მიყუჩდება თვალდანამული.

თან არც მზადება გვჭირდება დიდი.

აბა, ღლაპებო, აქა ხართ, მიდით!

სულები

თაღებო, განქარდით!

ბინდო, გაიფანტე!

გადმოკრთა ლაჟვარდი, ჯერ თაღთა სიფართე, ღრუბლები მიდიან ზედ!

სინათლე იალებს

ღრუბელთა კვალად, გადაიციალებს

ვარსკვლავი ცალად, გადაიკაშკაშებს მზე!

ციერი წყვილები, ნათლით მოსილები, ირგვლივ მიმოქრიან, სხივოსან სხეულებს, ალში გახვეულებს, ლტოლვით მიმოხრიან.

სამოსთა კალთები, ქობები, კვალთები

მთადაბარს ფარავენ, დაბრუნავს ამაღლა

ქალ-ვაჟთა სამალავ

დაბურულ თალარებს.

სავსე სილამაზე

ზვრებად ატეხილი, თალარი თალარზე, ვაზების გრეხილი.

მტევნები, ჯაგნები, მძიმენი, სართვლონი, სავსე საწნახლები, ღრმანი და ფართონი.

გადმოდის ღვარები, ნაკადზე ნაკადი, ივსება ღარები

ლალით და აქატით...

კვლავ გაფრინდებიან, გადავლენ დას-დასად, იქ, სადაც ტბებია, ბორცვები ხასხასა.

მერე კი - ზღვისკენ!

სამხრეთის მზისკენ!

კუნძულთა რწეულთა, ლაჟვარდში რეულთა, გეულთა, მზეულთა

სანატრელ მხრისკენ!

ფერხისთა წყობანი

გზებზე თუ მინდვრად, საკრავთა ხმობანი

ყოველი მხრიდან, წყობანი, წყებანი, მროკველთა რებანი...

და ისევ მიქრიან

გუნდებად სხვადასხვად, რომელნი მთადამთა, რომელნი ზღვადაზღვა.

ცალდაცალ მიქრიან, კვლავ და კვლავ იკვრიან

და ფრთაშენწყობილნი

გვერდ-გვერდ მიფრინავენ, სადაც შეტრფობილნი

ვარსკვლავნი ბრწყინავენ.

მეფისტოფელი

მორჩა, გეყოფათ, ყმანვილებო, ჩინებულია!

კარგად იღვანეთ, მისცემია ძილსაც გულიანს.

დიდად მაამეთ მაგ კონცერტით, მადლობას გიძღვნიტ.

ჯერ არ მოსცილდეთ, ცოტა ხანიც გაართეთ სიზმრით.

იძინე, ფაუსტ, არ ხარ ის კაცი, რომ ეშმას კუდში ჩასჭიდო ცაცი.

ახლა ვირთაგვის გვჭირდება კბილი, უკუმისაქცევს გაგვიჭრის ბილიკს.

მანდ სადღაც ახლოს გაიფხაკუნა, თავიც გამოყო. მო, ვირთაგუნავ!

პატრონი ყოვლთა თაგვიერთა, ვირთაგვიერთა, ბუბთა, ტილ-რწყილთა, ბაღლინჭოთა, მყვართა, მღიერთა, გიბრძანებ, ხვრელი დატოვო ახლავ

და ზღურბლზე ჩემთვის ბილიკი გახრა!

ჩემი შემკვრელი გახირხნო ქიმი!

ჰა, ზეთს ვანვეთებ, გიპოხავ ცხიმით.

კარგია! კიდევ! ცოტათი კიდევ!

მოსაღრღნელია უკანა ძგიდე.

მორჩა, ეგ იყო, გზა არი ხსნილი!

მშვიდობით, ფაუსტ! სიზმრები ტკბილი!

(გადის) ფაუსტი, იღვიძებს

კვლავ გაუვიდათ ავსულებს ფანდი, გაბრიყვებული დავრჩი აშკარად, სიზმრად მანახეს ეშმაკის ლანდი, ამასობაში ძალღი გამშპარა.

სამუშაო ოთახი

[32]

ფაუსტი, მეფისტოფელი

ფაუსტი

შემოდი, ვინ ხარ! - გამაბეზრეს...

მეფისტოფელი

მე ვარ.

ფაუსტი

შემოდი!

მეფისტოფელი

წესია, უნდა სამჯერ წართქვა.

ფაუსტი

შემოდი, კარგი!

მეფისტოფელი

ველარ გავჩერდი, ვნახავ-მეთქი, წუხს უჩემობით!

ვინძლო შევჯერდეთ და კიდევაც ავიკრათ ბარგი.

ვატყობ, სულ უკეთ შევეწყობით, რაც ხანი გავა, უნდა ჩმახები გამოგბერტყო, გავსხა ნალველი.

აქ შეფენულად მოკაბმული მაგიტომ ვდგავარ.

ჰა, შემომხედე! თქვი, როგორი ვარ სანახველი!

ან რა წითელი მოსასხამი, დიბა რჩეული, ან რა ქათიბი, ოქრომკედით ამოხვეული!

ქუდი, რა ქუდი, შემკობილი, მამლის ფრთიანი!

ბალთა-ყანიმზე გრძელი დაშნა ბარნიშიანი!

რადას უბიხარ, ადექ, მომბაძე, შენც გამოენყვე ჩემს კვალობაზე, გავბოლთ-გავმეცნოთ სხვა სამეცარი, ვნახოთ, ცხოვრება რა რამეც არი!

ფაუსტი

ეგ შენი დიბა-ატლასები, ფიქრობ, უშველის, აღარ მემძიმოს კაცის ყოფა წელგაუშლელი?

მე ბებერი ვარ საიმისოდ, ავყვე თამაშებს, მაგრამ არც ისე, სურვილები აღარ გამაჩნდეს.

„დათმე, ითმინე!“ - ჩაგვძახიან, მაგრამ რითიმე

წაგვადგა ვინმეს ეგ უცვლელი „დათმე-ითმინე“?

ეს ხმაგაბმული, ხმაგაბზარული, გულისთვის ურგი, სმენისთვის მქისე

ათასწლოვანი ყალბი ჟღარუნი, ყურს რომ გვიხედნის ისევ და ისევ!

დილას ვიღვიძებ სასონარკვეთით, ყელს მობჯენილი სიმწრის ცრემლებით, ეს დღეც ჩაივლის ჩემი არც ერთი, არც ერთი ნების არამხედენელი!

სურვილშიგნითვე კირკიტებს ეჭვი, იმედის ბოლო ნატამალს მაცლის, უსახურ ლანდებს ამოშლის ღმეჭით, იშრომე, ბრიყვო, გასწიე ღვანლი!

დამე დავწვები, სიზმრები მზარავს, და ისევ დილის მოველი მოსვლას, შეშინებული ვზი ძილის კარად, არ ვიცი, საით გავასწრო კოშმარს.

ჩემშია ღმერთი, აქ სუფევს, შიგნით, ჩემს ყველა ძალას ემეუფება, მაგრამ ჩემს გარეთ უქმია იგი, გარეთ არ აღწევს მისი სუფევა.

ღონე წამართვა მაგ სატანჯველმა, ვეძახი სიკვდილს! მსურს აღსასრული!

მეფისტოფელი

მაგრამ სიკვდილი, რაღაც არ მჯერა, სტუმარი გახლდეს ეგდენ სასური.

ფაუსტი

მშურს, ვისი შუბლიც გამარჯვების ბრძოლამ ფიცხელმა

სამარის კარზე სისხლიანით შეამკო დაფნით, ან სატრფოს მკერდზე ვინც იპოვა თავდავინწყება, სიკვდილთან ერთად ნეტარება იგემა მძაფრი.

რისთვის დამინდო დიდმა სულმა მის წინ გართხმული, რა სასოებით მოვკვდებოდი, შვებით ართქმულით!

მეფისტოფელი

მაგრამ ვიღაცამ - როგორ იყო? - ვეღარ იკისრა, იმ სითხის შესმა შუალამით, იმ ჟანგისფრისა.

ფაუსტი

ჩანს, ეგ ხელობაც გემარჯვება - თვალთვალი სხვისი!

მეფისტოფელი

არა ვარ თუმცა ყოვლისმცოდნე, ბევრი რამ ვიცი.

ფაუსტი

რეკდნენ ბარები, გალობდა გუნდი, გულზე მომეთბო და გადამძალა, ბავშვობის ხმათა სიტკბოთი ვცთუნდი, გამოუცლელი დამრჩა სამსალა.

კრულ იყოს ყველა მაცთური ხიბლი, ყალბი ხილვებით გვეხშობა ხედვა, თვალს გვაფარია გრძნეული ლიბრი

და ვაებათა ქვაბულში ვსხედვართ!

კრულ იყოს გონის თავდაჯერება, ცთომათა კემსით ამობლანდული, და შეგრძნებებზე რიოშ ფერებად

ფუჭ მოვლენათა ვლენა ლანდური!

კრულ იყოს ტკბობა სახელ-დიდებით, ცრუ უკვდავების ზმანებით ნბილით, თუ მონაგარით, გულს მიმჭიდებით, ყმით და მამულით, ცოლით და შვილით!

კრულ იყოს ვერცხლი, მამონი ხარბი, კაცის გულ-გვამში გამჭდარი წყევად, გვჭამს, სულერთია, სახვეჭად გავრბით, თუ ბალიშებზე განცხრომით ვწევართ!

კრულ იყოს ყველა შვება და ლხენა, ისიც, ის წვენიც, ნაჟური ვაზის!

ვწყევლი სიყვარულს, იმედს და რწმენას

და რასაც თმენის ბეჭედი აზის!

სულების გუნდი, უჩინრად

ეს რა ქნა, რა გვწნია

მსახვრალი ხელით!

პარტახად აქცია

ქვეყანა მთელი!

ნახევარღმერთია, დალენა ერთიან, მოთხარა, აღუფხვრა ძირი!

რა საქმეს შევებით, გაგვაქვს ნანგრევები, გარდასულ მშვენებას ვტირით!

ძეო კაცისაო, ჰყავ, აღმენდეს, აღმშვენდეს კვლავ!

გულშიგნით ააგე, ლამაზი ათასწილ, გასწი და გააგენ, სხვა სივრცეს გადასწვდი!

ახალი განგების

განაღე ტაძარი, მქუხარე ჰანგები

გულდაგულ დაძარი!

მეფისტოფელი

ჩემი ბარტყებია, უკან დამყვებიან.

ღლაპთა კვალობაზე

ბრძნული გალობა თქვეს.

გირჩევნ: დატოვე

ეს ბნელი დილეგი, დათმე სიმარტოვე, სიკვდილის ჩრდილები.

ვეღარ დახსნიხარ ნუხილთან ლაციცს, გფლეთს, როგორც ძერა, გაალმასებით!

ჯობს, ვაცთა შორის ცხოვრობდეს ვაცი, ბრბოში ჩამდგარიც იგრძნობ სავსებით.

ბრბო სიტყვად ითქვა, ვინ გკადრებს მაგას, შენთვის სარბიელს გადავშლით სხვაგვარს.

ვთქვა, დიდთაგანი ვარ-მეთქი, არ ვარ, მაგრამ, რაცა ვარ, გზად გავიგები, არ გაგაყოლებ არაფერს ჯავრად, ოღონდ გარიგდეს გასარიგები.

ქვეყანას ერთად მივივლ-მოვივლით, თვით გიმეგზურო, მაქვს განზრახული, გსურს, გამოგყვები გვერდზე ტოლივით, გსურს, შევიქმნები ყმა და მსახური.

ფაუსტი

სამაგიეროდ რას მოითხოვ, რა მავალია?

მეფისტოფელი

ღრო ჯერ ბევრია, ჯერ იქამდე გრძლად სავალია.

ფაუსტი

არა, ეშმაკი რა თავკერდა რამ არის, ვიცით!

ღვთის გულისათვის შემოუდგეს საქმეს ჯერიანს, მადლის სათესად ამოგიტყვრეს უეცრად მიწით!

ზუსტი მითხარი, საზღაურად რა მანერია, ვინც ასეთ მსახურს მიენდობა - თავის მტერია.

მეფისტოფელი

შენს ყველა სურვილს შევასრულებ აქ, ამა ქვეყნად, რასაც მიბრძანებ, არ დავზოგავ თავსა და ძალას, მაგრამ იქ, სადაც ბოლო ჯერზე მოგვიწევს შეყრა, უნდა იმავე სამსახურით მომაგო ღალა.

ფაუსტი

იქ რა მოხდება, ჩემი ჯავრიც ეგა ყოფილა!

ჯერ ეს ქვეყანა, რაც არ ებრძვი, არ დამხობილა, დაემხობა და ნურც მდებია ახალში წილი!  
ამ მინაზება, რაც მილხინს და მევალალება, ეს მზე დაჰნათის ჩემს ამიერ ტანჯვა-წვალებას  
და არად მიჩანს არაფერი, მათუკან ქმნილი.

იქაურ ამბებს, აკი ხედავ, არც გეკითხები, სძულთ, უყვართ რამე, განერჩევათ ზენა და ქვენა,  
ერთხელ თუ მაინც მომიბრუნდა მაგაზე ენა?

რა არის ჩემთვის იქაობა? - ფუჭი სიტყვები!

მეფისტოფელი

მაშ, დაბრკოლებაც არ გვქონია, შევკრათ კავშირი!

უზღვავ-უნყველი სიმდიდრეა შენ წინ გაშლილი.

ნახავ, თვითონვე დარწმუნდები, რა ხელუხვი ვარ, ისეთს გაგიჩენ, ძეხორციელს რომ არ  
უხილავს.

ფაუსტი

რისი მოცემა შეგიძლია ეშმაკს, საცოდავს?

მაგ შენი ადლით ვერ გასწვდები კაცის კაცობას, სულის სიმაღლეს, დაუცხრომელ მისეულ  
სწრაფვას!

მაინც რითი გსურს მიმიბირო, რას დადებ, რა ფასს?

რა გაგაჩნია მისანდობი და სანდომელი?

საბრდო, რომელიც არ ანაყრებს? ოქრო, რომელიც

ვერცხლისწყალივით თითებშუა ბზრიალით მიდენს?

სახელ-დიდება, ის, რომელიც მინა-მტვერია?

ქალი, რომელიც თავს კვლუცად ჩემს მკერდზე მიდებს, თვალი კი, თურმე ნუ იტყვი და,  
სხვაზე სჭერია?

თამაში, სადაც მოსაგები არაფერია?

სხვა? კიდევ? კიდევ? ზედ ყუნწზევე მიმპალი ხილი?

თუ ვარჯის ახლად ამწვანება ყოველი დილით?

მეფისტოფელი

ეს განძი თავზე საყარია, არ მეზოგება, მაგრამ ეგენი, მაგნაირი წაგებ-მოგება

ჩვენ ვერ მოგვხიბლავს, იმთავითვე ეს იყო ცხადი, ჩვენ დრო გვიჩვენებს, რითი გავწევთ  
უკეთეს ნადიმს.

ფაუსტი

არა, დღეს ითქვას, აქვე და აწვე, თუ მცონარების ბუმბულში ჩავწვე, ანდა გავბრუვდე  
სიამით მწველით, ან კიდევ ნახო, დავყევ შენს ლიქნას

და თავი მომწონს, განწირულ ვიქმნა, იმსაუკუნო დამეცეს ბნელი!



ნაძლევია!

მეფისტოფელი

მზად ვარ!

ფაუსტი

მომეცი ხელი!

თუ წამს მიმავალს როდისმე ვეტყვი: „მეყოვნდი, წამო,[33] ხარ მშვენიერი“!

დამდე ბორკილი, დამეც შენს ფერხით, ჩამასვე ჭანგი ქვესკნელიერი!

განთავისუფლდე იმავ წამიდან, რა მსახურებაც გაქვს ნაკისრები, შედგეს საათი - ჟამი წავიდა! -

ძირს ჩამოცვივდეს მისი ისრები.

მეფისტოფელი

კარგად მოზომე! შენს ყოველ სიტყვას

დავიმახსოვრებთ.

ფაუსტი

სწორიც იქნები.

ნუ გეგონება, რაც ახლა ითქვა, ტრაბახით ითქვა, დაუფიქრებლივ.

რანამს მიხილავ დატბორებულს, არსაით მავალს, შენი თუ ვისიც, არ ვკითხულობ, მარადი ყმა ვარ.

მეფისტოფელი

დოქტორულ ნადიმს ვემსახურით, დამდგარა ჟამი, გარდავისახით, დრო მოსულა, ერთგულ მსახურად, მაგრამ ჯერ, სანამ საბოლოოდ გარდავსახულვარ, უნდა სტრიქონი წამიფხაჭნო ორი თუ სამი.

ფაუსტი

პედანტი ნახე! - თამასუქს ითხოვს!

სურს ხელწერილის ახლავ დადება!

მეპირ ნათქვამი სხვა იყოს თითქოს, თუ დავწერთ, აღარ ელაღატება!

ლპება ეტრათი, იწვის ფურცელი, კაცური სიტყვა რჩება უცვლელი.

ეს ერთგულება, რა გესმის უბირს, კაცის სულსა და გულში წერია, მსხვერპლსაც გაიდებს, მაგადაც უღირს, აღასრულებს და ბედნიერია.

პერგამენტი კი რა არის? - ჩრდილი!

და ჩრდილთა ჩრდილი, რაც აბარია!

კალმის წვერზევე სიტყვა მკვდარია, დგას მეუფება ტყავის და ცვილის.

კარგი, დავწერთ, ბნელო სულო, არ გაცილობლებ.

არადა, რაზე? რითი რაზე? რას დასჯერდები?

ქალაღდზე? ტყავზე? ბრინჯაოზე? მარმარილოზე?

კალმად - კალამი? თუ გრიფელი? თუ საჭრეთელი?

მეფისტოფელი

ცხარობ, რიტორო, ძალზე ცხარობ, შორს გაიჭერი, ეს რამოდენა ქვა-ლოდები მოჭერ-  
მიჭერი.

საკმარისია სულ უბრალო ფურცლის ნახევი, ზედ ოღონდ სისხლით მიაწერე შენი სახელი.

ფაუსტი

გნებავს და იყოს! ესეც ასე! რას გეზრახები...

ხუმრობთ, ეტყობა. ვიშ, წესები დაგიდგენიათ!

მეფისტოფელი

ო, არა, სისხლი სხვა რამეა, სულ სხვა წვენია.

ფაუსტი

ტყუილად ფიქრობ, რომ აღთქმას გავტეხ, ეგ ვარ, მაგასლა ველი და ველტვი, რისი  
პირობაც აქ ახლა დავდე, სულ ეგ ვარ, ხელიც ავაპყრო ცამდე, შენი ფარდი ვარ, არაფრით  
მეტი.

ზიზღით უარმყო სულმა მაღალმა, ბუნებამ ცხვირწინ დამიხშო კარი.

ცნობადის მძებნი, მორჩა, აღარ ვარ, მომძაგდა ცოდნა, ურგი და მკვდარი.

ან მთელი სიღრმით ვეძლევი გრძნობადს, ვნებებს, ცეცხლოვან წადილთა ცხრობას.

ხდომილებათა მივყვები ღვართქაფს, სადაც დრო მისრბის, ცხოვრება ღელავს.

ჯადო-გრძნებები იხმიე, რაც გაქვს, დე, სასწაული მზად იყოს ყველა!

ქვეყნის ტრიალში ერთმანეთს ებას

ძლევა და მარცხი, შვება და ვება, სიტკბო-სიმწარე ყველა ნაჯერთა, -

ვერ ცხრება კაცი, რასამ დაჯერდა!

მეფისტოფელი

მერედა, მისდექ, ვინ გივლებს ზღუდეს, ახარე გული, რამდენიც გსურდეს!

ტრიალ-ბზრიალში წყვიტე და კრიფე, რაც ხელში მოგყვეს, მკვახე თუ მწიფე, სწვდი, არ  
დაზოგო, მიიხვენი მთელი მარაგი!

ფაუსტი

მიხვდი, არ არის სიხარულზე აქ ლაპარაკი.

ტკივილუული ნეტარება, რაც მეშურნება, თრობა, მძულვარე სიყვარული, მარცხით  
კურნება.

ცნობადზე ბორგვის მძიმე სენით ნაავადარი

ყოველგვარ ტკივილს გადაეხსნას, გული მზად არი!

მინდა ვიცხოვრო მართოდენ ჩემად კი არა, სხვებადაც, კაცთა ყველა ხვედრის  
თანაზიარად.

ყველა სიღრმემდე ჩავაღწიო სულით განხმულით, ყველა იდუმალ შეგრძნებამდე, ყველა  
ზრახვამდე, სრულად, სავსებით, ყველა არსში ვიქმნა დანთქმული, ყველა „ნეტარ“ და

ყველა „ვაჰმე“ გულზე დახვავდეს.

მოვისიამო ყველაფერი და მოვიგვემო, ბოლოს დავიმსხვრე კაცის წესზე, ეგეც ვიგემო.

მეფისტოფელი

ენდე, ლოდნიდა ვინც ათასწლობით

ყოფიერების გამომხმარ ყუას, რომ ვერა კაცი, მუცლით ნაშობი, ვერ გამოცოხნის, იმედი ნუ აქვს.

ნათელი მხოლოდ ღმერთისთვის ქმნილა, იქ დაიმკვიდრა ზესთა ზეობა, ჩვენ უკუნეთი გვარგუნა წილად, თქვენ - დღედაღამის მონაცვლეობა.

ფაუსტი

თუკი მნადია!

მეფისტოფელი

თავს ვუხრი წადილს.

ხამს, გამოიღოს ეშმაკმა ხელი!

ერთი მაფიქრებს - სიმცირე ვადის: ხანი მოკლეა, ამბავი - გრძელი.

ჯობია, მგოსანს შეზრახდი ვისმე, თავს დაგაბერტყოს ყველა სიქველე!

არ გაზოზინებს, აგიხდენს მყისვე, რასაც კი ნატვრად ამოიხველებ.

დაგენათლება მწყობრი სიტყვებით

ლომისამც გული, ირმისამც რება, თან სამხრეთული სისხლი ფიცხელი, თან ჩრდილოური უტეხი ნება; ბუნება სათნო, ნირი მზაკვრული, მიამიტობა ღრმად ეშმაკური; სახმილებად და ტრფობის ალებად

გამოგეგმილი აბრიალება.

მოკლედ, იმგვარად მიგმოს-მოგმოსავს, გიხილავთ ბატონ მიკროკოსმოსად.

ფაუსტი

თუ ვერ ვენიე გვირგვინს მიწიერს, ერთ აწვდენაზეც ვერ ავიწიე, თქვი, რა ვარ მაშინ?

მეფისტოფელი

რაცა ხარ, ის ხარ.

პარიკზე რაგინდ კულული ისხა, ქუსლებზე შედგე, რაგინდ მაღალზე, რაცა ხარ, ის ხარ, თავს ვერ აღაბევ.

ფაუსტი

კაცობრიული ცოდნის საუნჯე

ამაოდ მოვიხიბ-მოვიბლაუჭე.

რასაც არ ავწვდი, ქვემომისხლიტა, ვერ მივეახლე უზღვრელს და ქმედითს, არა ვარ ახლოს ერთი მისხლითაც, თმის ერთი ბენვით არა ვარ მეტი.

მეფისტოფელი

ჩემო კეთილო, შენც იმას იბრძვი, რაზეც დაცურდნენ სხვანი და სხვანი.

მიმოვიცხოვროთ იოლი სიბრძნით, სანამ წასულა იშტა და ჯანი.

შენი ტან-ფეხი, თავიც და ტ---იც, გერგო და, ბასტა, ზედ გამშვენია, მაგრამ ასედაც შევხედოთ საკითხს, -

რაც ჩვენით ვირგეთ, ნაკლებ ჩვენია?

თუ ექვსი ცხენის ვზღე საფასური, ძალ-ღონეც ვირგე სწორედ იმხელა, კოფოზე ვზივარ კაცი ვაცური

და ოცდაოთხი ფლოქვით მივგელავ.

ჰოდა, აზრებით ნუ თავი გიხურს, შიგ ცხოვრებაში შევგელდეთ ჯიქურ.

ვინც განყენებულ საკითხებს წვალავს, ჯოგით ხელობს დაუმცხრალივით, წრებე რომ დარბის ბღავილ-ბღავილით, გარს კი ხასხასი გაუდის ბალახს.

ფაუსტი

რითი დავინყოთ?

მეფისტოფელი

წავიდეთ ფიცხლავ!

ამ სატანჯველში გულს ნულარ იწყლავ.

რა ცხოვრებაა, მოწყენა გჭამდეს, უმნიფარ ბაღლებს უცრიდე ქატოს, გადააბარე, ნუ ფიქრობ ამდენს, მეზობელს შენსას, ბაღლინჯო-ბატონს.

ცოდნასაც მისწვდე, მაღალს ათასჯერ, რა ჯკუით გინდა ღლაპებს გადასცე!

ერთი მათგანი, ხსენებაზე, ტკეპნის მანდ პარმალს.

ფაუსტი

ვეტყვი, წავიდეს, მაგის თავი აქ ახლა არ მაქვს.

მეფისტოფელი

საწყალი ბიჭი, რა ხანია, ყურყუტებს კარზე, ცოდოა, ისე გავისტუმროთ, ნუგეში არ ვცეთ.

მოდო, მე მომეც შენი ფლასები, ცოტა ხნით სწავლულს დავემსგავსები.

რჩევები გავცე შეუსადარი!

(მოირგებს ფაუსტის ქუდსა და მოსასხამს.) ათიოდ წუთი კმარა სავსებით, ამასობაში შენც დაიჭერ გზისთვის თადარიგს.

(ფაუსტი გადის) მეფისტოფელი, ფაუსტად გადაცმული

ჰო, დაგმე, დაგმე გონებაც და ყოველი ცოდნაც, რაც გააჩნია ვაცის მოდგმას უბენაესი, წვდომას, განჯვრეტას საჩიბავთა არჩიე ფხოტნა, ყველა სატყუარს გული მიეც, ისე დაეცი!

სიცრუის სულთა შემოინან ყელზე ხლართები

და აღსრულდება, სამუდამოდ მე ჩამბარდება.

წინ მოსწრაფე! ველარ იცლის ვერა სხვათათვის!

ყველა მიწიერ სიხარულზე ოთხით გადადის.

ჩავითრევ, სადაც მღელვარეა ცხოვრების დენა, ფუჭ წვრილმანებში, უსარგებლო გნიასში ჩავრთავ, ამიფართხალდეს, გამირეტდეს, დაძალოს ქვენამ, ხშირ-ხშირად ველარ

განმარტოვდეს საკუთარ თავთან.

წყურვილით დამსკდარ ბაგეებთან მივუტან სასმელს, მაგრამ ვერ შესვამს! დარწყულება არ ეღირსება!

თავად ეშმასაც არ აეღო უფლება მასზე, ქვესკნელის კერძი იქნებოდა ალბათ ისედაც.

(შემოდის მოწაფე) მოწაფე

აქ ახალი ვარ, შორით მოსული, მაღალ მოძღვართან სწავლის მოსური.

ყველგან, სად ვისაც მივეახელი, კრძალვით ითქმოდა თქვენი სახელი.

მეფისტოფელი

გშვენით ზრდილობა. საქებარია.

გარნა ჩემდარნი ბევრნი არიან...

იცით, რას ეძებთ, მიახლოებით?

მოწაფე

დამდეთ ამაგი, გთხოვთ სასოებით!

მცირე რამ თანხა მომყვება შინით, სიყრმე და კიდევ განსწავლის ჟინი.

არ ვეთმობოდი დედას ადვილად, მაგრამ დამძლია ცოდნის წადილმა.

მეფისტოფელი

ჰოდა, მოსულხართ, საცა გწყუროდათ.

მოწაფე

ცოტა ვი მაფრთხობს აქაურობა, ეს ჩახუთული ყრუ სენაკები, რუხი კედლები, მძიმედ ნაგები...

არც ხეა სადმე, ბუჩქი თუ მოლი, არსად სიმწვანის პატარა ზოლი.

შავი მერხები... მწკრივი და მწკრივი...

თვალთ მიბნელდება, ყურები ჟივის...

მეფისტოფელი

ეგ ნუ შეგაკრთობთ, ასეა მუდამ.

ჩვევის საქმეა, არც ღირს სათქმელად.

დედის ძუძუსაც მიჩვევა უნდა, ხანი სჭირდება, სანამ გატკბება.

სიბრძნის ძუძუთა რა ნახავთ გემოს, მენდეთ, შეიტკბობთ დედის რძესავით.

მოწაფე

მაგისტვის გეძებთ, ბატონო ჩემო, ვერ მივდგომივარ, საქმეც ეს არის.

მეფისტოფელი

ჯერ შევათანხმობთ, რას ვცაბულდებით.

რა დარგი გნებავთ, რა ფაკულტეტი?

მოსწავლე

მინდა შევიქნა ბრძენი თქვენდარი, ვინც ყველაფერი გამოწვლით იცის, ცის სიმაღლენი, სიღრმენი მიწის...

არა დამრჩეს რა გაუგებარი...

მეფისტოფელი

ოღონდ ჯერ თავსაც თუ მოსდებთ ლაგამს.

გული არ უნდა გარბოდეს სხვაგან.

მონაფე

მეც, დიახ, დიახ, ეგ მაქვს ჩათქმული...

მაგრამ გართობაც... უკეთ სწავლისთვის...

არდადეგები თუნდაც ბაფხულის, ჟამი სილადის და სიხალისის...

მეფისტოფელი

უნდა ისწავლოთ დროის მოგება, თუ წესრიგია, დროც იზოგება.

ამიტომ გონის სანვრთნელ-სანრთობად

ჯერ „კოლეგიუმ ლოგიკუმს[34]“ გირჩევთ, ველარ იფიქროს აზრმა გასხლტომა, არ იფარფატოს ძველებურ ნირზე.

უნდა ესპანურ ჩექმაში[35] ჩავსვათ, რომ გასაქანი არ მივცეთ არსად.

რაც თავისთავად გამოგდიოდათ, დღიური საქმე, ვთქვათ, სმა და ჭამა, უნდა განმსჯელდეს, იქცეს ტრიადად, მწყობრ სილოგიზმთა ნაწევრად სამად.

თუ შემთხვევიხართ ფეიქრის დაზგას, აზრთა ფაბრიკაც სავსებით მას ჰგავს.

ბიძგი და, უცებ, დგიმზე გაბმული

ამოძრავდება ათასი ძაფი, მიმორბის მასრა, ბრუნავს საბრუნი, ირწყმიან თვლები უჩინრად სწრაფი.

აქ, ნოტა ბენე, შემოდის მყისვე, ფილოსოფოსი და იწყებს ახსნას: პირველი - ასე, მეორე - ისე, მესამე წყებას მეოთხე მისდევს, -

ჩამონუსხავს და პუნქტებად დასხამს.

ანუ ოსტატის გონება ბასრი

საგანს დაშლის და აშენებს საზრისს.

შეგირდნი თუმცა აქებენ ხოროდ, მაგრამ დაშლილი ველარ იწყობა, რამეთუ ვარგავს ვავშირს თვითმყოფადს, ხელთ ნაწილები გვიპყრია მხოლოდ, სიცოცხლის არ ჩანს არც ნატამალი, ხოლო ქიმია ამგვარ ანალიზს, თითქოს დასცინის საკუთარ საქმეს, „ენხეირეზინ ნატურეს“[36] არქმევს.

მონაფე

უნდა გამოვტყდე, მიჭირს გაგება.

მეფისტოფელი

შეჯერდეს, რაც რას ესადაგება, რედუცირდეს და შემდგომ ამისა

კლასიფიცირდეს შესაბამისად.

მონაფე

ვატყობ, სულ ვკარგავ მიხვედრის უნარს, თავში წისქვილის ბორბალი ბრუნავს.

მეფისტოფელი

თანდათანობით ვართულებთ სქემებს, მეტაფიზიკას დავუთმობთ სემესტრს, ანუ ღრმა განსჯის საგნად იქცევა, რაც კაცის ტვინში არ შეიღწევა.

მაგრამ რას ვაქნევთ, შევა-ვერშევა, მანდ სახელს უნდა რიხით შერჩევა, ფილოსოფოსის უსაზმო ბუქნა

ხამს გადაფაროს ტერმინთა ბუქმა.

ოლონდ ჯერ უნდა შევერწყათ რეჟიმს, თავს, წამი რაა, წამს არ ვპარავდეთ.

განრიგი - ხუთი საათი დღეში, დასწრება - სრული, მართი მარამდე.

ყველა გაკვეთილს მოიტანთ ნასწავლს, ძნელ პარაგრაფებს გაივლით ზუთხვით, თორემ იქ, წიგნში ნათქვამის ნაცვლად, რას ემგვანება, ბლაპარი თუ თქვით.

თან ისე უნდა ხმარობდეთ კალამს, ჰგავდეს, გკარნახობთ ზეგარდმო ძალა.

მონაფე

ეგ უკეთესი, მეტს რასაც დავწერთ

და თვალი ნახავს ნაშრომ-ნაღვანარს.

როცა თან მიგაქვს ფურცლები სავსე, შინ, ესე იგი, მიგაქვს რაღაცა.

მეფისტოფელი

მოკლედ, რას ვირჩევთ? სამართალზე რა აზრისა ხართ?

მონაფე

ვეჭვობ, შევეწყო... მთავარ საქმედ ნუ დავისახავთ...

მეფისტოფელი

ვერ გაგამტყუნებთ, მე თვითონვე ცერად ვუცქერი.

კანონ-წესები, ის, რომელიც გვაქვს დღესდღეობით, ავადმყოფობას მოგვაგონებს მემკვიდრეობითს, მოდგმით მოდგმაზე რომ გადადის ნირშეუცვლელი.

არადა, ყველგან სხვადასხვაა, ჭრიან ზოდებად, რაგინდრა ჩხრიკო, ვერ უნახავ საერთო ფუძეს: რაც აქ მადლია, იქ წყევლაა და შეცოდება, რაც აქ სიბრძნეა, იქ სასტიკი სასჯელი უწევს.

ბრმად განაგრძობენ თაობები კანონქვეშ ფართხალს, საყოველთაო უფლებებზე საკითხიც არ დგას.

მონაფე

თუ ცოტა ეჭვი კიდევ მქონდა, გაქრა სრულებით.

ბედნიერია, ვისაც მოძღვრად თქვენ ეგულებით!

თეოლოგიით შემოვფარგლავ, ალბათ, არჩევანს...

მეფისტოფელი

ვშიშობ, მოცდებით, შრომა უქმად დაიხარჯება!

ეს გახლავთ ბნელში სიარულის მეცნიერება, ისეთი ღრეა, ზოგჯერ კვალი მეც კი მერევა.

შიგ ბევრი შხამი იფარება, არ გვავნოს ლესვამ, ნაცვლად წამლისა, ერთიც ვნახოთ, საწამლავს შესვამ.

შეყრილა ყველა ბნელმეტყველი, თავისას ხლართავს, უნდა ერთს მიჰყვე რომელიმეს, რომ არ გაცეტდე, გამოუცხადო სრული ნდობა მის ტყუილ-მართალს

და ტვინი ბევრიც არ იჭყლიტო ისეთ-ასეთზე.

მანდ სიტყვას უნდა შეეფარო, მუღერსა და ლიტონს.

მონაფე

მაგრამ სიტყვაში რაღაც აზრიც ხომ უნდა იდოს!

მეფისტოფელი

ანუ, თქვენ ამბობთ, არ გავთიშოთ სიტყვა და ცნება.

უცნებო სიტყვა არ გვსმენია? - რამდენიც გნებავთ!

იქ, სადაც აზრი არ ჭიატებს, სიტყვები გვშველის, შიშველი სიტყვით სისტემები იქმნება მთელი.

ვუსმენტ და რწმენა გვეუფლება, ციდან ცვიოდა, უნდა გაფრთხილდე, არ გაგისხლტეს ერთი იოტაც.

მონაფე

თუ გაგაბებრეთ, დიდ ბოდშის გიხდით, მაგრამ დასკვნისაც ჭირს გამოტანა.

იქნებ მაგ ბასრი, ტევადი სიტყვით

მედიცინაზეც მითხრათ ცოტა რამ.

ირგვლივ სამკალი გაშლილა ვრცელი, დრო კი მცირეა - სამიოდ წელი, კაცმა უაზროდ არ ნაყოს წყალი, გეზი სჭირდება, ოსტატის ხელი.

მეფისტოფელი, თავისთვის

მომბებრდა ტონი დუნე და მშრალი, დროა, ეშმაკმაც გამოყოს ბრჭყალი.

(ხმამალლა) თუ მედიცინამ გაგვიყოლია, არსის გაგება მანდ იოლია, ჯერ მიკრო წრეში, ხვალ მაკრო წრეში

უნდა მოსინჯოთ ალღო და გეში.

ვისაც მანდ ცოდნით თავი უქია, ნუ გჯერათ, სრული ბაქიბუქია.

იმას ისწავლით, რაც ისწავლება, მეტს ვერა, გინდაც თავზემით ახტით.

თუ მარჯვედ შეძლებთ წამის ჩავლებას, მედიცინაში კაცი ხართ ნაღდი.

კეთილადნაგი სიმრთელე გშვენით, ჩანს, გაბედულიც მოგდევთ ბუნება, თქვენივე თავის აღივსეთ რწმენით

და უსათუოდ სხვაც გერწმუნებათ.

ნიშნად სიბრძნისა, მეტისგან მეტის, სახელს შეიმკობთ ტიტულატურით

და სადაც ყველა კრძალულად შედის, ამაყად შეხვალთ, კაცი ნატრული.

თან, რასაც მართლა ოქროს ფასი აქვს, მიქსადაგით ქალის ხასიათს, მათ გამუდმებულ



„ოხებს“ და „ახებს“.

როგორც იქნება, სწორად თუ ბრუნდად, ერთი პუნქტიდან განკურნოთ უნდა, ეს კლიტე ყველა საკლიტურს აღებს.

პულსს გავესინჯავთ, თვალებს ავაზღვეთ, ვითომ ყოყმანით აზრს რასამ ვიქმნით და, ხომ არ უჭერს თქვით-გავაზღვე, ხელს შევაცურებთ კორსეტის შიგნით...

მონაფე

ჩინებულს ამბობთ...

მაგრამ ცოდნა, გნებავთ, წყურვილი...

რა როგორ არის, საით მიდის, რა იყო ძველად...

მეფისტოფელი

თეორიები, ჩემო კარგო, ფშუტეა ყველა, მწვანედ ხასხასებს ცხოვრების ხე ოქროცურვილი.

მონაფე

ასე მგონია, ბურანში ვარ... დაგეთხოვებით...

აზრი მერევა... თუ დაგტოვებთ, მხოლოდ დროებით...

მალევე მოვალ, მაღალ სიბრძნეს რომ დამანაფოთ.

მეფისტოფელი

როგორც გენებოთ. არაფერი გახლავთ სასწრაფო.

მონაფე

მაგრამ წასვლამდე აქ, ამ წიგნში, რჩევისდა გვარად, გთხოვთ, ორი სიტყვა ჩამინეროთ...

მეფისტოფელი, უნერს

რატომაც არა.

მონაფე, კითხულობს

Eritis sicut Deus, scientes bonum et malum.

იყვნეთ, ვითარცა ღმერთი[37], მეცნიერ კეთილისა

და ბოროტისა.

(კრძალვით ხურავს წიგნს და თავის დაკვრით გადის.) მეფისტოფელი

მიჰყევ მაგ მცნებას, გველმა გარქვავთ, პაპიდაჩემმა.

ვინძლო დასწყევლო უფლის ხატად შენი გაჩენა.

(შემოდის ფაუსტი) ფაუსტი

საით მივდივართ?

მეფისტოფელი

რა მხარესაც გული გაგვიწევს: ჯერ დაბალ წრეში, ხვალ მაღალში, მთელ გასაგისზე.

რა სწავლის კურსი გელოდება, რა-რა დარგები!

ხალისით სავსე და სულისთვის რაზომ სარგები!

ფაუსტი

არადა, ჩემი გრძელი წვერებით

მაგ თამაშს ცუდად შევეფერები.

გასვლა-გამოსვლას, ხალხში ყოფნას არ ვარ ჩვეული, შენმა წვრთნამ, დიდად მეეჭვება, რამე მიშველოს, უცხოთა შორის ყმაწვილივით ვარ დაბნეული, თავი მგონია პატარა და სულ უმნიშვნელო.

მეფისტოფელი

უსაგნო ეჭვებს შეუპყრიხარ, ჩემო კეთილო, ყველაფერს უცებ აითვისებ, უგაკვეთილოდ.

ფაუსტი

რითი ვიმგზავრებთ? ნუთუ ფეხით ვაპირებთ ჩანჩალს?

არც ეტლი გვიცდის, შეკაზმული ცხენებიც არ ჩანს.

მეფისტოფელი

ეს მოსასხამი რისთვის არის, მინაზე გავშლით

და გავფრინდებით! საცა ვეტყვით, გაგვაჩენს წამში!

დიდი ხელბარგით, იმედია, არ დამძიმდები, მსუბუქად წავალთ, წასაღებიც რა გვაქვს იმდენი.

ცოტა რამ ალი, ცოტაც ზეჟარი

ამოვაქმინოთ და სულ ეგ არი.

თან გზასაც მოვილევთ, თან თვალიც გაძდება.

გილოცავ ახალი ცხოვრების დაწყებას!

აუერბახის სარდაფი ლაიპციგში

[38]

მხიარულ მოქეიფეთა სერობა

ფროში

არ სვამთ, არ მღერით, ვის ებღვირებით!

ჩამოგიშვიათ უბრად ცხვირები.

სულ არაფერზე კბილები გიჩანთ, დღეს რა ეშმაკმა შეგიკრათ კრიჭა!

ბრანდერი

შენი ბრალია, გადადი მალაყს, გამოაბრწყინე სიბრიყვის ძალა!

ფროში

გნებავს? ინებე!

(თავზე ღვინოს ასხამს.) ბრანდერი

შე მართლა ბრიყვო!

ფროში

რას მეშარები, თხოვნისა იყო!

ზიბელი

მოჩხუბრებს - ქიშტი! მიბრძანდეთ უნდა!

მთელი ფილტვებით, ბიჭებო, რუნდა!

აბა, ჰოლა ჰო!

ალტმაიერი

ავაიმე, გამისკდა თავი!

მიშველეთ, ბამბა, ყურში ბამბა! რამხელას ბღავის!

ზიბელი

ბასი ვარ, ბასი! ისეთი ვჭექო, გრგვინვა გაჰქონდეს თაღებქვეშ ექოს!

ფროში

ვისაც ეწყინა - ცივი წყალი! ნებავს და - ცხელი!

ახ, ტარა ლარა!

ალტმაიერი

ტარა ლარა!

ფროში

მოვმართოთ ყელი!

(მღერის) წმინდა რომის რაიხო, დროა, ჭირი წაიღო...

ბრანდერი

ფუ, პოლიტიკურ სიმღერებზე გული მერევა!

ილოცეთ, ხალხო, წილად გვერგო ბედნიერება, რომ წმინდა რომის ეგ რაიხი არ გვაბარია!

ან კანცლერისა რა მცოდნია, ან კაიზერის!

ლხინის პაპია ერთადერთი, ვინც მაგარია, ავირჩიოთ და მისი - ხმალი, ჩემი - კისერი.

ვისაც ვმორჩილებ, ერთადერთი ლხინის პაპია, მისი კურთხევით შეგვრგებია, რაც გვიყლაპია!

ფროში, მღერის

გაფრინდებოდე, ბულბულო, საყვარელს მომიკითხავდე...

ზიბელი

შორს ჩვენგან სატრფოს მოკითხვები, ფუჭი ცრემლები!

ფროში

მოკითხვას ვუთვლი! კოცნას ვუთვლი! შემოვევლები!

(მღერის) ანუელა რაზა - ბინდი ჩამომდგარია!

ანუელი რაზა სატრფოს ღია კარია!

დანუელი რაზა დილის სისხამ-ცვარია...

ზიბელი

ჰო, ჰო, უმღერეთ, ბულბულები უგზავნეთ ხშირ-ხშირ!

ჩემი სიცილის დროც დადგება, შემოგჩრით ცხვირში!

ჩემს დღეში გნახავთ, საქალეთის ერთია ნირი, თქვენც აყვირდებით, საყვარლებო, მე როგორც ვყვირი.

კაცი მაგათთვის არამია! რად უნდათ კაცი!

კობოლდი მაგათ! ბლოკსბერგიდან მომსრბოლი ვაცი[39]!

ისეთ მოკითხვას გავუგზავნი შეფოფინებით, სულ ქვაფენილზე წკრიალებდეს ფანჯრის მინები!

ბრანდერი, მაგიდაზე ხელს აბრაახუნებს

გთხოვთ, სმენა იყოს! დაითმინონ, ვინ რასაც შფოთავს!

უცადი არ ვარ, ცხოვრებისა მეც მესმის ცოტა, და მათ, ვინც ახლა სიყვარულის ინვის სახმილით, სიმღერას ვეტყვი ახალთახალს, სწორედ იმდაგვარს, მავანს რომ გულზე მიეთბობა. ვუმღერ ვირთავვას!

ხმა მომაშველეთ, ბატონებო, თქვით მოძახილი!

(მღერის) სარდაფს იყო ვირთავუნა, მაძღარი და უმტერული, ღიპი ედო ბებერ მსუნაგს

ღია დოქტორ-ლუთერული.

შეაპარეს დარიშხანი, აუხურდა სანყალს ტანი, გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

გუნდი, გარ-ზეიმით

გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

ბრანდერი

რბოდა შმაგი, ხლტოდა ხელი, შემოერღვა კაბა-ჯუბა, სათავსონი დაღრღნა მთელი, სავსე ტბორიც ამოხრუპა.

უცებ თვალი დაეშრიტა, მიეხნიდა კაეშნითა, გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

გუნდი

გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

ბრანდერი

ბოლოს შიშით არეულმა, თავი სამზადს შეაფარა.

ქალმა ნახა მზარეულმა, ვინც ის შხამი შეაპარა.

თქვა: რა მზარედ დაგესლულა, წრიპინ-წრიპინ აღესრულა, გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

გუნდი

გინაც გვამში ტრფობა სდგმოდა!

ზიბელი

რა უხარიათ მაგ სულელებს, ჩაბჟირდნენ ლამის!

ვიმ-ვიმ, მაღალი ხელოვნება გამოგვითარგეს, წამალი როგორ შევაპაროთ სანყალ ვირთაგვებს.

ბრანდერი

შენ რა, ვირთაგვას მხარესა ხარ? შენც შეგხვდა შხამი?

ალტმაიერი

გაგვიგულჩვილდა ჩვენი ბღენძი, გმინვა-დაგვა სჭირს!

უბალნო თავი[40] ამოიცნო მაგ ვირთაგვაში!

ფაუსტი და მეფისტოფელი

მეფისტოფელი

ჯერ ლხინის ხალხი, სუფრის ხალხი ვნახოთ ახლოდან, აქ ყოველი დღე სურთ იქციონ დღესასწაულად.

შევსვათ, ყვირიან, რა წაიღო, ვინც ინაღვლოდა, შევსვათ, მღერიან, მაინც სიკვდილს ვერსად წავევალთ!

მათი ყოფა და ცეკვა-როკვა ბუსტად ეგ არი, კნუტი რომ დახტის კუდის ირგვლივ, დაუდეგარი.

ჭკუის პატარა სიტალკვესე საკმარისია

მომლხენი გერქვას, მხოლოდ იშტა გჭირდება დიდი.

თუ თავიც არ გვტეხს და პურ-ღვინოც არის ნისიად, ჭირს იქით ყველა საბრუნავი! ცხოვრება მიდის!

ბრანდერი

უცხო სულები! მგზავრები შორი!

გზიდან მოსულნი წუთისა ორის!

კითხვაც არ უნდა! ცხადზე ცხადია!

უკვირთ, სად ვართო! ბედ ახატიათ!

ფროში

ეს გაუმარჯოს ჩვენს ლაიპციგს, პატარა პარიზს!

სხვა პენის არის ჩვენი ვაცი, სხვა მოდგმის არის!

ზიბელი

ვინ უნდა იყვნენ?

ფროში

რას დაითვლი მომსვლელს და წამსვლელს!

ჭიქა მომეცი, მივანოდებ, გამოვჩხრეკ წამსვე.

ამნაურები იქნებიან, თუ ჩემი გჯერა: ამპარტავნული მიხრა-მოხრა, ამრებით მზერა.

ბრანდერი

ბაზრის ხალხია, ნაძლევს დავდებ.

ალტმაიერი

ვერ გეტყვი ვერას.

ფროში

ნახეთ, რა ვუყო! მიყვარს კეხზე ბილანთა შესმა.

მეფისტოფელი, ფაუსტს

აბა, თუ ვინმემ სუნი იკრას, ვერ გრძნობენ ეშმას, ერთი სული აქვთ, მიეტანონ გამოსახრავად.

ფაუსტი

ჩვენი სალამი, ბატონებო!

ზიბელი

სტუმრებს ვახლავართ!

(თვალს ცერად გააყოლებს მეფისტოფელს.) ჰგავს, მიუფეხვავთ, ცალი ფეხით კოჭლობს ყმანვილი![41]

მეფისტოფელი

ნება გვიბოძეთ, დავიკავოთ სუფრის ნაწილი.

ცოტა რომ ღვინოც გივარგოდეთ, მდარე ღვინო გაქვთ, რა აჯობებდა თქვენთან ერთად სმას და ლხინობას!

ალტმაიერი

გეტყობათ, ბედი განებივრებთ, მოგყვებათ თანხა.

ფროში

რიპახის მხრიდან გადმოხვედით? ნამგზავრნი ჩანხართ.

ის ვაი კაციც შეგხვდებოდათ, ჰანს რიპახელი.[42]

მეფისტოფელი

ჩვენი მოვძებნეთ, ყურში გვედგა მისი სახელი.

სწორი ბრძანდებით, რეგვენია ყოვლად ალალი.

ძმებად გახსენათ, პირზე კოცნით გიძღვნათ სალამი.

(თავს მდაბლად ხრის ფროშის წინაშე.) ალტმაიერი, ხმადაბლა

მოგსხიპა? სეირს განახებთო, აქ ვიღაც ხურდა!

ზიბელი

შენ რომ გეგონა, სულ სხვა ჩიტია, გაჭრა და აქეთ შემოგვიტია.

ფროში

ჯერ ცოტა ხანი დამაცადეთ, ვაახლებ ხურდას!

მეფისტოფელი

ეს თქვენ მღეროდით? რა ხმა იყო, რა ჰარმონია!

თან ამ თაღებქვეშ აკუსტიკაც რიგზე გქონიათ.

ფროში

მუსიკოსი ხართ? ვირტუოზი ხომ არ ბრძანდებით?

მეფისტოფელი

ჩემთვის ვცოდვილობ, არ მომეცა ნიჭი ამდენი.

ალტმაიერი

იქნებ გვიმღეროთ!

მეფისტოფელი

როგორც მეტყვით.

ზიბელი

ხელდახელ ბარემ!

ოღონდ ცინცხალი! არაფერი ძველი და მდორე!

მეფისტოფელი

კი, სულ ახლახან ესპანეთი დავლაშქრეთ სწორედ, ნაკურთხი მიწა, ღვინისა და სიმღერის მხარე.

(მღერის) მეფეს ერთი რწყილი ჰყავდა, გამოზრდილი სათუთად...

ფროში

ჩახვდით, რა რწყილიც? მაღალზე გადის!

ზუსტად ედება სამეფო ქათიბს!

მეფისტოფელი

მეფეს ერთი რწყილი ჰყავდა, გამოზრდილი სათუთად, სულის ბერვით ინახავდა, შვილს ერჩია საკუთარს.

მკერავს უხმო: აბა, ჩქარა, ჭრა და კერვა მალ-მალი, აბრეშუმი შური-შარა, მძიმე დიბის მარვალი!

ბრანდერი

გაფრთხილდი, თერძო, ემაგ მარვალს თან გადაჰყვები, არ შენაოჭდეს რწყილის წელზე ერთი ნახვევიც!

მეფისტოფელი

გადიდკაცდა ჩვენი რწყილი, დიდი პოსტი რგებია, სტავრით არის შემოსილი, ბაფთები და ჯვრები აქვს.

თავს ამაყად აბეზავებს, მკერდზე ვარსკვლავს ატარებს, შორით იკრებს ნათესავებს, რწყილებს პატარ-პატარებს.

დადის ხალხი ტანის ფხანით, წითელ-წითელ ხალებით, ფხანად იქცა დედოფალი  
თავის სეფექალებით.

შიშით საცვალს ვერვინ ხილავს, წახდენიათ გუნება.

ჩვენთვის რწყილი რამც ყოფილა, ერთი გატკაცუნება!

გუნდი, აღტაცებით

ჩვენთვის რწყილი რამც ყოფილა, ერთი გატკაცუნება!

ფროში

ბრავო! კარგია! არ უნდოდეს, შუბლს გახსნის კაცი!

ზიბელი

ჩვენს ტილ-რწყილებსაც არ აწყენდათ ეგეთი ტკაცი!

ბრანდერი

ფრჩხილქვეშ და მუსრი! მთელი მათი მოდგმით და ფესვით!

ალტმაიერი

თავისუფლებას გაუმარჯოს! გთხოვთ, ყველამ შესვით!

მეფისტოფელი

მაგ სადღეგრძელოს სავსე გულით ავუნევ ჭიქას, მაგრამ შიგ ღვინო ისეთი გვაქვს,  
არაფერს გვიგავს.

ზიბელი

მოვრჩეთ! მაგაზე აღარ გვინდა! ვინც ლხინობს, ლხინობს!

მეფისტოფელი

ვშიშობ, მანდ პატრონს ეწყინება, თორემ ახლავე

გაგასინჯებდით ჩემს მარნებში დაწურულ ღვინოს.

ზიბელი

თუ გაქვთ, ჩამოდგით! აქ ამაზე არ დაგვძრახავენ.

ფროში

უნდა გამოვტყდე, მე, ბატონო, მნე მაქვს ამგვარი: ვერ ვაჭაშნიკებ, სულ ბოლომდე თუ არ  
დავკარი.

ალტმაიერი, ხმადაბლა

მივხვდი, ვინც არის! მეღვინეა რაინის მხრიდან.

მეფისტოფელი

იქნებ აქ სადმე ბურღი იყოს.

ბრანდერი

ვიშ, ბურღიც გვინდა?

ღვინის კასრები აქავე გაქვთ, კართ გიყუდიათ?



ალტმაიერი

ბურღს მანდ ვიპოვი, ხელსაწყოთა რაღაც ყუთია.

მეფისტოფელი, ართმევს ბურღს

ვის რა ღვინო გსურთ? მნებავს, იყოთ ჩემი სტუმრები.

ფროში

არჩევანიც გვაქვს? მართლა ამბობთ? არ გვეხუმრებით?

მეფისტოფელი

არჩევანიც და არადანიც! ნება ჩვენია!

ალტმაიერი, ფროშზე ათითებს

რას აჟუჟუნდა! ნახეთ, უკვე ტუჩებს ილოკავს!

ფროში

მე - რაინული! სხვა ყველაფერს ეგ მირჩევნია.

სამშობლო მიყვარს, ვერ ვენცობი უცხო კილოკავს.

მეფისტოფელი, იქ, სადაც ფროში ზის, მაგიდის კიდეს ბურღავს

საცობებისთვის ცვილიც გვინდა, ცოტა სანთელი.

ალტმაიერი

ფოკუსებია! ოინბაზთა ძველი ფანდები!

მეფისტოფელი, ახლა სხვა ადგილს ბურღავს და სანთლის საცობს არგებს

თქვენ რა მოგართვათ?

ბრანდერი

ქაფიანი! შუშხუნა შხეფით!

შამპანს ვენვევი, უცხო ქვეყნის მომნატრდა გბები!

როგორც ნამდვილი გერმანელი, ვერ ვიტან ფრანგებს, ვერც რამე ფრანგულს, მაგრამ ღვინო სხვა საკითხია!

ზიბელი

მომკლა ამ მუავემ! მხოლოდ ტკბილი! ეგ უკეთ მარგებს.

შევყვები ჩემთვის, აი დარდი, რასაც იტყვიან!

მეფისტოფელი

თუ ნებას მომცემთ, შეგირჩევთ თავად.

ტოკაიური, მე მგონი, ნავა.

ალტმაიერი

მომხედე, ვინც ხარ! აქ ეგენი არ გასაღდება!

რაღაცას ხლართავ! გნებავს ჩვენი მასხრად აგდება?

მეფისტოფელი

რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ! მაგის კაცი ვარ?

თან საღ-სალამათს ვის შერჩება თქვენი დაცინვა!

ჯობს, ეგ მიბრძანოთ, რას მიირთმევდით?

რომელი გნებავთ? თეთრი? წითელი?

ალტმაიერი

ახლა მაგაზე მალაპარაკე!

იყოს რაც გინდა, ოღონდ ჩქარა ქენ!

მეფისტოფელი, უცნაური მოძრაობით

ვაზის რქა და რქანი თხისა, ვაზი ხეზე, ტაბლა ხისა.

თვალის ჩინო, არა ჩინდე, ხმელი ხიდან, ღვინოვ, დინდე!

სასწაულო, უცხო რამ ხარ, ის გიხილავს, ვისაც სწამხარ.

ახლა კი გახსენით!

შეუდგით თასები!

ყველანი, მას შემდეგ, რაც საცობები ამოიღეს და ჭიქები აივსეს

იფ, მირონია! მკვდარიც იყო, აღდგები მკვდრეთით!

მეფისტოფელი

ოღონდ გაფრთხილდით, არ დაგექცეთ არც ერთი წვეთი!

ყველანი, მღერიან

ვნეტარებთ მთელი ზედახორით, როგორც ხუთასი დედალორი!

მეფისტოფელი

რას ხალისობენ!

ფაუსტი

გავეცალოთ!

მეფისტოფელი

ნუ ჩქარობ, დაცხრი!

თვალი ადევნე გამიშვლებულ ცხოველურ სანყისს.

ზიბელი, ერთი წვეთი ძირს ჩამოექცევა და ააღდება

მიშველეთ, ცეცხლი! ჯოჯოხეთის ამოსკდა ალი!

მეფისტოფელი

დექ, მშობლიურ სტიქიონო, შეწყვიტე დრტვინვა!

ჯერ გარესკნელის შხეფებია, მსგავსება მკრთალი.

ზიბელი

ძვირად დაგისვამთ! შენ, ეტყობა, არ იცი, ვინ ვართ!

ფროში

ახია ჩვენზე! არა, ნახე, რა გააკეთა?

ალტმაიერი

სანამ მრთელი ხარ, აიხვეტე! მოსხლტი აქედან!

ზიბელი

წესიერ სიტყვას გეუბნება, გზა ნახე, გვეხსენ!

ეგ შენი ჰოკუს-ფოკუსები მოსინჯე სხვებზე.

მეფისტოფელი

ჩუმად, ბებერო ღვინის რუმბო!

ზიბელი

შე ცოცხის ტარო!

არა, ამ თავხედს დამიხედე, თვითონვე ცხარობს!

ფროში

გონზე მოგიყვანთ! მოგიტვლით მაგრებს!

ისე მოგაქცევთ, ვეღარვინ აგკრეფს!

ბრანდერი, საცობს აძრობს და უეცრად ცეცხლი შიგ სახეში შეეფრქვევა

ვინვი!

ზიბელი

გრძნება და ჯადო-მადო! გვეთამაშება!

ფუშეთ, ბიჭებო, არ იქნება მაგის გაშვება!

(დანებს დააძრობენ და მეფისტოფელზე მიიწევენ.) მეფისტოფელი, წელანდელი უცნაური მოძრაობით

უმზო-მზერით, უსმო-სმენით, უსვლელითა სვლითა თქვენით

სად არა ხართ, იქ იყვენით!

(ყველანი გაოცებული დგანან და ერთმანეთს შესცქერიან.) ალტმაიერი

რა ადგილია, სად მოვსულვართ?

ფროში

დიდი ზვრებია!

ზიბელი

მწიფე მტევნები მზით გავსილან, ხელთ გვეწვდებიან!

ბრანდერი

ფანჩატურებად გაფოთლილა ვაზთა გრეხილი!

ვკრიფოთ მტევნები, მძიმე-მძიმედ ჩამოზნექილი!

(ზიბელის ცხვირს წასწვდება. ყველანი ერთმანეთის ცხვირებს წაეტანებიან და დანებს შემართავენ.) მეფისტოფელი

განიხიბლენით! თვალთა ცთომავ, განვედ თვალთაგან!

ეშმაკი მხოლოდ გაგეხუმრათ, ხილვა დამთავრდა!

(გადის ფაუსტთან ერთად.) ზიბელი

რა იყო? არა, ეს რა იყო?

ალტმაიერი

ვერც მითქვამს ენით!

ფროში

ხელთ შენი ცხვირი მიბღუჯია?

ბრანდერი

მე კიდევ - შენი?

ალტმაიერი

კეფაში დამკრა! დავბანცალებ ხელის ცეცებით...

ვიღაცამ სკამი მომაშველეთ, ჩავიკეცები!

ფროში

რა მოხდა? არა, ამიხსენით, ხალხი არა ხართ?

ზიბელი

მინაში ჩავდებ! სად წავიდა? ცოცხლად დავმარხავ!

ალტმაიერი

თორემ ერთბაშად არ იპოვო! გაქრა ჩვენება!

კასრზე ამხედრდა, დაოთხებულს მიაჭენებდა.

ფებს ველარ ვადგამ, გეგონება, ლოდები მბმოდეს!

(თვალი მაგიდისკენ გაექცევა.) გემუდარებით, იქ ის ღვინო ჯერ ისევ მოდენს?

ზიბელი

ხიბლი იყო და თვალს ნაცარი! მოდენს კი არა...

ფროში

მაშ, რას ვყლურწავდი, რაზე გემომ არ გამიარა?

ბრანდერი

მშვიდობით, ზვრებო! ზმანებანო ფერად-ფერადო!

ალტმაიერი

კიდევ იტყვიან, სასწაულის ნუღარ გჯერათო!

გრძნეული დედაბრის სამზარეულო

[43]

კერიის ცეცხლზე დიდი ქვაბია შემოდგმული და ოხშივარში სხვადასხვა ფიგურა ისახება. კერიის გარშემო ყაპუზუნები, პატარა გრძელკუდა მაიმუნები, ჩარიგებულან. დედა-ყაპუზუნა, ქაფქირით ხელში, ქვაბთან ტრიალებს. მამა-ყაპუზუნა შვილებთან ერთად ცეცხლს მიჰფიცხებია. ჭერი და კედლები რაღაც უცნაური საჯადოქრო საგნებითა და მონყობილობებით არის მორთულ-მოჭედული.

ფაუსტი

არ მნამს ეს თქვენი საჯადოქრო ჩიხიმახური!

აქ სად მოგყევი! ჰგავს, გონება გადამებინდა.

რა, მართლა ფიქრობ, დაფხაული მაგ ხარახურით, მაგ საჩხიბრებით, დედაბრული ნახარშ-ნახორით

ჩამომაკეცო ოცდაათი წელი მხრებიდან?

და ქაჯის ქალმა, გსურს, გასწიოს ეგ სამსახური?

თუ არ არსებობს ბუნებრივი სხვა რამ წამალი, სუფთად ნაზავი სხვა ბალზამი კეთილშობილი, არ დარჩენილა იმედისგან არც ნატამლი, სულ სასაცილო გამომდგარა ჩემი ფოფინი.

მეფისტოფელი

სიღრმივ მხედი ხარ, ყველა ბოლო ხელთ გიკავია!

სწორ სიტყვას ამბობ, სიჭაბუკის დასაბრუნები

ერთი გზაც არის, ვერ იპოვი უფრო ბუნებრივს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა წიგნის სულ სხვა თავია.

ფაუსტი

მინდა ვიცოდე!

მეფისტოფელი

შეგიძლია, პირდაპირ სცადო, არც ფული უნდა, არც წამლობა, არც არა ჯადო.

შემოიღობე ყრუ ადგილას ნაკვეთი რამე, თოხნე და ბარე, სვი მარტივი, მარტივი ჭამე.

მკაცრად მოზღუდე შენი წრე და სამყოფი არე, ჩაჯექ, ფიქრითაც არ გახვიდე მოფარგლულს გარეთ.

გყავდეს პირუტყვი, პირუტყვისვე იცხოვრე ნირით, მიწა გაპოხე, მიეც ყანებს ნაკელი ხშირი.

ოთხმოცი წელი? ქალს ირთავდე, ის ასაკია!

ჩიტივით იფრენ, - სიჭაბუკეც სხვას რასა ჰქვია!

ფაუსტი

გამეცა, უმნოდ ნუ მეზრანძები, იცი, არა ვარ მაგის გამძლები, სამ დღეში ტყავი გამძვრება წმინდად.

მეფისტოფელი

ჰოდა, გრძნეულიც ამიტომ გვინდა.

ფაუსტი

რაღა დედაბერს ეძებ მაგისტვის, თავად მოხარშო, ვითომ რა გიშლის?

მეფისტოფელი

ვადები, ჩემო საყვარელო, ოდენ ვადები.

შენ ხომ არ იცი, რა ხიდები მაქვს გასადები[44].

არ ჰყოფნის ცოდნა-ხელოვნება ხარშვა-მზადებას, ხანი სჭირდება, მოთმინება, გულის დადება.

წლობით და წლობით აყენებენ მშვიდი სულები, დასდუდუნებენ, რუდუნებენ დაუსრულებლივ.

კი, ყველა მათგანს ეშმა უმხელს მაგ საიდუმლოს, მაგრამ თავისით ვერ ამზადებს, ერთამით ყიდულობს.

(მხეცუნებს დაინახავს.) ვიშ, მხეცუკები! რას ემდური, ოქრო-სახლია!

ეს მსახურია - არა, ნახე! - ეს მოახლეა!

(მხეცუნებს) სად არის თქვენი ქალბატონი, შინ არ ბრძანდება?

მხეცუნები

ბუხრის ალში ბრრ!

საკვამურში ფრრ!

სალხინოზე ხანდება.

მეფისტოფელი

როგორ სჩვევია, ბევრს იფრატუნებს?

მხეცუნები

სანამ გავითბობთ ცეცხლზე თათუნებს.

მეფისტოფელი, ფაუსტს

ჰა, როგორ მოგწონს ეს ონავრები?

ფაუსტი

არიან ყოვლად გულის ამრევნი.

მეფისტოფელი

ასეც ნუ იტყვი! მითხარ-გითხარ ეგ ამათებრი

შემიქცევს ხოლმე, მთელი ეშხით ვეკამათები.

(მხეცუნებს) აცხა, გამშორდით, თქვე წყეულებო!

მაინც რას ხარშავთ ასე ყროლიად?

მამა-ყაპუბუნა

წვენს, მათხოვრების სანვეულებოს.

მეფისტოფელი

თქვენც კაიძალი მრევლი გყოლიათ!

მამა-ყაპუზუნა, მეფისტოფელს ფეხზე ეგლასუნება

აღარ გვინდა კამათები, არც მითაფლულ-მოთაფლული, მეთამაშე კამათელი, მაშოვნინე ცოტა ფული.

დასული ვარ ყუაზე, აღარა ვარ ჭკუაზე.

მეფისტოფელი

მართლა მოიგოს ორიოდ ფსონი, სიხარულისგან გაგიჟდეს, მგონი.

(პატარა ყაპუზუნები თამაშობენ და მინის ბურთს აქეთ-იქით დააგორებენ.) მამა-ყაპუზუნა

რით არ არის ქვეყნის ხატი, გორავს, ბრუნავს, ადი-ჩადის.

აქეთ ბრწყინავს, იქით ბრწყინავს, დანკარუნებს, ხტის და მღერის.

დაიმსხვრევა უცებ მინა, მინის შიგნით - არაფერი!

რას ცოდვილობ, მინის შვილო, დაფუსფუსებ, წვალობ, ცდილობ?

თავდაღმართზე წახვალ ბოლოს, დაიშლები, სველო თიხავ!

ვერაფერმა შეგაბრკოლოს, დაბრუნდები, სადაც იყავ.

მეფისტოფელი

იქ, იმ კედელზე რა გიკვიდიათ?

ცხავად მცირეა, საცრად დიდია.

მამა-ყაპუზუნა, კედლიდან ცხრილს გადმოიღებს

გამოგხედავთ, გამოგხილავთ, თუ ქურდი ხარ, გამოგცხრილავთ.

(დედა-ყაპუზუნასთან მივა და ორივენი ცხრილიდან იხედებიან.) ორივენი

შეხე! შეხე! კარგად გახე!

ხედავ ქურდის ნამდვილ სახეს?

ამოცნობილს - ქურდის სახელს?

მეფისტოფელი, ცეცხლს დააცქერდება

რა დულს ამ ქოთნით?

ავყროლ-ავქოთდით!

მამა-ყაპუზუნა

ვიმ, ჭკუაც არა ჰქონია!

ქვაბი ქოთანი ჰგონია!

მეფისტოფელი

ფრთხილად, მხეცუკავ, ნუ მეხეპრები, მომიყვანია გონზე შენფრები!

მამა-ყაპუზუნა

დაჯექ, თუ რომ ნბილდი, მარათი გრილდი!

(ძალით დასვამს საკარცხულზე და ხელში ცოცხს მიაჩერებს.) ფაუსტი, მთელი ეს ხანი სარკეს მისჩერებია, ხან ახლოდან აკვირდება, ხან უკან დაიხევს

რა შუქი იძვრის ჯადოსნური სარკის ბროლიდან,[45]

ვისი ციერი ათინათი შემომენათა?

თითქოს ერთარსად შეინივთა მაღლი ზენათა

და ამქვეყნიურ სილამაზედ გარდამოვიდა.

ფრთები მომეცი, სიყვარულო, იქ დასაფრენი!

მართლა ქალია ხორციელი? არ მეჩვენება?

ახლოდან ვნახო, თუნდაც ვნახო - სხვა არაფერი.

ნუთუ არსებობს ქვეყანაზე მსგავსი მშვენება?

მეფისტოფელი

ღმერთს რომ ექვსი დღე ჰქონდა ჯახირი

და ზედაც მალ-მალ ბრავოს ძახილი, ჩანს, აზრიანიც რა-რამ გარია.

ცოტა ხანიც და მთა-ბარს გადავძრავთ, ქალს გამოგირჩევ, თქვან, ნეტარია, ვინც შინ შეიყვანს მაგას პატარძლად!

(ფაუსტი სარკეს ვედარ მოსწყვეტია. საკარცხულზე წამოჭიმული მეფისტოფელი ცოცხს მაღლა შემართავს და განაგრძობს.) ტახტზე ვზივარ და მიპყრია კვერთხი, თავს გვირგვინილა მაკლია ერთი.

მხეცუნები, აქამდე უცნაურად რომ დახუნტრუცებდნენ, ახლა ნივილ-კივილით რაღაც გვირგვინს გამოარბენინებენ მეფისტოფელისათვის მისართმევად

ჰა გვირგვინიც! იყავ მეფე!

სისხლით ღებე!

ოფლით წებე!

(გვირგვინი უეცრად ძირს დაუვარდებათ და ორად გადაიხსნება. მხეცუნები ცეკვა-ცეკვით გარს უვლიან.) წაუღია ჭირი, ვეტყვით დივლი-დივლებსა!

რასაც ვხედავთ - ვყვირით, რასაც ვყვირით - მივლექსავთ!

ფაუსტი, სარკეს მიჩერებული

ცნობა მიმხადა, გრძნობა წამართვა!

მეფისტოფელი, მხეცუნებს მიჩერებული

თავბრუ დამასხა ხტუნვამ ამათმა.

მხეცუნები

უაზრობის დიდინით

რითმებს ვეძებთ ფხიანებს.

ზოგჯერ ბედი გვიღიმის, აზრიც გაიხშიანებს.

ფაუსტი, სარკეს მიჩერებული



ძარღვებში ცეცხლი დამიდის ღვარად!

უნდა გავასწრო! წავიდეთ ჩქარა!

მეფისტოფელი, მხეცუნებს მიჩერებული

ერთს ვერ წაართმევ - პირუთვნელობას.

დასურათხატდა მგოსნის ხელობა.

(უყურადღებოდ მიტოვებული ქვაბი გადმოდუღდება. ამოვარდება დიდი ალი, საკვამურს აავსებს და ალიდან გრძნეული დედაბერი გამოხტება საზარელი კივილით.) გრძნეული

ვაუუ! ვა და ვა!

რა ხდება! სადა ვარ!

კინალამ დამფუფქა, მოგკლავ, შე ძუკნავ!

ქვაბი მიმიტოვე? უაზროდ ბუქნავ?

(დაინახავს ფაუსტსა და მეფისტოფელს.) ესენი ვინ არიან? რა გინდათ აქ?

საიდან გამოტყვევრით? რა საქმე გაქვთ?

ცივი ხმით აგაკივლებთ!

ცეცხლი თქვენ სასაკირე!

(ქვაბში ჩამჩას ჩაყოფს და აალებულ სითხეს შეასხურებს ფაუსტსა და მეფისტოფელს, აგრეთვე აწივლებულ მხეცუნებს.) მეფისტოფელი, თარო-წალოს მიადგება და ცოცხის ტარით ჭურჭლეულს ამსხვრევს

დაილენეთ, დაიფშვებით, ძირს წამოდით ცვენა-ცვენით!

ჯერ არ ვჭეფ, ჯერ არ ვქუხ, ვრაკარუკობ, ვხუმრობ ჯერ!

ლან და ლუნ! ჭახ და ჭუხ!

იმას ვუკრავ, რასაც მღერ!

უ, შე ასპიტო, პატრონსაც ერჩი?

მბრძანებელს შენსას ეწინმატები?

მიკვირს, რა მიშლის, ჩაგზილოთ მტვერში

შენც და ეგ შენი ბილნი კატებიც!

მე უნდა გითხრა, ვერა მცნობ, ვინ ვარ?

გეგონებოდეს, სახეს ვმაღავდე!

წითელი სტავრის ვერ ნახე ბზინვა?

ვერც ქუდზე მამლის ფრთები დალანდე?

გრძნეული

შევცდი, მეუფევ, გთხოვთ, ნუ შემრისხავთ!

მაგრამ სად გაქრა ფლოქვი ცხენისა?

რა იქნა თქვენი წყვილი ყორანი?

მეფისტოფელი

კარგი, შეგენდოს! ხანი გახდა, რაც ერთმანეთი

აღარ გვინახავს, დავგზაურობთ შორი-შორანი.

თანაც დროების კვალობაზე მეც შევსხვაფერდი, კულტურის შუქმა ყველგან ისე შემოაღწია, გინდა, არ გინდა, დაემკვიდრა ჩვენს წიაღშიაც.

ჩრდილოურ ფანტომს შეძლებისად განვეკრძალენით, პენი ავიკარ, გაქრა კუდიც, რქებიც, ბრჭყალებიც.

ფებს არაფერი უხერხდება, დარჩა და დარჩა, თვალში ეჩრებათ, მაგრამ ახლა, ეს ბოლო წლები, ცოტა მეძველა, მაღალ წრეშიც თამამად ვჩნდები, -

გამაშის მოდა შემოვიდა, წვივები არ ჩანს.

გრძნეული

აზრს ველარ ვიკრებ, სიხარულმა წამართვა ძალა!

თავად სატანა-ბატონია ჩემი სტუმარი!

მეფისტოფელი

ჩუმად, დიაცო! მაგ სახელის ხსენებას ვკრძალავ!

გრძნეული

რატომ, სახმილო? განა რა სჭირს დასაწუნარი?

მეფისტოფელი

რა და იმ ძველი იგავების წიგნში ჩურთია!

თუმცა, რაც შეძლეს, არული და ფართი-ფურთია.

ბოროტეულთა, როგორც ითქმის, უყვართ ოტება, არადა, ხვიშტი! ძვრა ვერ უყვეს თვით ბოროტებას.

მსურს, დღეის იქით ბარონობით ვიქმნა ხმობილი.

ვთქვათ, რით არ ვჯობვარ დიდამზაურ იმას და ამას?

სისხლიც, დავუშვათ, რით არა მაქვს კეთილშობილი?

ან გერბი ნახე! მსახვრალია! დაბმული დამაქვს!

(უხამსი ჟესტი) გრძნეული, მეტისმეტი მონადინებით იცინის

ჰა-ჰა-ჰა, გერბი! ჰუ-ჰუ, მსახვრალი!

ისევ ისა ხართ, ის ყიამყრალი!

მეფისტოფელი, ფაუსტს

ნუ იჭმუნები, მეგობარო, ნუ მიცქერ მრუდად, გრძნეულ ქალებთან ლაპარაკი მაგ წესზე უნდა!

გრძნეული

რას მივანერო, ბატონებო, სტუმრობა თქვენი?

მეფისტოფელი

უნდა სასმელი გვინილადო, ცნობილი წვენი.

ორიოდ ყლუპი! ოღონდ ძველი! გამჭოლი ძალის!

გრძნეული

უკეთესთაგან უკეთესით სავსე ფიალას

ამწამს მოგართმევთ, დამდგარია, სუფთა, კრიალა.

მეც ვხმარობ ხოლმე, სრულებითაც არ არის მყრალი.

(ხმადაბლა) თუ ჯადოსნური არაფერი სმევია სხვა დროს, ვერ მოინელებს, ჩაბარდება ხვალამდე პატრონს.

მეფისტოფელი

ფრთხილად, ბებერო, არც იფიქრო ასეთ ბოლოზე!

ჩვენიანია, სავნო არა, შესარგი ასვი.

დროზე შეუდექ მენს შელოცვებს თუ გამოლოცვებს, გაულიცლიცე პირამდე თასი!

(კუდიანი უცნაური მოძრაობებით წრეს მოფარგლავს და გარშემო რაღაც გაუგებარ ნივთებს შემოილაგებს. ჭიქები წვრიალევენ, ქვაბი სტვენს და ქოთქოთებს, ყველა ხმა ერთიან მუსიკად ირწყმის.

მერე დიდ წიგნს გამოიტანს, ყაპუზუნებს წრის შიგნით შეიყვანს, ერთ მათგანს ოთხზე დააყენებს და მის ბურგზე წიგნს გადაშლის, დანარჩენებს ჩირაღდნებს დააჭერინებს. უხმოდ ანიშნებს ფაუსტს, მიუახლოვდეს.) ფაუსტი

ისევ ის ძველი იწილ-ბიწილო, უნდა მაგ ჩმახშიც წილი ვინილო!

აღარ გბებრდებათ ეგ მალაყები?

უბირთა ტვინის გასალაყები?

მეფისტოფელი

კარგი, ასეთი სასტიკიც ნუ ხარ, უხიაგ ფიქრებს შვენის დამალვა, ყველა მკურნალი რაღაცას ბუქავს, რომ უკეთ გაჭრას მისმა წამალმა.

(ძალით შეაგდებს წრეში.) გრძნეული, მაღალი პათოსით იწყებს წიგნიდან დეკლამირებას

რითი ვწერე? - ცაციათი.

იყო ერთი, გახდა ათი.

ორი - კენტი, სამის ჯუფთი.

დაოთხდი და ხუთზე სკუპდი.

განძი მქონდა, მივითვლიდი, გაექვსდა და გახდა შვიდი.

რვათაგანი, ცხრათაგანი, ათი ხარ და ერთის მგვანი.

ასეთია მრუდად სწორი

ქაჯავური ორჯერ ორი.

ფაუსტი

თავში სიცხე აქვს ავარდნილი, ბოდავს ბებერი!

მეფისტოფელი

არ გამოგვიღვეს, მთელი წიგნი უვსია მაგით.

მეც ჩამიფურცლავს, უღრანია გაუგნებელი, წინაუკმობით დახუნძლული ძეძვი და ჯაგი.

მანდ ბრძენთა ჭკუაც იგივეა, რაც არის რეგვნის, გონების თვალი სათავისოს ვერაფერს ძებნის.

ეს ხელოვნება ძველია და მარად ახალი, იღუმალ სიბრძნეს გვაზიარებს აზრის გარეშე.

სამი ერთია, ერთი - სამი[46], გასდის ჭახანი.

რა ნასკვს უპოვი? იჯექი და იანგარიშე!

მოდგება შლევგი, სისულელეს ბღავის პიტალოს, უსმენს კაცი და ლამობს, აზრი გამოიტანოს.

გრძნეული, განაგრძობს

იღუმალის მისანვლომად

ამაოა რჯა და შრომა, ეძებოთ და ვერა ნახოთ!

ვისაც ფიქრად არა ჰქონდეს, უძებნელად მიუწონდეს, უძებნ-უშრომ-უვაგლახოლ.

ფაუსტი

რა აბდაუბდას გვებუტურება, რამდენს გაუძლონ ჩემმა ყურებმა!

ისე ვარ, თითქოს ათასი ბრიყვის, ერთად შეყრილის, ვისმენდე ბლიყვინს.

მეფისტოფელი

მჭევრო სიბილაჲ[47], რაც არის, არის, მოვრჩეთ, სასმისი აუვსე დროზე!

ჩვენი კაცია, ფლობს ყველა ხარისხს, არ საჭიროებს გამოთვლილ დოზებს.

(გრძნეული რაღაც რიტუალური წესით უვსებს სასმისს.

ფაუსტი როგორც კი პირთან მიიტანს, შიგნიდან მსუბუქი ალი ამოკრთება.) შესვი!  
დამთავრდა განამანია!

დაიგემოვნე, რა სახეს ჭმახავ!

მაგან შეგაკრთო? ალმა პანიაშ?

კაცი ეშმაკის დოსტი და ძმა ხარ!

(გრძნეული წრის წაშლას იწყებს. ფაუსტი წრიდან გამოდის.) წავიდეთ, გზაში გაჯდება  
წვენი!

გრძნეული

შეგერგოთ! ტკბილად აგიხდეთ ნატვრა!

მეფისტოფელი

დღეს ვალი დამრჩა, ლამაზო, შენი.

ვალპურგობაზე მნახე და მზად ვარ.

გრძნეული, ფაუსტს

ეგეც წავიდეთ, სიტყვებია, გედ დასამღერი, არ დაიზაროთ, დაჩქარებულ შედეგს იძლევა.

მეფისტოფელი

დროზე დავიძრათ, დაიბეროს სისხლით ძარღვები, დღეს მეტი უნდა იმოძრაო, რაც შეიძლება.

თან გზას გავვცავთ, შეგასწავლო უნდა ნებისად

კეთილშობილი ხელოვნება უქმად რებისა.

რასაც შეგპირდი, არ გეგონოს სიტყვა ლიტონი, შეიძვრის გული, აცეკვდება შიგ კუბიდონი.

ფაუსტი

დამაცა, სარკეს კიდევ ერთხელ შევაწვლო თვალი!

ღვთაება მიხმობს! ზეციური სახება ქალის!

მეფისტოფელი

კარგი, შეეშვი! რა გაგიხდა მიმკრთალი ლანდი!

მალე თვალდათვალ სილამაზეს იხილავ ნამდვილს.

(ხმადაბლა) ჰე-ჰე, ისეთი შეგიდგება წვა და წიანნი, ვინძლო ელენედ მოგალანდოს ყველა დიაცი.

ქუჩა

[48]

ფაუსტი, გზადჩამოვლილი მარგერეტე

ფაუსტი

ჩემო ლამაზო ქალბატონო, მკლავზე დაყრდნობით

უნდა შინამდე მიგაცილოთ აუცილებლად.

მარგერეტე

არც ლამაზი ვარ, არც ქალბატონი, გზასაც გავიგნებ გაუცილებლად.

(გვერდს აუქცევს და გადის.) ფაუსტი

ეს რა ბავშვია, ღმერთო, მიხსენი!

შემკულა ქალის ყველა ღირსებით.

თან კდემით სავსე, სათნო და ზრდილი, თან კვიმატურად ნაპერწკლის მყრელი.

ან რა თვალ-წარბი, რა ბაგე-კბილი!

ვერ დავივიწყებ ათასი წელი.

როგორ დახარა თვალები მორცხვად, რა მოხდენილი პასუხი მომცა!

უცებ მომკვეთა, გასხლტა მალიად.

რა ლამაზია! რა ცინცხალია!

(შემოდის მეფისტოფელი) ფაუსტი

ეს გოგო დღესვე ჩემი გახდეს!

მეფისტოფელი

რომელი გოგო?

ფაუსტი

ახლა რომ გვერდზე ჩამიარა.

მეფისტოფელი

მერედა, როგორ?

აღსარებიდან, საყდრიდან მოდის, არ სცხია მნიკვლი მცირედი ცოდვის.

მერხს უკან ვედექ ყურდაცქვეტილი, წამლად საჩემოს არაფერს მალავს, გულმართალია და ზნეკეთილი, არა, ასეთზე არა მაქვს ძალა.

ფაუსტი

ნუ ხუმრობ! თოთხმეტს გადაშორდა![49]

მეფისტოფელი

მუსუსი ნახე!

უმანკოების, სინმინდის ყვავილს, ერთი სული აქვს, წასწყვიტოს თავი, არ მოუფროთხილდეს არავის სახელს!

სურს და, ინებეთ, მიერთვას უნდა.

რა ვქნათ, რომ ასე არ არის მუდამ...

ფაუსტი

კანონებს მირჩევ, დიდო მაგისტრო?

ნახე მაგაზე ლაპარაკის დრო?

გულშეძრულია! მაგდებს ნამუსზე!

ჩამოღვენთილა მწარე ფიქრებით!

ან გოგოს მომგვრი ამსალამოსვე, ან შუალამით, მორჩა, ვიყრებით.

მეფისტოფელი

ასე ერთბაშად რას გავხდები, ხომ არ გაგიჟდი!

მანდ რომ შემთხვევა გამოვყნოსო, მარტო მაგისტვის, მეტიც არა ვთქვა, ორი კვირა მინდა მცირედი.

ფაუსტი

დიდი რამ საქმე მიამიტი გოგოს ცთუნება!

ორი საათით მომცემოდა მშვიდი გუნება, ეშმაკის გარჯას არც არაფრად დავიჭირვებდი.

მეფისტოფელი

შენ რა ფრანგივით ლაპარაკობ![50] ვიცი, განყრები, მაგრამ სიამეს ნუ წაიხდენ სულის წასწრებით!

დაგემოვნება სჭირდება ტრფობას, ტარიტურები, ნელ-ნელი თრობა, აღმა-ჩადმანი, პირის კითხვა, ბადე-ფაცერი, როგორც გვასწავლის რომანელთა ნათხრობ-წაწერი.[51]

ფაუსტი

უმაგისოდაც არ მაკლია, მე მგონი, მადა.

მეფისტოფელი

კარგი, გვეყოფა ეს უაზრო ესკაპადები, აქ არ გამოვა, გიმეორებ ნათლად და ცხადად.

მონადავლება პირველივე ხელის დადებით.

სუფთა, უმანკო არსებაა, ჯერ თითქმის ბავშვი, აქ საჭიროა შორით მოვლა, შეუშვი თავში.

ფაუსტი

მაშინ წამოდი, მიჩვენე ბინა, მისი ოთახი, ის, სადაც სძინავს!

მომიღე რამე, მისგან ნაქონი, ვთქვათ, წვივსაკრავი, გინდაც ზონარი...

მეფისტოფელი

ანუ სურვილით ზედ დასაკონი, მხურვალე გულის მოსაფონარი!

ნიშნად იმისა, რა ერთგულად გემსახურები, დღესვე მიგიყვან, არ დაგტოვებ ბედთან მდურებით.

ფაუსტი

ვნახავ? ჩავიკრავ?

მეფისტოფელი

არც იფიქრო! შევალთ ცოტა ხნით.

შინ არ იგულო, ცარიელი გხვდება ოთახი, სტუმრად იქნება გადასული მეზობლის ქალთან.

შეიწოვ სურნელს. არაფერი, იმედის გარდა.

ფაუსტი

წამიძებ!

მეფისტოფელი

არა, ჯერ შინ არის, დრომდე მოითმენ.

ფაუსტი

არ დაგავიწყდეს: საჩუქარიც გვინდა დროითვე.

(გადის) მეფისტოფელი

სწავლულს დახედე! ესე ყოველი, იცის, საჩუქრით გასაჩარხია!

ნაცნობ ადგილებს მივივლ-მოვივლი, აქ სადღაც-სადღაც განძი მარხია.

(გადის)

სალამო

პატარა, სუფთა ოთახი

მარგერეტე, თმას იწნავს

ვინ იყო, ნეტავ, ის უცხო კაცი?

უცნობი ვაჟი, საყდართან, დილით?

გვაროვანია, არ უნდა ცილი, წარჩინებული ოჯახის შვილი, სითამამებე ეტყობა ყმანვილს.

(გადის) შემოდინა ფაუსტი და მეფისტოფელი

მეფისტოფელი

მომიყვანიხარ, აჰა, ბატონო!

ფაუსტი

გთხოვ, ცოტა ხანი მართო დამტოვო.

მეფისტოფელი, მიმოათვალიერებს იქაურობას

როგორი სუფთა გოგოა, ხედავ?

(გადის) ფაუსტი

საამო ბინდო, მშვიდობა შენდა, სამლოცველოთა მიმწუხრო ნელო!

და სიყვარულის ტკბილ-მწარე ელდა

იმედის კვალად ნათობს და ბნელობს.

სიმყუდროვეა რაღაც სხვარიგი, სხვა სისუფთავე, სხვა სიფაქიზე!

თბები, იმსჯვალვი ამ სიღარიბით, იმნაირია, გულს რომ აგივსებს.

(სავარძელზე ჯდება) მიმიღე, ძველო სავარძელო, სევდით ფარულით, შენს წუხილსა და სიხარულში შემოძღვე უნდა, როცა სხვა იყავ, ტახტი იყავ მამამთავრული, და გარეშემო პატარები გეხვივნენ გუნდად.

მათ გვერდით ალბათ ისიც იყო, ჩემი ძვირფასი, ბავშვურად ლოყებგაფუნჩული, დაბუა ჩიტი, და მოხუც პაპას საშობაო საჩუქრისათვის

მადლობის ნიშნად დამგკნარ ხელზე ჰკოცნიდა რიდით.

ო, როგორ ვიგრძენ, სანატრელო, შენი არსება!

შენი სულია ეს წესრიგი, სილბო, სავსება!

თუ ეს ფარდაგი! თუ ეს სუფრა მარმაშიანი!

თუ სოხანებე მოპნეული სილის შრიალი[52]!

ეს კი...

(გადასწევს საწოლის ფარდას) რა ტკბილი ჟრუანტელი შემომაგება!

მთელი საათი, შემოძლია, გავჩერდე კრძალვით.

ვით მსუბუქ სიზმარს, ანგელოზის ციურ ხატებას

აქ განსახავდნენ, აქ ძერწავდნენ ბუნების ძალნი!

აქ წოვდა ძუძუს, აქ იწვა ჩვილი, განგებისაგან ღვთაებად ქმნილი.

რისთვის მოსულხარ? რას ეძებ, რა გსურს?

შეკრთი? სისველე ჩადგა მზერაში?



რა უბრძოლველად მინებდი საცთურს, საბრალო ფაუსტ, ვერ გცნობ ვერასგზით!

რა გჭირს? ჯადო გჭირს? გეცვალა მხარი?

სასიყვარულო სიზმარში ქრები?

ნუთუ რანიც ვართ, შემთხვევის ნებით?

მივალთ, საითაც დაგვბერავს ქარი?

ახლა რომ უცებ შემოვიდეს, რა პასუხს ეტყვი?

იმას, რომ სრულად ატანილხარ მდაბალი ჟინით?

შენდობა სთხოვე, საცოდავო, განეჭ მის ფერხთით!

კაცო გულდიდო, რა მცირე ხარ, რაოდენ კნინი!

მეფისტოფელი

ჩქარა! საცაა გამოჩნდება, დროზე გავასწროთ!

ფაუსტი

შორს, შორს აქედან! აღარ მოვალ უკან არასდროს!

მეფისტოფელი

ესეც ბარდახმა! რა მძიმეა, შეავლე ხელი!

ნამრუდალია, საგანძური მოვჩხრიკე ძველი.

ნახოს და თვალი ვერ მოსწყვიტოს! აიღე-მეთქი, დრო აღარ ითმენს, კარადაში სასწრაფოდ შედგი.

ახალ საუნჯეს გაპოვნინებს, არ გასტანს დიდხანს, სათამაშოზე, ზიზილებზე ხარბია ბავშვი.

ფაუსტი

არ ვიცი, მიღირს ეგ ამბავი?

მეფისტოფელი

კიდევაც მკითხავს!

აი სერი! გამოვიდა, ამაოდ დავშვრი!

სხვა დროისათვის, წმინდა სულო, კაცო მართალო, შეგთხოვ, დამინდო, ასე უქმად არ მასხმარტალო.

ან იქნებ განძი არ გეთმოება, შენთვის მოგინდა?

მღელვარე სულში მეთავისე ამობოგინდა?

ღონეს არ ვზოგავ, დავწრიალებ, მივძვრებ-მოვძვრები -

(ბარდახმას კარადაში შედგამს და კარადის კარს კლიტებზე კეტავს.) დროა, წავიდეთ! - შუბლზე კოპი, ხელზე კოჟრები...

გოგო მოსურდა, სათნო და ნორჩი, ვიქექე მტვერში, ვიხოხე შმორში, არადა, თურმე ჯავრი რისი გაქვს!

შუბლს არ გაგიხსნის, დგას დაბღვერილი, ჰგავს თუ, შესჭმუნავს თავადერილი

თავის ფიზიკა-მეტაფიზიკას.

წავიდეთ, დროა!

(გადიან.) მარგერეტე, სანათით ხელში

რამ ჩამოხუთა აქ ეს ჰაერი, (ფანჯარას გამოაღებს.) გარეთ სიგრილე დგას იმნაირი...

ისე ვარ, თითქოს... რა მომდის ნეტა?

ოღონდ კი მალე დაბრუნდეს დედა!

მიკრთის, რაღაცას მანიშნებს თვალი.

რა ვქნა, რატომ ვარ ასეთი მფრთხალი?

(ტანსაცმელს იცვლის და მღერის.) იყო მეფე თულეს ქვეყნად[53], გულის სწორზე მგლოვარი, ოქროს თასი ხელად ეპყრა, მისგან დანატოვარი.

ხელად ეპყრა, დაიღებდა, აივსებდა, დაცლიდა, მწარე ფიქრი წაიღებდა, ცრემლებს ჩამომარცვლიდა.

მიეწურნენ როცა დრონი, ჟამი ესაკლისა რა, გასცა ყოვლნი სამკვიდრონი, ერთადერთი - ის არა.

ლხინად უხმო თავის რჩეულთ, უკანასკნელ სერობად, დარბაზს დაჯდა ჰაპისეულს, ზღვას რომ გადასცქეროდა.

ინადიმა ძველი რიგით, ბენამოდგა ღვანლილი, ზღვად ისროლა თასი იგი, სამუდამოდ დაცლილი.

ის იყო და ფერი სცვლია, დღენი გაუღევია, აღარც ცრემლი უმარცვლია, აღარც დაუღევია.

(კარადას გამოაღებს ტანსაცმლის დასაკიდებლად და ბარდახმას დაინახავს.) საიდან გაჩნდა ეს ბარდახმა? პირველად ვხედავ.

კარს კლიტე ედო, არც კარადა მქონია ღია.

უცნაურია! ვალი გასცა, ეტყობა, დედამ?

და ეს გირაოდ დაუტოვეს? ლამაზი კია!

შიგ, ნეტა, რა დევს? გასაღებიც თანვე ხლებია.

რა მოხდა, გავხსნი, ვნახავ ერთი, რა ნივთებია.

ვაიმე, ღმერთო! სამკაული რაგინდ-რაგვარი!

ჩემს დღეში რამე თუ მენახოს მაგის მაგვანი!

მე კი არა და აღტაცებულს ვის არ დატოვებს!

დამშვენდებოდათ მეჭლისებზე დიდ ქალბატონებს.

ნეტა ვისია? ვერ ვამსგავსებ გარს ვერავისას.

რა დაშავდება, ერთი ნუთით, მოდი, ავისხამ.

(მოირთვება და სარკეში იხედება.) ო, ეს საყურე ჩემი იყოს, არა მინდა რა!

სარკეში თავი ვერ მიცვნია, მშვენის იმდარად!

იყავ ლამაზი, იყავ ნორჩი - მცირე ფასი გაქვს, უნდა გეკიდოს ოქროები, ალმას-ლალები!

ათასში ერთხელ თუ მოხდება, ვინმე ყასიდად

ქებასაც გეტყვის, სანახევროდ, ჩანს, ებრალები.

ოქროთი იზომ-ინონება კაციც და ქალიც.

ოქრო და ოქრო ყველაფერში! ახ, ჩვენი ბრალი!

ხეივანი

ფაუსტი ჩაფიქრებული ბოლთას სცემს. შემოდის მეფისტოფელი.

მეფისტოფელი

წყევლა და კრულვა! გარესკნელის დელგმა და სეტყვა!

გონს ვერ მოვსულვარ! სანყევარი არ მყოფნის სიტყვა!

ფაუსტი

გინდა, მეც დამცე, ვგონებ, თავრეტი, რა ამბავია, რა ხმაზე ყვირი?

მეფისტოფელი

ჩემს თავს ეშმაკთან გავამგზავრებდი, თავად არ ვიყო ეშმათა ძირის!

ფაუსტი

თქვი, რამ დაგჭმახა? ძგიდეს გასდე, შეგერყა სხვენი?

არაფერია, მე თუ მკითხავ, კიდევაც გშვენის.

მეფისტოფელი

მართლა რომ თავი გამტეხოდა, ვფიცავ, მერჩია!

ის განძი, ჩემგან მოკრებილი, ხუცის ხელშია!

რა ძრწოლა მოსდის, შენ არ იცნობ გრეტხენის დედას, როცა ნივთს რასმე თავის ახლოს პირველად ხედავს.

ასეთ ამბებში, ვერას იტყვი, მართლა აქვს ცნოსვა, თავგადაკლული დღედაღამე ჩასცქერის ლოცვანს.

ავეტს დასუნთქავს, სად რა არის - გამოსწვევს უჯრებს, წმინდა არის თუ უწმინდური, ცნოსავს და უჭვრეტს.

ჰოდა, იმ განძის დანახვაზე, ჩემგან ნამრუდლის, უმაღვე მიხვდა, რომ საკმევლის სუნიც არ უდის.

„შვილო, ქონება უწმინდური, - ეტყვის, - ნუ გინდა, რადგან ეშმაკის მახეა და სულის დილეგი.

უნდა ღვთისმშობელს შევწიროთ და უფლის უბიდან

თავზე მანანა დაგვაცვივა დანამდვილებით“.

გოგომ დიდადაც ვერ იამა დედის საუბრით, ნაჩუქარ ცხენსო, ანდაზისკენ ფიქრი გაურბის.

ასე გულუხვად ვინც მოართვა ძღვენი მეფური, როგორ იქნება, უღვთო იყოს და უკეთური!

დედამ ხუცესი მოიყვანა. დახედა ხუცმა, და რა დახედა, გუნებაზე მოვიდა უცბად.

მაინც დინჯია, არ უწყდება მსჯელობის ძაფი, ვინც მოითმენსო, მოიგებსო, უწონებს

ნაფიქრს.

„მძლავრი კუჭი აქვს ეკლესიას, ასულნო ჩემნო, ქვეყნებს მთელ-მთელად მიირთმევს და, თუ რამე ევნოს!

ყველაფერს ირგებს, მაგ საქმეში ვერავინ ტოლობს.

ამგვარი განძის მონელებაც მას ძალუძს მხოლოდ“.

ფაუსტი

რატომ, სხვაც ვიცი სტომაქები ყოვლის მტვევლი, ვთქვათ და ხელმწიფე ან, თუ გნებავს, იუდეველი.

მეფისტოფელი

მიჩხრიკ-მოჩხრიკა გულქანდები, საყურ-ბეჭდები, თითქოს არც რამე, ფერად-ფერად კენჭებს ეწვდები.

კი, მადლი ბრძანა, ოღონდ ისე, ძალისძალათი, გინდაც კაკალი გაეტნიოთ ნნული კალათით.

აღუთქვა სრული შემწეობა ცად მოხვედრაში, რითაც ძალიან გაუმხნევა გული დედა-შვილს.

ფაუსტი

გრეტხენმა რაო?

მეფისტოფელი

რა უნდა ენას, ზის და განიცდის, მდუმარე გახდა, გარინდული, გაუცინარი, დღისით და ღამით სულ იმ განძზე ფიქრობს თავისთვის, და მაინც უფრო გამომგზავნზე - „ნეტა, ვინ არი“?

ფაუსტი

ახალს მიიტან, ეს პირველი ბევრიც არ იყო.

სამალავები სხვაც გექნება სათადარიგო.

მეფისტოფელი

რა ენაღვლება თქვენს მოწყალებას!

არაფრად უღირს ჩემი წვალება.

ფაუსტი

აჩქარდი, ეშმავ! არ იქნება, მე მგონი, ცუდი, გვერდით რომ ცხოვრობს, იმ ქალთანაც გადასკვნა კუდი.

ჯერ ოღონდ განძი მომიძიე დაუხანებლად.

მეფისტოფელი

არის, ბატონო! შესრულდება თქვენი ბრძანება.

(ფაუსტი გადის) იძრა ჯეელი! ვარსკვლავეთი აქვს გასატოპი!

სულ სატრფოსია მზეც, მთვარეც და ყველა მნათობი!

მეზობლის სახლი

მარტა

ეს რა ქნა ჩემმა ძვირფასმა ქმარმა!

ღმერთმა განსაჯოს, მე ბრალი არ მაქვს.

გადაიკარგა, დამაგდო მარტო, სახლი, ცოლ-შვილი, - არაფერს დარდობს.

რა სჭირდა, ჭამდა რისი ნაღველი?

სიყვარული თუ რა დავაკელი?

(ტირის) იქნებ მკვდარია, ჩამიღამა ფიქრმა თვალები...

არადა, ცნობა მაინც მქონდეს გარდაცვალების!

მარგერეტე

შინა ხართ, მარტა?

მარტა

მოხდა რამე? შემოდი, გრეტხენ!

მარგერეტე

მუხლები მითრთის...

კვლავ ბარდახმა! როგორც იმ ერთხელ!

აბანოზისა! აღარ ვიცი, სულ დავიბენი...

ნივთები, ორჯერ ლამაზები, ორი იმდენი...

მარტა

დედას ნუ ეტყვი, არ სჭირდება ახალი ელდა.

წამოხვეტავს და გაქანდება მაშინვე მღვდელთან.

მარგერეტე

ამას შეხედეთ! ამას! ამას!

მარტა

არ ვიცი, რა ვთქვა!

(მორთავს) სასწაულია! ბედნიერი გოგო ხარ მართლა!

მარგერეტე

ვერ გავიკეთებ, რად გინდა, ვერსად, ქუჩაში - ვერა, საყდარში - ვერა.

მარტა

დრო ნახო, უმალ გადმოდი ჩემსა, გვიყვარს დიაცებს სარკეში ცქერა.

ჩახედავ, გოგო ამოგხედავს დედოფლის მგვანი!

მერე და მერე, დღეობებზე, ხან აქ და ხან იქ, დღეს აგერ იმ ერთს გაიკეთებ, მეორედ ამ ერთს.

დედა ვერც ნახავს, ეტყვიან და მოვბოდავთ რამეს.

მარგერეტე

მაინც ვის უნდა მოეტანა, ვერ გამიგია!

მე მგონი, ვცოდავ, არ ვიქცევი, როგორც რიგია...

(კაკუნი კარზე) ვაიმე, ღმერთო, დედაჩემი!

მარტა, იჭვრიტება

უცხო ვაცია.

ნეტავ რა საქმე გასჩენია, საიდან მოდის?

მობრძანდით!

მეფისტოფელი

ვითხოვ თავმოდრევით ქალებთან ბოდიშს.

დაგაფრთხეთ, მგონი. აგიტეხეთ განამანია.

მარტა

რით გემსახუროთ, რას გვიბრძანებთ?

მეფისტოფელი

აქა მშვიდობა!

ქალბატონ მარტა შვერტლაინის ნახვა მინდოდა.

(მარგერეტეს მიაჩერდება და შემკრთალი უკან-უკან იხევს.) მარტა

მე ვარ, ბატონო.

მეფისტოფელი, მარტას, ხმადაბლა

მაპატიეთ, ცუდ დროს მოვედი, მაღალშობილი სტუმარი გყავთ, ჯერ არ გცალიათ.

ჯობია, წავალ, საღამომდე დაგეთხოვებით.

გაუფრთხილებლად მოგადექით, ჩემი ბრალია.

მარტა, ხმამაღლა

გესმის, გრეტელხენ, რა ცეცხლი ეცა?

დიიიდგვაროვან ასულად ეცან.

გრეტხენი

ცდებით, ბატონო, სულ უბრალო გოგო ვარ ერთი.

შემთხვევით მოვხვდი ამ ძვირფასი ნივთების გვერდით

და სალაღობოდ გავიკეთე, არ გახლავთ ჩემი.

მეფისტოფელი

მარტო ეგ არა, ავსილობა ისეთი შუქით...

ისეთი მჭევრი გამოხედვა... იერი თუგინდ...

მოხარული ვარ, მოხარული! მაშ, ასე: ვრჩები.

მარტა

რამე ამბავი მომიტანეთ? არ მეთმინება!

მეფისტოფელი

ვერ გამოვდექი, ვწუხვარ, კარგი მახარობელი: თქვენმა მეუღლემ დაუტევა ესე სოფელი, თავი დაგიკრათ იმქვეყნიდან, - ჰქონდეს ლხინება.

მარტა

მოკვდა? მიშველეთ! ვაი ჩემ თავს! მოკვდა? წავიდა?

მისანი გული! გამითენდა სიკვდილის დილა!

მარგერეტე

გამაგრდით, მარტა!

მარტა

ვერა, ვერა, ვერ გადავიტან!

მეფისტოფელი

ნება მიბოძეთ, ყველაფერი მოგიტხროთ წვრილად.

მარგერეტე

ო, ეს წუთები გულშემზარავი!

არ შემიყვარდეს ნეტავ არავინ!

მეფისტოფელი

დღეს ავდარია, ხვალ დარი დგება, მონაცვლეობენ შვება და ვება.

მარტა

როგორი ბოლო ჰქონდა საცოდავს?

მეფისტოფელი

ბედს არ ენება, მეტი დასცლოდა.

აქვს პადუაში საწოლი გრილი

და განისვენებს მარადი ძილით

სანტ-ანტონიოს საყდართან ახლო.

მოკლედ, მშვიდობით, ცოლო და სახლო!

მარტა

სხვა არაფერი?

მეფისტოფელი

იმქვეყნით გესავთ, გადაუხადოთ სამასი მესა.

სხვა არაფერი, არც ერთი გროში.

მარტა

არც ნივთი რამე? ბეჭედი, ბროში?

მოხეტიალე ქარგალი ბიჭიც

უმაღლი მოიკლებს საჭმელს და სასმელს

და სამახსოვროდ იყიდის რასმე.

მათხოვრად ივლის...

მეფისტოფელი

ვწუხვარ, მაღამ, რამის თქმა მიჭირს.

არა, მფლანგველი არ ყოფილა, საცთურს მინებდა.

თავსაც კიცხავდა, მაგრამ უფრო ბედს აგინებდა.

მარგერეტე

რარიგ მწარეა, ახ, კაცის ბედი!

რეკვიემს ვიტყვი, რა ძალმიძს მეტი!

მეფისტოფელი

ლამაზო ბავშვო, ჯობს, ეგენი სხვებს შეატოვოთ, გვირგვინი ისკვნათ, ეგ იფიქრეთ, -  
გათხოვდით მალე.

მარგერეტე

მაგაზე ფიქრი ჯერ ადრეა, ჩემო ბატონო.

მეფისტოფელი

მაშინ სიყვარულს დაეშურეთ, სატრფოსთან ალერსს.

აქავ დაატკობთ სულის ცხონებით, ვინ ბედნიერსაც ჩაეკონებით!

მარგერეტე

ჩვენში არ არის, მომიტევეთ, ეგეთი წესი.

მეფისტოფელი

არის, არ არის, სულერთია, ყოველდღე გვესმის.

მარტა

მითხარით, როგორ აღესრულა?

მეფისტოფელი

ჩემს ხელში თითქმის, მწირ სარეცელზე, მაინც ალბათ სარეცლად ითქმის, თორემ რაც  
იყო, სანახევ და დამპალი ჩალა.

სამაგიეროდ, ისე მოკვდა, ვით ქრისტიანი, თუმცა ბოლომდე ვერც მოთვალა, რა გაჰყვა  
ვალად.

მოთქმით ნანობდა ცოლისა და ოჯახის დალატს.

„როგორ გაწირე! მძულს, - გმინავდა, - თავი ტიალი!

არ მაპატიებს, ეგ სიმწარე წამიტანია!“



მარტა, ტირის

კეთილო სულო, გაპატიე დიდი ხანია!

მეფისტოფელი

„მკლავს გახსენება, ამირია თუმცადა კვალი!

ღმერთია მოწმე, ჩემზე მეტად მას უღევს ბრალი“.

მარტა

გონს გადასულა! ჰგავს ნაბოდვარს! ნამდვილ ნაბოდვარს!

სამარის კართან ასეთ ცოდვას როგორ ამბობდა!

მეფისტოფელი

კი, ბოდვას ჰგავდა, - ცალი ფეხით იყო იმქვეყნის.

ისე, ცოლქმრობის ღრმა ცოდნითაც ვერ დავიკვებხნი.

კვნესდა: „წელეებზე ფეხს ვიდგამდი, არ ვმჭდარვარ უქმად, შვილებს ვსახავდი, შემომქონდა ალალი ლუკმა.

მაინც არ იქნა, არ მაღირსა მშვიდი ცხოვრება, გბებზე წაწნალი ვამჯობინე, გაუპოვრება!“

მარტა

მე არ ვწვალობდი? მე კი მქონდა მშვიდი გუნება?

არც სიყვარული დამიფასა, არც ერთგულება?

მეფისტოფელი

არა, რას ბრძანებთ, თქვენი დარდი აცოდვილებდა, სურდა, პირნათლად წამდგარიყო ცოლთან, შვილებთან.

თქვა: „ნადავლისთვის გამოვედით მალტიდან როცა, უმაღლეს ცოლ-შვილებზე აღვაავლინე მხურვალე ლოცვა.

გენამ კეთილად გაიგონა ვედრება ჩემი, შემოგვახვედრა განძით სავსე თურქული გემი, სულთანისათვის აკრეფილი მიჰქონდა ხარკი.

კარგად ვიომე, წილიც მერგო საკმაოდ კარგი“.

მარტა

მერე რა უყო, სად წაიღო? დაფლა იქნება!

მეფისტოფელი

ისეთი დაფლა, ალიკვალი არ მიიგნება.

კეთილმა ქალმა ნეაპოლში, ტკბილმა, ფოფინამ, ეულს, მარტოსულს უცხოობა არ აგრძნობინა.

გამოაყოლა სახსოვრადაც ისეთი ძღვენი, ვერ მოიშუშებ სიკვდილამდე, რაც გინდა ქენი.

მარტა

ეს გარეცხილი! აღვირახსნილი!

შვილებს ქურდავდა ბილწი, თახსირი!

თან სამარცხვინო ასეთი სენი!

მეფისტოფელი

ჰოდა, კიდევაც გასდინდა წვენი.

გირჩევთ, არადა, რა რჩევა გინდათ, -

ამ ერთ წელიწადს იგლოვეთ მშვიდად

და მერე გეში აიღეთ სხვაზე.

მარტა

ღმერთო, მეორეს ვის ვნახავ ასეთს, ასე კეთილს და ასე მიამიტს!

მოვიგონებდი იმ წლებს სიამით, რომ არა მისი ზოგ-ზოგი ჩვევა, სმა და ბანქო და კახპებში თრევა.

მეფისტოფელი

რას იზამთ, აკი ღვთის შემწეობით

საცელქო ამბებს თქვენც ეწეოდით.

თუ ასე გავზრით, არც შევეჭვდები, მზად ვარ, გავცვალოთ ჩვენი ბეჭდები.

მარტა

ბატონს ხუმრობა ჰყვარებია! ამბობთ სამასხროდ!

მეფისტოფელი, თავისთვის

სანამ სიტყვაზე დამიჭერდეს, უნდა გავასწრო, თორემ ეშობაც ვერ მიშველის, ბაღე მზად არის!

(მარგარეტს) გულში რა ხდება? დარისაა?

მარგერეტე

დარის? რა დარის?

მეფისტოფელი, თავისთვის

ბავშვია, კვალის არ ატყვია ჯერ დიდობისა!

(ხმამაღლა) აბა, ქალებო, ტკბილად გნახეთ!

მარგერეტე

გზა მშვიდობისა!

მარტა

ერთხელაც გაგრჯით, დაგიძახებთ ერთ დაძახებას, სად, როდის მოკვდა, დამიმონებთ, დრო რომ გეწნებათ.

სასამართლოდან დამჭირდება ცნობის აღება, „კვირის ფურცელშიც“ დამჭირდება გამოქვეყნება.

მეფისტოფელი

სხვა მონმეც გვინდა, კიდევ ერთი, რომ ცნობა მოგცენ.

თან ამხანაგი მახლავს ბედად, მაგ ამბის მომსწრე.

გნებავთ, მოვიყვან?

მარტა

თუ სიკეთეს გამინვეთ მაგდენს!

მეფისტოფელი

ეს კარგი გოგოც ხომ დაგვხვდება, მაგ პატივს დაგვდება?

ზრდილი ვაჟია, ნამყოფია სად და სად არა.

ნახავთ, ყოველმხრივ კმაყოფილი თუ არ დარჩებით.

მარგერეტე

სირცხვილი დამწვავს!

მეფისტოფელი

სულ ტყუილად, ჩემო პატარავ!

ქალი ბრძანდებით ხელმწიფესთან გამოსაჩენი.

მარტა

ამ საღამოსვე თქვენს მეგობარს გამოსდეთ ხელი.

აბა, ნახვამდის! აჲ, სახლს უკან, ჩემს ბაღში გელით.

ქუჩა

ფაუსტი, მეფისტოფელი

ფაუსტი

რა ქენი? შეხვდი? ესაუბრე? საქმე გამოდის?

მეფისტოფელი

ბრავო! კვლავ ცეცხლი გიკვიდია, დაბოლთავ ქშენით!

კარგი, დანყნარდი, მოკლე ხანში გახდება შენი, მარტასთან ნახავ, მეგობელთან, ამ საღამოთი.

ოქრო ქალია, მაგ ამბებში მრავალთა მჯობი, მაჭანკალა და ცოტა-ცოტა ბოშური წყობის.

ფაუსტი

მით უკეთესი!

მეფისტოფელი

რაღაც უნდა, ოღონდ, ჩვენგანაც.

ფაუსტი

უნდა, ცხადია! სულ ასეა მთელი ქვეყანა.

მეფისტოფელი

არა, ეს თხოვნა სხვა რიგის არის, შენ რასაც ფიქრობ, იმას არა ჰგავს.

ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მისი ქმარი  
წევს პადუაში სამუდამო წმინდა ალაგას.

ფაუსტი

მთლად აგიბურდავს ყველაფერი დაწყობის ნაცვლად!

ჭკუა გაქვს ახლა? იმსიშორეს მჭირდება ნასვლა?

მეფისტოფელი

სად წასვლა? sancta simplicitas![54] შენც იტყვი, რაღა!

სხვა მაგ საქმისა რა გვცოდნია, დავაგდებთ ქალაქს.

ფაუსტი

მაშინ ჩაგვშლია ჩანაფიქრი, ნუ მთხოვ უჯეროს!

მეფისტოფელი

ო, წმინდა ვაცო, ო, სიმართლის საღვთო ჭურჭელო!

შენს დღეში ვითომ ცრუ ჩვენება არ მიგიცია!

მაშ, ის რა იყო, შუბლუტეხად, ვაცთა რაობის, პირველსაწყისთა მოძრაობის თუ უძრაობის,  
ღმერთის, სამყაროს მიდექ-მოდექ დეფინიცია?

სჭარბობს რითიმე მაგ ამბებთან შენი ლაციცი, ვთქვათ, იმას, მარტა შვერტლაინის ქმარზე  
რაც იცი?

ფაუსტი

სოფისტი ხარ და ცრუ ხარ და ყბედი!

მეფისტოფელი

ანდა, ვინც ნახა ცოტათი მეტი.

და განა ხვალვე საბრალო გრეტხენს

თავს არ დაუვლის ალალი მეტრფე?

არ დაიწყება სიტყვების ბლანდვა?

ფაუსტი

სულ წრფელი გულით!

მეფისტოფელი

ჰოდა, მეც მანდ ვარ.

გულწრფელი ფიცით არ დაიწყება

მარადიული ტრფობის მტკიცება?

ფაუსტი

კარგი, დამეხსენ! გრძნობას, რომელიც

მიპყრობს, ბობოქრობს, აღმურში მახვევს, სიტყვებს რომ ვარგებ დაუცხრომელი, მაგრამ  
ვერა და ვერ ვარქმევ სახელს, მიმიჩანს მაღლად, მიმიჩანს წმინდად, სიცოცხლის ფასად  
მივესწრაფები, -

მარადიული ვუნოდო გინდაც, სიცრუე მითქვამს შენი საფერი?

მეფისტოფელი

არადა, მაინც მე ვარ მართალი.

ფაუსტი

მოვრჩეთ, დაზოგე ჩემი ფილტვები!

ვინ შეგედრება ენის ჭარტალით, რას დაგიმტკიცებ, თუ ახირდები!

გეტყვი, არ გეტყვი, შენსაზე დგახარ.

კი, მართალი ხარ, მჭირდები რახან.

ბადი

მარგერეტე ფაუსტთან ხელგაყრილი - მარტა და მეფისტოფელი - მოსეირნე წყვილებად.

მარგერეტე

ცდილობთ, დამინდოთ, უხერხულად არ ვიგრძნო თავი, მესაუბრებით ბევრის მცოდნე, როგორც თანასწორს.

ვინც ხშირად მგზავრობს, იცის ხალხის კარგი და ავი, გულს გაგიკეთებს, არ დაგხედავს მაღლით არასდროს.

ჩემსავით გოგო თქვენს ნაფიქრალს მხარს ვერ აუბამს, რა უნდა ახლდეს სასიამო მასთან საუბარს...

ფაუსტი

შენი ეგ ერთი გამოხედვა, ეგ სიტყვა ერთი

ყველა სიბრძნეზე, დამერწმუნე, მეტია ჩემთვის.

(ხელზე ჰკოცნის) მარგერეტე

რას სჩადით! კოცნა ასეთი ხელის!

ნაჯაფარია, თვითონვე ხედავთ!

საქმე და საქმე დღეები მთელი, -

წესრიგი უყვარს, მკაცრია დედა.

(ჩაივლიან) მარტა

და სულ გზაში ხართ? არასოდეს ჩერდებით დიდხანს?

მეფისტოფელი

რა ვქნა, ასეთი ხელობა მაქვს, ჩემი ბედია.

შევხვდები ხოლმე, სადაც გული დარჩენას მითქვამს, მაგრამ, რა საქმეც მაბარია, ითხოვს ხეტიალს.

მარტა

ჯერ ადვილია, დრო ჯერხნობით მსუბუქად მიქრის.

არ ჩამომდგარა სანამ სუსხი, გზად ყოფნაც გართობთ.

მაგრამ ოჯახზეც საჭიროა დროულად ფიქრი, ცხოვრების ბოლოს როგორია დარჩენა მარტო!

მეფისტოფელი

წარმოვიდგენ და შორითვე მზარავს!

მარტა

და მაინც დასტვენთ, არ ფიქრობთ არას?

(ჩაივლიან) მარგერეტე

ზრდილობის ენა, ტკბილი სიტყვები!

წასვლის უმაღლვე დაგავინყდებით.

თქვენს მეგობრებში ჭკუა-გონებით, იცით, ვერავის შევეწონები.

ფაუსტი

რას არქმევ ჭკუას? ფრთა გეპყრას ბატის?

ამბობდე ნაბუთხს? ითხოვდე პატივს?

მარგერეტე

როგორ!

ფაუსტი

ასეა. სათნოებამ, ალაღმა გულმა

თავისი თავის უმეტესად არ იცის ფასი.

რასაც მე პატივს მივაგებდი ყველაზე უმაღლ, კდემას, სინრფელეს, ბუნებრივი სიკეთით ავსილს.

მარგერეტე

თუ წუთით მაინც გამიხსენებთ, შორს რომ იქნებით!

მე მთელი ხანი გამელევა თქვენზე ფიქრებით.

ფაუსტი

ხშირად ხართ მარტო?

მარგერეტე

დავტრიალებ საყოლს თუ საქონს, რა ცოტაც არის, მოვლა უნდა, თვალი და ხელი.

მოახლე არ გვყავს, მე ვალაგებ, ვრეცხავ და ვწველი, სადილს ვამზადებ, იქით კიდევ, ჯარა და მაქო.

დედას ადრითვე სულ საქმეში ვყავდი ჩართული, მკაცრი ქალია, მომჭირნე და აკურატული.

არა, ჩვენს წესზე, ღარიბები, ალბათ, არ გვეთქმის, მამამ სახლ-კარიც დაგვიტოვა, მიწის ნაკვეთიც.

ისე, ბოლოხანს, დროს თუ ვიტყვით, საკმაო დრო მაქვს, შინ ორნი დავრჩით, აღარ მიწევს იმდენი შრომა.

ძმა ჩვენთან ერთად აღარ ცხოვრობს, - ჯარისკაცია.

დაიკო მყავდა, არ მოგვესწრო, მოკვდა პანია.

მარტოს მებარა, მე ვუვლიდი, ვწვალობდი რამდენს!

მაინც იმ ტანჯვას ავირჩევდი სულით და გულით, დღესაც რომ - ოი, საყვარელი! - ცოცხალი მყავდეს...

ფაუსტი

თუ გგავდა კიდევ, ანგელოზი ყოფილა სრული!

მარგერეტე

მამა ახალი მკვდარი გვყავდა, როდესაც გაჩნდა, დედა, ლოგინად ჩავარდნილი, აზრს ვერ იკრებდა, ისეთი იყო, გადარჩენას ვინ იფიქრებდა...

საბრალო ბარტყი! - ერთადერთი მე დავრჩი მასთან.

დედა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მობრუნდა ქვეყნად, ჩვილს მე ვადექი, დედის ძუძუ არც უგემია, რძით გამოვზარდე წყალნარევით, რა უნდა მექნა!

შევესისხლხორცე, გრძნობა მქონდა - მხოლოდ ჩემია!

ჩემს მკლავებში და ჩემს კალთაზე წამოიჩიტა, შემომღიმოდა, პანანინა ხელებს მიწვდიდა.

ფაუსტი

რამდენს ხარობდი ალბათ მასთან მისათუთებით!

მარგერეტე

მაგრამ, რომ გითხრათ, ხშირად მქონდა მწარე წუთებიც.

ღამით აკვანი თავთან მედგა, საწოლის გვერდით, ერთი ფაჩუნიც მალვძიებდა, შეკრთომა ერთი.

უნდა მეჭმია, თუ არ ეძინა, ცოტა ხნით ჩემთან გადმომეწვინა.

ატირდებოდა, ავდგებოდი, ვუნანავებდი, დავცეკვაობდი, დანწყვეტილი მქონდა მკლავები.

დილით კი საქმე, იქ - ბაზარი, აქეთ - ნახირი.

ხან ცომის ვარცლზე, ხან სარეცხზე ვიყავ ნახირილი.

მეკარგებოდა ზოგჯერ მხნეობა, იმდენი საქმე დამეხვეოდა.

სამაგიეროდ, როგორი ტკბილი

ხდებოდა ხოლმე ჭამა და ძილი!

(ჩაივლიან) მარტა

ეხ, ბერბიჭებო! საბრალოა, ვინც გაჩნდა ქალად!

რა თმენა უნდა თქვენს მოქცევას, რამდენი ძალა!

მეფისტოფელი

ნეტავ თქვენდარი დამმოდვრელი უნინ მყოლოდა!

არ მომიწევდა, წამომეწყო საქმე ბოლოდან.

მარტა

გამოტყდით, თვალი არავისთვის დაგიდგამთ ჯერაც?

ფუძე რომ გქონდეთ, დავიჯერო, სულ არ გინდებათ?

ნუ დამიმალავთ!

მეფისტოფელი

კარგი ცოლი და თბილი კერა

სჯობს, ნათქვამია, მთელი ქვეყნის ავლადიდებას.

მარტა

მერე? სიმშვიდე არ გწყურდებათ? არც სითბო ცოტა?

მეფისტოფელი

კარგად მხვდებიან, საცა მივალ, ვერ ვიტყვი ცოდვას.

მარტა

მე სერიოზულ განზრახვაზე გესაუბრებით.

მეფისტოფელი

მაგით ხუმრობას ვერ გავბედავ ვერა უფლებით.

მარტა

ახ, ვერ მიმიხვდით!

მეფისტოფელი

მაპატიეთ, ძალიან ვწუხვარ.

თუმცა მიგიხვდით: გულის სითბო გებოძათ უხვად.

(ჩაივლიან) ფაუსტი

წამსვე მიცანი, შემოსული როგორც კი მნახე?

მარგერეტე

თვალი დავხარე, მოგარიდეთ უნებურ სახე.

ფაუსტი

ზედმეტი გკადრე, მაპატიე, საყდართან იმ დღეს, უბოძოდ ვნანობ ჩემს თავხედურ ქცევას და სიტყვებს.

მარგერეტე

გითხრათ, გავოგნდი, ასეთ ამბავს პირველად შევხვდი.

ვერ იტყვის ჩემზე კაციშვილი ვერაფერ საძრახს.

არა, იმგვარიც რა შემატყო, ვფიქრობდი ჩემთვის, ჯიქურ მომეჭრა და უჯერო სიტყვები დაძრა.

ნუთუ მაქვს რამე საჩოთირო, ვეცან ეგეთად?

ერთი წამითაც არ შებრკოლდა, ისე მეკვება.



მაგრამ აქ, შიგნით, რაღაც მოხდა თანდათანობით, თქვენს გამართლებას, გამოვტყდები, კიდევ ვლამობდი.

არადა, თავზეც ვბრაზდებოდი, - ნეტავ რით არი, რა მომდის, ბრაზი არ გამომყვა არავითარი...

ფაუსტი

ძვირფასო!

მარგერეტე

კარგი, როგორც იყო... შევეშვათ ამას...

(ყვავილს მოწყვეტს და ფურცლებს თითო-თითოდ აცლის.) ფაუსტი

გვირგვინს წნავ?

მარგერეტე

არა. ნუ დამცინებთ, შევეყვი თამაშს...

ფაუსტი

რა თამაშია? რას ბუტბუტებ?

მარგერეტე

ვუყვარვარ - არა...

ხომ არ დამცინებთ?

ფაუსტი

ახლოს მოდექ, დათვალე წყნარად!

მარგერეტე

ვუყვარვარ? არა? - თქვი, ყვავილო! - ვუყვარვარ? არა?

ვუყვარვარ!

ფაუსტი

აჰა! დასტურს ამბობს ყვავილთა ენაც.

მისი ფურცლებით სრულ სიმართლეს გაუნყებს ზენა.

გესმის? უყვარხარ!

მარგერეტე

სულ ვცახცახებ...

ფაუსტი

ნურაფერს უფრთხი!

სამარადისოდ გაგრძელდება ნეტარი წუთი!

სასონარკვეთა ვერ მოიცავს, ნუ გეფიქრება!

არა აქვს ბოლო! უსაზღვროა! მარად იქნება!

არა აქვს ბოლო! დაე, რასაც ვერ იტყვის სიტყვა, თქვას გამოხედვამ, უნებურმა შეხებამ

გვითხრას!

(მარგერეტე ხელს ხელზე მოუჭერს და გარბის, ფაუსტი უკან დაედევნება.) მარტა  
ბინდიც ჩამოდგა.

მეფისტოფელი

ავიდრებით, დროა აშკარად.

მარტა

ვერ გეუბნებით, დარჩით-მეთქი, რამ აგაჩქარათ.

უმაღვე რამეს შემწამებენ, იტყვიან ბოროტს, ჭორის ბუდეა, თქვენ არ იცით, რა ხალხი  
ცხოვრობს, არ ურჩევნიათ არაფერი მეზობლის ჭვრიტინს, ვერ გადაიფრინს უმაგათოდ  
ღობებზე ჩიტი...

წყვილი რა გვექნა?

მეფისტოფელი

შესასვლელთან მოგვარი თვალი, მანდ შეფართქალდნენ. ვიშ, ფარვანა! არ აკრთობს  
ალი!

მარტა

ვაჟი, მე მგონი, მოგვეხიბლა, სტუმარო ჩვენო!

მეფისტოფელი

ვაჟიც და ქალიც. ეს ქვეყანა მაგაზე შენობს.

სახლაკი ბაღში

შემორბის მარგერეტე, კარსუკან იმალება, თითს ტუჩთან მიიტანს და სამზერში იყურება.

მარგერეტე

მოდის!

ფაუსტი

თამაშობ? წამაქებე, ჰო, წამაქებე!

არ გეშინია, რომ დაგაცხრე უცბად ბაგებზე?

(ჰკოცნის) მარგერეტე, კოცნას უბრუნებს

ძვირფასო კაცო, მიყვარხარ და სულ მეყვარები!

(კაკუნი კარზე) ფაუსტი

ვინ არის?

მეფისტოფელი

ძმა და მეგობარი! გახსენ კარები!

ფაუსტი

მხეცო! პირუტყვო!

მეფისტოფელი

დაგვიღამდა, დროა, ყმანვილო!

მარტა, მოუახლოვდება

გთხოვთ! გვიან არის!

ფაუსტი

ნებას მომცემ, შინ მიგაცილო?

მარგერეტე

ნახვამდის, არა, დედა მომკლავს!

ფაუსტი

ჩვენ, აბა, აქეთ.

ნახვამდის!

მარგერეტე

მალე შეხვედრამდე!

მარტა

მშვიდობით გნახეთ!

(ფაუსტი და მეფისტოფელი გადიან.) მარგერეტე

ღმერთო, რამხელა ჭკუა და სიბრძნე!

რას ჩავწვდებოდი, გუმანით ვიგრძენ.

რაც კი რამ არი, ცისა თუ მიწის, სულ ნაფიქრი აქვს! ხედავს და ესმის.

ვდგავარ უბირი, სირცხვილით ვიწვი...

საოცარია, რა ნახა ჩემში?

ტყე და გამოქვაბული

[55]

ფაუსტი, მარტო

მაღალო სულო, ყველაფერი, რასაც შეგთხოვდი

ცეცხლის ალიდან გამომზირალს, მებოძა სრულად[56], ამაო ხილვა არ ყოფილხარ, მეძღვნა უკლებლივ.

ბუნების მთელი საბრძანისი გადმომიშალე, მეგრძნო, შემეტკბო, სამაგისოც მომმადლე ძალა.

თვალდაცეცებულ, გაოცებულ მგზავრად კი არა, თანაზიარად მომიყვანე, სიღრმეში მხედად, შიგ ვიყურები, ისე როგორც მეგობრის გულში.

ჩამოატარებ ჩემ წინაშე სულდგმულთა წყებას, მაცნობ ჩემს და-ძმებს ბუჩქნარებში, წყალში, ჰაერში.

როცა ტევრებში ქარიშხალი ბღავილით დაძრწის, როცა ტორტმანით ძირს ეცემა ფიჭვი

ვეება

და თან, გზადაგზა, სხვა ხეების ტოტებს მოამსხვრევს, და გრგვინვა მისი დაცემისა ხეებს დაივლის, მყუდრო მღვიმეში შემოგყავარ, მშვიდ სამყოფელში, სადაც იდუმალ სასწაულთა მოსახილველად

ჩემივ სიღრმისკენ მაგნებინებ უჩინარ ბილიკს.

როცა ჩემს თვალწინ ბაკმიანი ქათქათებს მოვარე

და შუქთა კრთოლით გარეშემო სიმშვიდეს აფენს, კლდის კედლებიდან მენვდებიან, სველი შქერიდან, ძველისძველ ჟამთა ჩვენებები ვერცხლოვანები, და სილბოს იძენს უმკაცრესი მჭვრეტელი ნება.

მაგრამ სრულყოფას ვერ ენევა ძეხორციელი, მაგასაც მივხვდი. ნეტარების ამ სავსებაში

ღრჭუ, კადნიერი, უნდო სული მომეც მეგზურად, ურომლისობაც უკვე მიჭირს. ის კი ქირქილით, უგვანი ღმეჭით, სიტყვის ერთი გადაბრუნებით

არარად მიქმნის, რაც რამ შენგან ძღვენი მებოძა.

მშვენიერების დამანახა წმინდა სახება, სიმშაგის ცეცხლი, დამბუგველი, დამიგზნო მკერდქვეშ.

ნეტარებას და წყურვილს შორის ვარ გახილული, ველტვი, განველტვი, აღარ ვიცი, გზა სად ვეძებო...

(შემოდის მეფისტოფელი) მეფისტოფელი

ცხოვრება უკვე მოიბეზრე, განდაგან დახვალ?

რა გეპოვება ამ უღრანში გულგასახარი?

ერთჟამს კარგია შეუჩვევლის რისამე ნახვა, მაგრამ მასუკან - კვლავ ახალი, კიდევ ახალი!

ფაუსტი

თავიდან მომწყდი! აღარ გეყო ჩემი წამება?

თუნდაც ასეთი მშვენიერი დღის ჩაშხამება!

მეფისტოფელი

ჰო, კარგი, კარგი, როგორც გენებოს.

სულ გაგეცლები, თუ გიხარია.

ველარ ავუველ ამდენ გინებას, თან ემსახურე შლეგს და შარიანს!

ეგზავნ-ერბინე, იდინე ხვითქი, იგმინე, ფეხი წელეებზე იდგი...

ფაუსტი

ნუ იტყვით, გული მოუკვდა წრფელი!

გაბეზრებისთვის მადლობას ელი?

მეფისტოფელი

უჩემოდ, მიწის საბრალო ძეო, რა სულს დაფავდი, არც გახსოვს თურმე!

აგხსენ, ძაღლივით ეჯაჭვე თეოს, ჩმახებისგანაც რამდენი გკურნე!

სულით და ხორციით ნაგვემ-ნატანჯი

უჩემოდ დღემდე ვერც მოატანდი.

ბნელში დამჭდარხარ ახლაც ჭოტივით, კვლავ იმ ძველებურ ჰანგზე მოტირი, ანდა ყურსიხარ გომბეშოსავით

სველ ქვებზე, ხავსში, საზრდოს მცნოსავი.

ვერ გამოვბერტყე შენგან სწავლული, მაინც იმ შხამით ხარ მონამლული.

ფაუსტი

უკაცრიელი ეს ადგილი, მთიან-ტყიანი, სხვა ძალას მაძლევს, მიყვარს მარტოს აქ ხეტიალი.

ეჭვად ხვდებოდე, როგორ დავალ, რა ფრთაშესხმული, აივსებოდი ჩემს მომართაც შურით ეშმურით.

მეფისტოფელი

შვებათაშვება - მთის კორტოხზე ღამეში წოლა, განსაკუთრებით, თუ ცვარ-ნამიც აისხი ბროლად.

ცასა და მინას გულში იკრავ საღვთო პირცოფით, ივრცობა სიღრმე და თვითონაც ღმერთად ივრცობი.

ფლობდე, სუფევდე, გრძნობ ძარღვებში ძალას საკმარისს, შენია სრულად იმ ექვსი დღის ნაშესაქმარი!

მაგრამ ეს მთელი მგზნებარება, რაბომცა დიდი -

(უხამსი ჟესტი) ამით თავდება - სირცხვილისგან ვერ ვამბობ, რითი...

ფაუსტი

ფუი, თახსირო!

მეფისტოფელი

განათუ ტყუი!

ფუი და კიდევ ათასგზის ფუი!

ოღონდ ეგ არი, კაცთა გულში სულ სხვა ქარია, რაც სათნო ყურებს ებილწებათ, გულს უხარია.

უმაღურობით ნუ მიზგებს მომდე, თავს იტყუებდი - გაცალე დრომდე, მაგრამ დიდხანსაც ვერ გაძლებ ასე.

უსაგნო ფიქრებს, შიშებს, შმაგობებს, ერთხელ ხომ იყო, უკვე აჯობე, ისევ შემოდე ქხოვრების გზაზე!

შენი ძვირფასი შინ ბის მწუხარე, აღარაფერი გულს არ უხარებს, არ გამოსდიხარ ფიქრიდან წამით, უყვარხარ, გიცდის ცრემლების ლამით.

როგორც უეცრად მომსკდარი წყალი, გამოზაფხულზე, თოვლი რომ დნება, ვნებად მიანწყდი, წამლეკი ძალით, ჩავლილა ღვარი, ჩამცხრალა ვნება.

რა ჭირად გინდა, აქ დადგა ტახტი, იჯდე, ემეფო უღრან წიაღებს, გეყოს ჭოჭმანი, ქმენ, მისი გახდი, სიყვარულისთვის ჭილდო მიაგე!

დღე საწყალობლად მილოღავს მისთვის, ცაზე გადადის ღრუბლების ჯერი, სარკმელს აკრული გდარდობს და გიცდის, „ახ, ჩიტი ვიყო“, მოწყენით მღერის.

ყველა ნაფიქრალს ცრემლი სტანია, დღეა, ღამეა ბნელი.

მხიარულია, ნაღვლიანია, მაინც გდარდობს და გელის.

ფაუსტი

გველი ხარ, გველი!

მეფისტოფელი, თავისთვის

ჰგავს, გაები!

ფაუსტი

გიკრძალავ სისინს!

განვედ, წყეულო, არ გაბედო ხსენება მისი!

მომწყდი, გამშორდი, ნუ აღვიძებ იმ სიტკბოს ჩემში, ნახევრად უკვე შეშლილი ვარ, ბოლომდე შემშლის!

მეფისტოფელი

მას კი ჰგონია, გაქცევა გინდა.

თითქმის ასეა, არ ცდება დიდად.

ფაუსტი

მაინც მასთან ვარ! მარად უცვლელი!

მაინც ახლოა, შორს ვიყო რაგინდ!

უფლის სხეულსაც შურით ვუცქერი, ის რომ ეხება მთრთოლარე ბაგით.

მეფისტოფელი

მე კი შენი მშურს, თუ გინდა სწორი: ტყუპი ქურციკი შროშანთა შორის...[57]

ფაუსტი

უ, მაჭანკალო!

მეფისტოფელი

ეგ მას უთხარ, მაშვლობის მომგონს!

აკი იმჟამსვე, როცა შექმნა ბიჭი და გოგო, კეთილშობილი ეს ხელობაც გამოგვიგონა, და არც შემცდარა, გამოადგა მერე თვითონაც.

განა ისეთი რა გითხარი? მლანძღავს და მთათხავს!

მიბრუნდი-მეთქი მის სენაკში, მიხედე სანყალს.

მაგაზე შექმენ ამოდენა მოთქმა-გოდება?

ფაუსტი

ღმერთო, მის მკერდზე დავანება, გულზე მითბობა!

რა ბეციური ნეტარება არ დაითმობა!

არადა, რა ვქნა, თუ ვერ ვწირავ, თუ მეცოდება...

რადგან ვინა ვარ? დავწრიალებ სული მწუხარი.

არა მიზანი, არა ფესვი - ვცხოვრობ ზმანებით.

როგორც ჩანჩქერი, კლდიდან კლდეზე გადმომქუხარი, თავდავიწყებით უფსკრულისკენ მივექანები!

ის კი ბავშვური, სათნო, კეთილი, ცხოვრობს, ანთია სანთლის სადარად, ქოხში, მთის ძირას, თავის პატარა

საბრუნავებში გამოკეტილი.

რისთვის მივამსხვრევ კლდეებს პიტალოს

ღვთის გარეგანი?

რასაც მივწვდები, თან დავიტანო

და სულ ეგ არი?

მიშველე, ეშმავ, შიშით გასენილს!

მო, ჯოჯოხეთო, ბჭენი გახსენი!

რაც არის, არის! ახდეს! ვნებდები!

მისი ვარ! ამინ! ვღებ ამის აღთქმას!

გადაიხლართოს ჩვენი სვე-ბედი, ორივე ერთად ქვესკნელმა დაგვნთქას!

მეფისტოფელი

ისევ თუხთუხი, ბარი და ბათქი, ერთად ალუფხვა მიწის და ზეცის!

ვეღარ პოულობ, თუ ხედავ, ადგილს, მიდი, სულელო, ნუგეში ეცი!

იყავ თამამი! ნუ იქრობ ხალისს!

ბოლომდე გასწი - სათქმელი ეს მაქვს.

უკვე ეშმავის გასხია წყალი, სასონარკვეთა არ შვენის ეშმავს!

გრეტხენის ოთახი

გრეტხენი, ჯარასთან

გულო, როგორ დამძიმდი, რა მიმკრთალი ძგერ!

დამეკარგა სიმშვიდე, ვერ ვნახე და ვერ.

რა ვქნა, საით წავიდე, კვალი ამერია, სადაც იგი არ არის, ყველგან სამარეა.

თავი ჩემი საბრალო

გონს წვალეებით იკრებს, აღარ იცის, რა უყოს

ამ დაწყვეტილ ფიქრებს.

გულო, როგორ დამძიმდი, რა მიმკრთალი ძგერ!

დამეკარგა სიმშვიდე, ვერ ვნახე და ვერ.

სულ წრიალი გზაზე, სულ სარკმელში ცქერა, ერთადერთი ფიქრი -

დავლანდავ თუ ვერა?

ტანი - მჭევრი, მაღალი, მხნე, ამაყი სვლა, თბილი, ღიმილიანი

შემოხვედრა კვლავ!

საუბარი წყნარი, თუ მის ხელში ხელი, თუ, ვაიმე, კოცნა, ჟრუანტელი ცხელი!

გულო, როგორ დამძიმდი, რა მიმკრთალი ძგერ!

დამეკარგა სიმშვიდე, ვერ ვნახე და ვერ.

ძალა მომცა - მოვნუსხო, სიყვარულით შევკრა, ხელი მაგრად ჩავჭიდო, არ გავუშვა ჩემგან!

დავენაფო ბაგებე!

აგრე! კიდევ აგრე!

სული ველარ მოვითქვა, მის კოცნაში გავქერე!

მარტას ბალი

მარგარეტე და ფაუსტი

მარგერეტე

მინდა, ჰაინრიხ, რაღაც გთხოვო...

ფაუსტი

რად გინდა თხოვნა, თქვი, საყვარელო!

მარგერეტე

ნებას მომცემ, რწმენაზე გკითხო?

გულით სუფთა ხარ, კეთილი ყოვლად, რწმენა კი, რა ვქნა, გაკლია თითქოს.

ფაუსტი

დავეხსნათ მაგას, ჩემო ბავშვო! მიყვარხარ, იცი.

თავის განწირვაც შემძლია, ვინც მიყვარს, მისთვის.

ყველას თავისი რწმენა ჰქონდეს და ეკლესია.

მარგერეტე

არა, ეგ არა! უნდა გნამდეს, როგორც წესია.

ფაუსტი

წესია?

მარგერეტე

წმინდა საიდუმლო გნამს ზიარების?

ფაუსტი

მნამს.

მარგერეტე

გულით არა. არც საყდარში დაიარები.

ნუთუ არასდროს აღსარების არ გიდგას უამი?



გნამს კია ღმერთი? ნეტავ შველა შემეძლოს რამით...

ფაუსტი

ჩემო ძვირფასო, ფიქრობ, ვინმეს ხელეწიფება, თქვას მაგ კითხვაზე გადანწყვეტით: „დიახ, მნამს ღმერთი?“

ღვთისმსახურთა თუ ბრძენმეტყველთა პასუხი მკვეთრი, ვაგლახ, დაცინვად უფრო ისმის, ვიდრე მტკიცებად.

მარგერეტე

ანუ, არა გნამს?

ფაუსტი

გეხვეწები, ნუ სჯი მარტივად.

რით უნდა მივწვდეთ?

სახელს დავდებთ - ზღვარს გადავდივართ.

თავი მღილადაც გვესახება, უფლის ხატადაც.

რომელი იტყვის: „მნამს, გათავდა!“ „არ მნამს, გათავდა!“

ყოვლისმომცველი, ყოვლისმპყრობელი

საკუთარ თავზეც, შენზეც, ჩემზეც თანაბრად სუფევს.

ცა მაღალია, მიწა მყარია

და ღამის ბნელში

მონუსხულნი ვარსაკვლავებს ვუმბერთ!

როცა თვალებში ჩაგაცქერდები

და ყველაფერი შენკენ მოილტვის, შენი გულისკენ, შენი ფიქრისკენ, უჩინრად ხილულ საიდუმლოს გრძნობ შენს გარშემო?

აივსე მისით, მინდობილად გადაეხსენი, და როცა მწვავე ნეტარებით მოგიცავს განცდა, დაარქვი გული, სიყვარული, ბედნიერება, დაარქვი ღმერთი, სულერთია, რა სახელს მისცემ.

რაა სახელი? ამოფშვინვა, ბოლქვი კვამლისა, ბურუსის დარად ეფარება ცის სიკაშკაშეს!

მარგერეტე

ამასვე ამბობს პასტორი ჩვენი, ოღონდ ცოტათი სხვაგვარი ენით.

ფაუსტი

თავის ენაზე ამბობს ყველა, ყოველი რჯული.

მე - ჩემს ენაზე, ისე, როგორც მკარნახობს გული.

მარგერეტე

ლამაზად ისმის, მაგრამ ცრუა ეს ლაპარაკი.

არა და არა, ქრისტიანულს არ ჰგავს არაფრით.

ფაუსტი

ძვირფასო ბავშვო!

მარგერეტე

და თან ისიც ლოდით მანევს, მაგნაირ წრეში რომ გიყურებ.

ფაუსტი

სად? რომელ წრეში?

მარგერეტე

შენს თანამგზავრზე გეუბნები, მაგ პირჭმას ვაცბე, სახის, ასეთი ამაზრზენის, არ ვარ მნახველი, შემომხედავს და თითქოს გულში ჩამასო ეშვი, რაღაც ბნელი და შეუვალი მიპყრობს ნაღველი.

ფაუსტი

სულ უმიზნოდ ეშინია ჩემს დედოფალას!

მარგერეტე

მოდის უხამსი და ყველაფერს ირგვლივ მობღალავს.

არ მჭირს არავის სიძულვილი, მაგრამ ეს ლიზღი, ახლოს თუ არის, მბაბანებს შიშით და ბიზღით.

ფლიდიც მგონია, ამასთან ერთად.

თუ ცოდვას ვამბობ, შემინდოს ღმერთმა!

ფაუსტი

რა ვქნათ, არსებობს ეგეთი ხალხიც.

მარგერეტე

მაგრამ მათ გვერდით ცხოვრება არ ღირს.

დადის, დაძვრება, როგორც ავსული, დამცინავი და ბოდმით ავსილი.

არ შეუძლია, უყვარდეს ვინმე, ზედ აწერია უხიაგ შუბლზე.

მხუთავს, ვიხრჩობი, ამომდის გმინვა, საკვირველია, შენ როგორ უძლებ!

ფაუსტი

ოი, გუმანი ანგელოზური!

მარგერეტე

ხელშესაშლელად განგებ მოსული

უცებ რომ თავზე წამოგვდგომია, აღარც მიყვარხარ, ასე მგონია, ასე მგონია, შენს თავს მაგლოვებს!

ვერც ლოცვას ვამბობ მის სიახლოვეს!

ფაუსტი

განზიდულობა ჰქვია მაგას. დაწყნარდი, ნუ თრთი!

მარგერეტე

კარგი, ნავედი.

ფაუსტი

მომისმინე, რისი თქმა მსურდა...

ნუთუ არასდროს დამიდგება ნანატრი წუთი, გულდანყნარებით მკერდი მკერდზე და სული სულთან...

მარგერეტე

ახ, მარტო ვიწვე, დედაჩემი არ იყოს ახლოს, არ ჩავკეტავდი შემოსასვლელს ურდულზე ღამით!

მაგრამ ძილი აქვს - უმნიშვნელო აღვიძებს ჩქამი, იქვე, ადგილზე, გავთავდები, ერთად რომ გვნახოს.

ფაუსტი

ეს გამომართვი, ჩაუწვეთებ სასმელში სამ წვეთს.

დილაამდე ისე დაიძინებს, თავს აღარ ასწევს.

მარგერეტე

შენი გულისთვის, ღმერთო ჩემო, რას არ ჩავდივარ!

ხომ არას ავნებს?

ფაუსტი

არ მენდობი? არა, ნამდვილად.

მარგერეტე

ცვილივით გავხდი... განუსჯელი... განუკითხავი...

უმაღ დაგყვი ყველაფერზე, რაც არ მითხარი...

იმდენი დავთმე, თავს ბედკრულმა იმდენი ვიდე, არც ვიცი, რამე დასათმობი დამრჩადა კიდევ?

(გადის) (შემოდის მეფისტოფელი) მეფისტოფელი

რაო, ფარვანამ?

ფაუსტი

ვეღარ იშლი, მსტოვარო, თვალთვალს?

მეფისტოფელი

ვერ დაგიმაღავ, გულისყურით გისმენდით მართლა.

დიდად ვიამე! რაზე მსჯელობთ თურმე მარტონი!

კატეხიზმობი გამოსცადეს დოქტორ-ბატონი?

უყვართ გოგონებს, როცა ვაჟი ღვთისმორჩილია, ტლინკებს არ აყრის, ხასიათი უფრო რბილი აქვს.

ფაუსტი

შე ყიამყრალო, ყველაფერზე კადრულობ ღლიცინს?

ცდილობს, ნანყმედა ამაცილოს, მშვენივრად იცი.

მეფისტოფელი

მოგდო საბელი? ლამის არის, ცრემლმა დაგლამოს!

ფაუსტი

ყბა დააყენე, შე ნებვის და ცეცხლის ნაგრამო!

მეფისტოფელი

თურმე ფიზიოგნომისტიკაც ესმის გოგონას, ჩემი სახე და სიპირჭმახე ამაზრზენია!

მიხვდა, ნიღბიდან დაფარული არსიც მოჟონავს, თუ ეშმად არა, შემიგულა ბოროტ გენიად...

მოკლედ, ამაღამ?

ფაუსტი

შენ რა მაგით?

მეფისტოფელი

როგორ თუ მე რა?

მეც მიხარია, ჩემიცა მაქვს მანდ გულის ძგერა.

წყაროზე

გრეტხენი და ლიზხენი, კოკებით ხელში

ლიზხენი

გაიგე, ბერბელს რა შემთხვევია?

გრეტხენი

სად გავიგებდი, ვზივარ კერასთან, არვის ვწვევივარ, არვინ მწვევია.

ლიზხენი

მეც, ეს ნუთია, მითხრა სიბილამ.

აშუშპრდა გოგო, მეტი ირბინა

და, ეგეც ეგრე, ხიფათს ვერ ასცდა!

გრეტხენი

მაინც რა მოხდა?

ლიზხენი

ზღვარს გადამხტარა, ერთის მაგივრად ორი გამხდარა.

გრეტხენი

ღმერთო!

ლიზხენი

ახია, მაშ, რა ეგონა!

ყელზე ეკიდა, მკერდზე ეკონა.

ცეკვას და თამაშს არ აკლდებოდა, პირველი ვარო, ყუნწში ძვრებოდა.

თავი მიაჩნდა მზეთუნახავად.

სხვები ვინ ვყრივართ, რისი რაღა ვართ!

შეჭფართქალებდა სანუკვარებლად, ღვინოს და პაშტეტს ანუგბარებდა.

თან საჩუქრებსაც ურცხვად ართმევდა.

მონყდა ყვავილი! აღარ გამრთელდა.

გრეტხენი

საწყალი გოგო!

ლიზხენი

ნუ გებრალება!

ის გაიხსენე, ჩვენი წვალეა, დედა რომ ღამე დაგვსხამდა დგიმთან!

ჩვენ ვსაქმობდით და მაგისტვის ლხინდა!

სამალავები, ბნელი შუკები, გრძელი ამბავი საჭუკჭუკები!

ახლა იგემოს, მიიზღას ფასი, შემოიმშვენოს ცოდვილის ფლასი!

გრეტხენი

იქნებ შეირთოს?

ლიზხენი

იპოვე შტერი!

გარს ყვავილია ათასი ფერის.

თან, რა გგონია, ადგა და ფრინდა!

გრეტხენი

ცუდი საქმეა.

ლიზხენი

შეუღლდნენ გინდაც!

დაუკუნავენ ბიჭები გვირგვინს, კართანაც ბრელოს მოვუყრით ირგვლივ.

(გადის) გრეტხენი, შინისკენ მიმავალი

ო, როგორ ვგმობდი, როგორ ვკიცხავდი, რა სითამამით განვიკითხავდი, თუ შეცდებოდა გოგო საწყალი!

ხელში მეჭირა ცოდვის საწყავი.

ვერ ვპოულობდი სიტყვებს საკმარისს, შავად შემემკო შავი ნაქმარი!

დღეს რაღას იტყვი? შენს თავს რას ეტყვი?

ვდგავარ, ვკანკალებ ცოდვით ნასეტყვი.

არადა, ღმერთო, რა გრძნობამ შობა!

რა სითბო ახლდა, რამხელა ნდობა!

გალავნის ნიშთან

ნიშში მგლოვიარე ღვთისმშობლის გამოსახულება. მის წინ ყვავილებჩადგმული ლარნაკები.

გრეტხენი, თავის ყვავილებსაც ამატებს

მრავალმწუხარეო, ცრემლით მშუქარეო, დამხედე, მომაპყარ სახე, ვინც ძისა შენისა, გზა გავლე თმენისა, წამებით სიკვდილი ნახე!

იდექი მტირალი, მამისკენ მზირალი

და ოხვრას გზავნიდი ათასს.

ვინ იგრძნოს შენსავით, ვინ მიხვდეს შენსავით, -

ტკივილი ძვლებამდე მატანს!

როცა კი მართო ვარ, ცრემლები მალტობენ, ვტირი და ვტირი და ვტირი.

მოვსულვარ ვედრებით, შენ გეიმედები!

მოვსულვარ მსხემი და მწირი.

არა დღე უცრემლო არ მაქვს, დამხედე, წყალობა ჰყავი!

ცრემლები შევრიე ცვარ-ნამს, დილით რომ გიკრეფდი ყვავილს.

მზემ ისევ მომისწრო დილას

საწოლზე წამომჭდარს, მტირალს.

გხედავ და იმედი მიკრთის!

მიმიღე, კეთილად ზრახე, წყალობით მომაპყარ სახე, გამომხსენ სირცხვილს და სიკვდილს!

ღამე

[58]

ქუჩა გრეტხენის სახლის წინ

ვალენტინი, ჯარისკაცი, გრეტხენის ძმა

როდესაც სადმე სუფრაზე, ლხინში, პირს მოირღვევდა ვიღაცა ყინჩი, წამოიწყებდა სატრფოთი ქადილს, რომ მისი დარი არავინ დადის, მსგავსია ამის, მსგავსია იმის, ვიჭეფ და მუჭში ვმაღავდი ღიმილს.

რანამსაც ჭიქას დადგამდა დაცლილს, წამოვდგებოდი, ავწევდი სასმისს: „აქოს, საქებრად ვინ უჩანს ვისაც, მე სადღეგრძელოს ვსვამ ჩემი დისას, მთელ ამ მხარეში გოგო არ ვიცო

ჩემი გრეტხენის შესადარისი“!

ჭიქაზე ჭიქის წკრიალ-წკარუნი -

„დალოცვილ იყოს“! „ვსვამთ სიხარულით“!

„არ არის გოგო“, იტყოდნენ ზოგნი, „მთელ ქვეყანაზე, გრეტხენის მჭობნი“!

სხვა ზოგნი კიდევ, ყინჩნი აქამდე, ჩაჩუმდებოდნენ, ენებს ყლაპავდნენ.

იყავ, იგლიჯე ახლა თმა-წვერი, სახე დამალე, ბნელში ჩაძვერი!

გადაკრულები, გადმოკრულები, შხამის ეკლები, განზე თქმულები...

ვუსმენ დაბღვერით ბოროტთა ხითხითს, ვზივარ და ვალებს ვერაფრით ვიხდი, ვერ ვუბნები: „ჩაკვდი, მტყუარო!“

რა შევაგებო? რით ვიუარო?

ორნი მოდიან... გავდგები განზე.

თუ ის კაცია, ავუგებ ანდერძს!

ფაუსტი და მეფისტოფელი

ფაუსტი

რა სიბნელეა! ერთადერთი მოკრთის ნათელი, ბაზილიკაში უქრობელი ბაზმა ანთია.

იქით და იქით წყვდიადია გაუფანტველი...

გულშიც, არ ვიცი, რა მიზეზით, ეგ წყვდიადია.

მეფისტოფელი

მე კიდევ ჟინი შემიდგა კატის, სახურავებზე პარვით რომ დადის, საქმეს რომ ეძებს ბნელში საღვანებს, წაიმძუნავებს, წაიბაცაცებს.

ისიც მიმატებს შიგნიდან ღიტიწს, ზეგ ვალპურგობის ღამეა დიდი.

აი სადა აქვს ფასი კატობას, აი სად იცი, ფხიზლობ რატომაც.

ფაუსტი

მანდ რაღაც განძი ციალებს, მგონი.

იქნებ მოვხელოთ რაიმე ღონით!

მეფისტოფელი

ტალერებია ლომისთავება.

კი, მაგ საქმეშიც უნდა ჩავებათ.

ფაუსტი

არაფერი ჩანს სხვა დანარჩენი?

რამე ისეთი, სატრფოს სამშვენი...

მეფისტოფელი

თუ არ მეშლება, ბრწყინავს ფარღული, ალმასის თვლებით შემოსარკული.

ფაუსტი

კარგია, თორემ გული მიკვდება, როცა უძღვენოდ მისვლა მიხდება.

მეფისტოფელი

ასეც არ ვარგა, ხელმადლიანო, ზოგჯერ მექთაზეც უნდა იამო.

ვარსკვლავიანი ღამეა წყნარი, სერენადების შემიდგა ქარი.

რამეს ვუმღერებ, მნეობით ავსილს, უფრო ადვილად გატეხოს ნავსი.

(გიტარაზე მღერის) აქ რას ეძებ[59], ამ სისხამზე, კატრინ, სატრფოს კარად?

რაც მომხდარა, საყვარელო, ის მოხდება კვალად, შინ შეგიყვანს ქალიშვილად, გამოგიშვებს ქალად.

მერე მორჩა, ცალად ივლი, გაფრენილა ჩიტი!

დაითმენდი, სანატრელო, ცოტას მოიცდიდი, სანამ ბეჭედს საქორწინოს

არ მოირგებს თითი!

ვალენტინი, წინ წამოდგება

შე მართლა კატავ, მანდ ვის გაღნავი?

სრულად მოგაგებ, რისიც ხარ ღირსი!

ჯანდაბას იქით შენი საკრავი!

ჯანდაბას იქით პატრონი მისი!

მეფისტოფელი

შუა გააპო საცოდავი ჩემი გიტარა!

ვალენტინი

თავიც ახლავე გაგეუობა, შე ვიგინდარავ!

მეფისტოფელი

აბა, დოქტორო, დაგვანახე, ფრთებს როგორ გაშლი!

კალამი გვერდზე მიაყუდე, დრო დადგა დაშნის.

მიდი, ეკვეთე, მიწას შერიე!

შენ თავს დაესხი, მე ვიგერიებ.

ვალენტინი

მოიგერიე, მაშ, ეს დარტყმა!

მეფისტოფელი

რატომაც არა!

ვალენტინი

ამასაც მოჭრი?

მეფისტოფელი

უსიკვდილოდ.

ვალენტინი

ეშმაკი გფარავს!

ანაც ეშმაკი თვითონვე ხარ, წამერთვა მკლავი!



მეფისტოფელი

მოდო, აძგერე!

ვალენტინი, ძირს ეცემა

ვაი დედა!

მეფისტოფელი

მიდრიკა თავი.

დროზე წავიდეთ, სანამ ვინმე გამოვარდნილა, განგაშს ატეხენ, ვერ გავაღწევთ მერე ადვილად.

პოლიციისა მე ვიცი და გავსილმა ქისამ, მაგრამ სამთავროს დიდ ბეჭედთან ვერაფერს ვიზამ.

(გადიან.) მარტა, სარკმლიდან

გამოდით, ხალხო!

გრეტხენი, სარკმლიდან

ჩირაღდნები!

მარტა

გამოჭრეს ყელი!

კაცს კლავენ, ხალხო, შველა გვინდა, არ დაახანოთ!

ხალხი

აქ ვიღაც გდია!

მარტა, სახლიდან გამოდის

მკვლელი ნახეთ! რა იქნა მკვლელი?

გრეტხენი, სახლიდან გამოდის

ვინ გდია?

ხალხი

შვილი დედაშენის!

გრეტხენი

ღმერთო მაღალო!

ვალენტინი

მორჩა, მივდივარ, აღსრულდა ნება!

ადვილად ითქმის, ადვილვე ხდება.

აბა, ქალებო, შეწყდეს ქოთქოთი, მისმინეთ ყველამ, აქეთ მოგროვდით!

(ყველანი გარს შემოეხვევიან) ხარ, ჩემო გრეტხენ, ჯერ ისევ ბავშვი, დახტი და ჭკუა არ გიდევს თავში, ჰოდა, საქმესაც უძღვები ცუდად.

თუ ვახუა გახდი, ნურც ნუღარ კვნესი, იცხოვრე შენი ვახპური წესით, ყველა ხელობას მიყოლა უნდა.

გრეტხენი

ძმაო! ვაიმე! რას ამბობს, ღმერთო!

ვალენტინი

ღმერთს დაეხსენი, შორს დაგრჩა ერთობ!

რაც მოხდა, მოხდა, რაღას ვუშველით, იყავ მშვიდი და ნირშეუშლელი, ერთი წაგივა, მეორე მოვა, დაგედებიან გროვად და გროვად, რიგში ჩადგება მთელი ქალაქი, გადაგივლიან ალაყ-მალაყით.

თავიდან ცოდვა ბნელდაბნელ დადის, შემოიბურავს ღამეულ რიდეს, აქვს უთვალავი ხრიკი და ხლათი, კლავენ, არ კვდება, ბლენძდება კიდევ.

უკვე არაფრის არა რცხვენია, ამაზრზენია სახება მისი, მაგრამ რაც უფრო ამაზრზენია, უფრო თამამად გამოდის მზისით.

ის, რასაც ვხედავ, ახდება ხვალვე, ყველა სიკეთეს განეშორები, კეთროვანივით შეაკრთობ გამვლელს, არ გაგირევენ შენი სწორები.

ვერც საკურთხეველს გაეკარები, დაგეხურება საყდრის კარები.

ვერ მოირთვები ოქროს ძენკვებით, ლანდი გახდები, ჩრდილი მალული, ცეკვა-თამაშებს ველარ შეჰყვები

კოხტად საყელომომაქმანული[60].

საპყარ-გლახებთან დაიდებ ბინას, ამოითხვრება შენი მშვენება.

კიდევ შეგენდოს მაღალთა შინა, სანამ იცოცხლებ, გდევს შეჩვენება!

მარტა

კვდები, ცოდვილო! სინანულს მოდი!

სულს ნუ იმძიმებ ახალი ცოდვით!

ვალენტინი

შე მაჭანკალო, შენც გიდევს წილი, ხმას როგორ იღებ მაგის ჩამდენი!

გადაგინაყო ძვალი და რბილი, შემენდობოდა ცოდვა რამდენი!

გრეტხენი

ვაიმე, ძმაო...

ვალენტინი

მადროვე ცოტაც.

შენყვიტე ცრემლის ეგ ნიაღვარი!

როდესაც ურცხვად მინებდი ცოდვას, მეც მაშინ მომკალ, ჩამეც ლახვარი...

მორჩა, ეს იყო ცხოვრება ჩვენი!

მივდივარ, როგორც ჯარისკაცს შვენის.

(კვდება)

ტადარი

[61]

ღვთისმსახურება, ორგანი, საგალობელი

გრეტხენი მლოცველთა შორის. მის უკან ბოროტი სული.

ბოროტი სული

სხვა იყავ, გრეტხენ, სუფთა, აუღვრეველი, როცა, ჯერ ისევ უმანკო, მოდიოდი აქ, საკურთხეველთან, დაფურცლულ ლოცვანს გადაშლიდი, ლოცვებს იღუდუნებდი, და გული შენი ცალკერძ ღმერთით, ცალკერძ ბავშვური თამაშებით ჩქროლავდა!

გრეტხენ!

ახლა სად გიდევს გული?

რა ცოდვას, რა სიავეს იზრახავ?

თუ ლოცულობ დედის სულისათვის, ხანგრძლივი სატანჯველი რომ განემზადა

შენი წყალობით?

შენს ზღურბლთან ვისი სისხლი ანთხევია?

რა იძრა, რა ფაჩუნებს შენს წიაღში, ძრწოლით სავსე, ძრწოლით ამავსებელი?

გრეტხენი

ვაი ჩემს თავს!

როგორ გავერიდო

ამ შავბნელ ფიქრებს, ჩემდაუნებურ

თავში დაფუთფუთებენ!

ქორო

Dies irae[62], dies illa Solvet saeculum in favilla!

(ორგანის ხმა) ბოროტი სული

ვხედავ -

რისხვის დღე მოიწია!

ცემენ საყვირები!

საფლავები განხმულან!

და შენი გული, ფერფლიდან აღმდგარი, საუკუნო ცეცხლისკენ მიიზიდება!

გრეტხენი

ნეტავი აქედან გადამკარგა!

საგალობლები გულს მიფლეთენ!

ორგანის ხმაზე

სისხლი მეყინება!

ქორო

Judex ergo cum sedebit, Quidquid latet adparebit, Nil inultum remanebit.

გრეტხენი

სუნთქვა მიჭირს!

კედლები მხუთავენ!

თაღები მძიმედ მანვებიან!

ჰაერი! ჰაერი!

ბოროტი სული

დაიმალე!

ცოდვა და ბრალი არ დაიმალება!

სინათლე? ჰაერი?

ვაი შენდა!

ქორო

Quid sum miser tunc dicturus?

Quem patronum rogaturus?

Cum vix justus sit securus.

ბოროტი სული

პირს გარიდებენ

წმინდანები!

ზარავთ ნათლიერთ, ხელი გამოგიწოდონ!

ვაი შენდა!

ქორო

Quid sum miser tunc dicturus?

გრეტხენი

მეზობელო! თქვენი ფლაკონი!

(ძირს გულწასული ეცემა)

ვალპურგობის ღამე

[63]

ჰარცის მთიანეთი, შირკესა და ელენდის[64] შემოგარენი.

ფაუსტი და მეფისტოფელი

მეფისტოფელი

არ გინდა, ახლა ცოცხზე იჯდე და მიფრინავდე?

მე, ჩემდათავად, ყაბულსა ვარ, ავმხედრდე ვაცბე.

რაც არ ვიარეთ, კარგა ძალი კიდევ წინა დევს.

ფაუსტი

მაინც ქვეითად ვამჭობინებ, რამდენი რაც დევს.

სანამ ფეხები მმორჩილებენ, ეს როკიც მყოფნის, გზის შემოკლებას მირჩევნია, დამდინდეს ოფლი.

ჯერ ლაბირინთად მიმოხვეულ ხევეს მიჰყვები, ზემოთ და ზემოთ ორწოხია, კლდეები სალი, ალაგ ლიკლიკით, ალაგ ბროლვით გადმორბის წყალი, -

მიყვარს ხალისით მოსირმული ეს ბილიკები!

არყისხეს, ნახე, სამაისო ქათიბი მოსავს, ფიჭვიც კი, კუშტი, გაბაფხულის შეჭხარის მოსვლას, დე, მათი ფეთქვა ჩვენც მოგვედოს, ტანი აგვივსოს!

მეფისტოფელი

მე ნუ მიმათვლი, ვერას ვატყობ თავს სამაგისოს.

განუწყვეტელი ზამთარი მაქვს ტანში ჩამდგარი, გზაც თოვლში მიყვარს, გარეშემოც ყფედეს ზამთარი.

რა ნაღვლიანად გადმოგვცქერის მთვარის ნალევი!

წითლად ბჟუტავს და არ ანათებს, მივალთ წვალეებით.

ყოველ ნაბიჯზე უნდა შედგე, სულ შიში გქონდეს, ხეს არ შეაწყდე, არ გაედო გადმოხრილ კბოდეს.

მოხეტიალე ნათება ჩანს გორაკის ფერხით.

გზას გაგვინათებს, ამოვიხმობ, კარგ დროზე შევხვდით.

ეჰი, ჩვენკენ, მეგობარო! ციალებ უქმად!

მოდი, წაგვიძებ, გვინინამძღვროს მაგ შენმა შუქმა!

მოხეტიალე ნათება

ოღონდ, იცოდეთ, ჩემი ნირი სხვაა სრულიად, აცად და ბაცად, ზიგზაგებით სიარულია.

მეფისტოფელი

რაო, ჭუტალავ, ადამის ძეს, ლამობ, ნაბაძო?

გასწი ეშმაკის სახელით და უაცაბაცოდ, თორემ ჩაგაქრე, შე სანწყალო, ერთი შებერვით!

მოხეტიალე ნათება

უმაღვე მივხვდი, ხართ პატრონი და მბრძანებელი.

ნება თქვენია, გაგინათებთ ჩემი ხამხამით, მაგრამ ჯადოსგან სიგიჟე სჭირს მთასაც ამღამით, გზა ცერად გარბის, რაღაც უფრო სხვანაირია, მე ნურაფერი დამბრალდება, თუ აირია.

ფაუსტი, მეფისტოფელი, მოხეტიალე ნათება (მონაცვლეობით მღერიან) სიბმრის მხარეს მივადექით, ჯადოსა და ხიბლის მხარეს.

დაგვატარე შენი ფეხით, გაგვინათე, ჩინჩხლი ყარე, მრუმე სივრცე გადაგვიხსენ!

ხეთა მწკრივი, რიგი რიგზე, ჩვენს ბილიკებს გარეუბის.

ახორხლილა კლდეთა ზურგი, აქშენილა ცხვირი კბოდის, ხვრინვასავით ხმები მოდის!

ნაკადული მოხტის ქვებზე, მოლიკლიკებს, დელეს ეძებს.

მხოლოდ ჩქეფს თუ მღერის რასმე?

დღეთა ძველთა, ფერუცვლელთა, შვებას მოთქვამს, ტრფობის ელდას, სიყვარულის ტირილს მასმენს...

მორაკრავებს სიყრმის ექო, ნკრიალ-ნკრიალ ჩასდევს ბეჭობს!

უჰუ! შუჰუ! - კივის ჭოტი, ხმას უნაცვლებს ბუკიოტი, ჩხიკვი, ჩხართვი... ფხიზლობს ყველა.

ბუჩქებს შორის ტრიტონი ზის, სხვებთან ერთად ფხიზლობს ისიც, გრძელფეხება, სქელმუცელა.

გზა შეუკრავთ შიშველ ფესვებს, გადაწვდილან განიგანად.

ფებს წამოსდებ, დაგაფეთებს, გადახლართულ გველებს ჰგვანან.

ჟვერებს ვხედავ კოჟრებიანს, რვაფეხებად მოძვრებიან.

ათასფერი, ათასგვარი

მიდი-მოდის თავგთა ჯარი.

გუნდი ციცინათელათა

აიძრა და აფერადდა.

მოარიდეთ დროზე თვალი, აგვებნევა გზა და კვალი!

ვერ მივმხვდარვარ უკვე თავად, მივდივართ თუ აქვე ვდგავართ, ყველაფერი ბრუნავს ირგვლივ, კლდე არის თუ ხე თუ ჩირგვი.

მოფერხისე მათი წყება

სად ილევა? სად იწყება?

მეფისტოფელი

არ ჩაქანდე! ხელი მჭიდე!

შუა თხემი ამონისლდა.

გადანათდა კიდით კიდე

მამონი[65] და მამონის მთა!

ფაუსტი

როგორც რიჟრაჟის სუსტი ციაგი, მოჟონავს დაბლით სინათლე მკრთალი.

რაც არ ბნელი და ღრმაა წიაღი, მაინც ანთია, არ ქრება კვალი.

აქ ამოკვამლდა, იქ ცეცხლსაც ირევს, მიიკლაკნება ვინრო ზოლებად, მერე თავს უყრის ნაკადებს მცირეს, ნიაღვარივით მიიბრძოლებს.

ძალმოკრებილი ხეობას უტევს

და უფსკრულების ლამობს ავსებას, ხანაც ტინების დაკბილულ ზღუდეს

აეტოტება და იქსაქსება.

მაგრამ შეხედე! მთა ნახე ბევით!

თითქოს უეცარს ელოდა ნიშანს, შემოგვეგება ნაპერწკლის ფრქვევით, გადმოგვაფანტა, ვით ოქროს ქვიშა!

მეფისტოფელი

როგორ გგონია, დღეს აქ მამონი

ბნელში დატოვებს თავის სამყოფელს?

სტუმრებიც მოვლენ სასიამონი, ყველაფერს თავზე გადმოგვამხოვენ.

ფაუსტი

გრიგალი მოაქვთ! მოფრინავენ ბათქით და ბარით!

მეფისტოფელი

კლდეს მოეჭიდე! უფსკრულისკენ გაგისვრის ქარი!

დაჯანღდა, ნისლი ჩამოწვა სქელი, ჩაქუფრა ღამე ისედაც ბნელი.

ტყეს ებრძვის გრიგალი, ლენს გაბოროტებით, კივილით დაფრენენ დამფრთხალი ჭოტები.

მუხნარი მოჭეგა პირველი კვეთებით, მწვანე სასახლეთა დათხრილან სვეტები.

გადმოდის მაღლიდან გრძნეულთა გნიასი, მოფრენს და მოკვივის კაცი თუ დიაცი.

რა ხმები მოცვივა! იმ მხრიდან, ამ მხრიდან!

ჭადოქრულს მღერიან, ყურები გახვრიტა!

კუდიანები ქოროდ

ბროკენს მიდიან კუდიანები, მოტიალდება გზაზე ყანები.

ხვათი დადგება ბზიან-ბზიანი, ტახტს აღიმართავს ზედ ურიანი[66].

იკურკლებიან მყრალი ვაცები, ქარებს უშვებენ დედაკაცები.

ხმა

შეხეთ, ბებერი ბაუბო[67] ნახეთ!

ღორზე შემჭდარი მოგელავს აქეთ!

ქორო

აბა, ქალბატონ ბაუბოს განი!

ვინ გეგულებათ სხვა მაგის მგვანი!

საფერხეს აზის, არ ეთქმის ფასი, კუდიანების მოჰყვება დასი.

ხმა

რა გზით გადმოხველ?

ხმა

ილბენშტაინით, დაუნავსავი რომ ვერ გაივლი.

ხის ფულუროდან ბუმ გამომხედა, თვალები ჰქონდა - მუხლი მომკვეთა.

ხმა

სად მიჭენაობ? ისემც გიქნია, ჯოჯობეთისკენ გზა გაგიგნია!

ხმა

ჯანდაბა მაგას! რამ გაახელა!

ნაკანრი დამრჩა, ნახე, რამხელა!

კუდიანების გუნდი

ზღვა ხალხი მოფრენს, გზები ჩაყორა, აქ, ჰაერშიაც, დგას ზედახორა.

ფინალ-ცოცხები - ლაჭებში ჩრილი!

მოკლეს! მუცელში გაგუდეს ჩვილი!

ჯადოქრები. ნახევარგუნდი

კაცი ზანტია, დიაცი - მალი, არ უჩერდება გული და თვალი.

იქ, სადაც საქმე საეშმაკოა, მთელი გაფრენით წინ არის ქალი.

მეორე ნახევარგუნდი

მაგრამ თუ კაციც გამოდგა მალი, ვაი სანყალი დიაცის ბრალი!

ერთი ნახტომით გაუსწრებს კაცი, მთელი გაფრენით წინ იყოს ქალი.

ხმა, ზემოდან

აქეთ ამოდით მაგ თქვენი ტბიდან!

ხმები, ქვემოდან

განათუ არა, გულითაც გვინდა!

ვიბანებით და სულ ვიბანებით, გლუვი და სუფთა დაგვაქვს ტანები.

მაგრამ ერთხელაც ვერ ვეცთუნებით, უკარებლობა დაგვყვა ბუნებით.

ჯადოქრების გუნდი

მიმქრალა მთვარე, ჩასთვლიმა ქარსაც, ერთი ვარსკვლავი არ ბჟუტავს არსად.

ვართ ჯადოქრები, ნაპერწკლებს გავყრით, ავანთებთ ღამეს ათასი ლამპრით.

ხმა, ქვემოდან

ჩამომეშველეთ!

ხმები, ზემოდან

ვიღაც ჩვენია, წინ ვეღარ მიდის, კლდეს შერჩენია!

ხმა, ქვემოდან

ნუ მიმატოვებთ! თქვენთან მნადია!

ამზიდეთ, როგორც მოგიხერხდებათ!

ვწვალთ სამასი წელიწადია, ვერ ავადწიე თხემზე ერთხელაც!

ორივე გუნდი



თუ იქ მოხვედრა ასე გენადა, ცოცხით გეცადა, ფინლით გეცადა.

ის, ვინც ამალამ ვერ იხმარს ჯადოს, მოკვეთილია! კვლავ აღარ სცადოს!

ნახევარკუდიანი

მეც სხვებთან ერთად წამოვფორფოტდი, ყველამ გამასწრო, არ ჩანს არც ერთი.

რა ძალა მადგა, რისთვის მოვრბოდი?

არადა, შინაც ვეღარ გავჩერდი.

კუდიანების გუნდი

უნდა გეცადა საცხი საფრენი, გეჯის ხომალდი, ქეჩის აფრები.

ის, ვინც ამალამ ბილიკზე დარჩა, დროზე გაბრუნდეს, უქმია გარჯა.

ორივე გუნდი

თხემზე მოვფრინდით დაუოკველნი, უკან დავტოვეთ გზაც და გრიგალიც, აჰა, გრძნეულნო, ესეც ბროკენი!

დავფართო მთელი სიგრძე-სიგანით!

(დაფრინდებიან) მეფისტოფელი

დუნდგოდ! ჯელგმებად!

ღრიანცელით! თავპირის მტვრევით!

ჩახერგეს ყველა გასასვლელი ბევით თუ ქვევით!

სინათლეები! მყრალი სუნთქვა! წყვეტა! ჯაჯგური!

ყველა მჩხიბავი აქ შეყრილა! პოვეს სადგური!

გვერდზე მომყევი, არ გამეზნე! მედგრადა! მხარდამხარ!

მაგრამ სადა ხარ, ვეღარ გხედავ! ეჰე, სადა ხარ?

ფაუსტი

აქა ვარ!

მეფისტოფელი

კიდევ დამკარგვიხარ, მოგვასკდნენ ღვარად!

ისე გამზნენს, ეშმასთვისაც ყელამდე კმარა.

რაც იყოს, იყოს, ვისარგებლებ ჩემი უფლებით.

გზა, გზა! ვოლანდი[68] მობრძანდება! ნუ შევჯგუფდებით!

ჩემკენ, დოქტორო! მხარი მხართან! ჩამეჭდე მარჯვედ!

ჯობია, სადმე გავნაპირდეთ, აქედან გავძვრეთ.

შუქი დავლანდე, ბურქებიდან გამონასხლეთი, მიფარებული ადგილია, მყუდროდ დავსხდებით.

ფაუსტი

წინაუკმობის ხელმწიფე ხარ, ისეც ჭრი, ასეც!

ვალპურგობაზე მომიყვანე, ბროკენის მთაზე, არადა, თურმე რას კითხულობ, რისთვის მოვედით?

მიფარებულში დავეყუდოთ განმარტოებით!

მეფისტოფელი

მთლად ისე მარტოც არ ვიქნებით, ხალხია მანდაც, ფერად-ფერადი, მხიარული სინათლე ჩანდა.

ფაუსტი

იქ, ზემოთ ასვლა მირჩევნია შენს მყუდროებას, მთავრის საყუდარს მისწყდომია ხალხი ჯგროებად, ამოდის კვამლი, მწვანე ცეცხლი ბრუნავს უქრობლად, მანდ ბევრი კვანძი გაიხსნება ამ ვალპურგობას.

მეფისტოფელი

და ბევრი კიდევ შეიკვრება, სულსწრაფი ნუ ხარ!

მცირე და თბილი წრე გერჩიოს დიდსა და მდუღარს.

ის დიდ-დიდებიც იშლებიან, არ გადის ხანი.

ნეტავ შენ ერთი! ეგენიც და მაგათი რჯანი!

იქით გახედე! კუდიანთა მთელი დასია, გაშიშვლებულან, ტანზე მხოლოდ ბებრებს აცვიათ.

მე დამდე ხათრი, შეესიტყვე, მღიმარი მიდი, რა გენადვლება - მცირე გარჯა, სიამე დიდი!

ამოხმინდნენ საკრავებიც ათასი ჯურის, სმენას ახშობენ, შევაჩვიოთ როგორმე ყური!

ან იქნებ ჯობდეს, შევერიოთ, ვსინჯოთ ყველა ხმა!

მოდი, მომყევი, დაგანყვილო უნდა ხელახლა!

მცირე წრე-მეთქი - და გახედე, რა კიანთია, მხოლოდ ამ რიგში ასრამდენი ცეცხლი ანთია!

მღერენ, ღრეობენ, დაცეკვავენ, აფრქვევენ ხალისს, სიყვარულობენ, - უკეთესსაც რას ნახავს თვალი!

ფაუსტი

სანამ წარმადგენ, შენდათავად როგორ წარდგები?

შენივე სახით? თუ ნილაბი გაქვს მოსარგები?

მეფისტოფელი

აქ ინკოგნიტოდ ვერ დავრჩები, ვალი ვალია, ყველა ორდენი უნდა ჩანდეს და რეგალია.

თუმცა ორდენი ლეკვერთხისა[69] არ მიკეთია, აქ ცხენის ფლოქვი ჯინჯილებზე ბევრად მეტია.

იმ ლოკოკინას ხომ უყურებ! მოდის წვალეებით!

არადა, მიცნო! აქ ვერავის დავემალეები.

კოცონებს დავყვით, ავი გსურდა ხალხში გარევა, შენ სასიძო ხარ, სიყრმე გშვენის, მე მეჭვარე ვარ.

(მიმართავს რამდენიმე მოხუცს მიმქრალ კოცონთან.) ბერიკაცებო, იყავით მაგრად!

ვერ მოგიწონებთ, არ სხედხართ ლხინად!

უნდა იფეთქოთ, სიყრმისა დაჰკრათ, ბებრული თვლემა გეყოფათ შინაც.

გენერალი

რას შევალე ცხოვრება მთელი!

ბრბოც ის ყოფილა, რაც არის ქალი, მტლედაც დაედო, არ ახსოვს ძველი, მუდამ ახლებზე უჭირავს თვალი.

მინისტრი

დღეს სასიკეთო არა ხდება რა, რას ვამყნიდით და რა გამოება!

ცხოვრების ჩალხი ჩვენ რომ გვებარა, აბა, ის იყო ოქროს დროება!

პარვენიუ

ჩვენც გვიცხოვრია, არ გვაკლდა ჭკუა, ჩვენც ვაკეთებდით, რაც არა ხამდა.

გაქრა ის ჟამი თვალს და ხელს შუა.

მობუზულები მივათრევთ ზამთარს.

მწერალი

ვინ დაგაფასებს, თუ ცოტა ღრმაც ხარ, მხოლოდ ღლაბუცზე არ გადახვედი!

ახალთაობის არ მიყვარს ლანძღვა, მაგრამ საიდან - ასე თავხედი?

მეფისტოფელი, უეცრად მიხრწნილ მოხუცად იქცევა

ვეჭვ, ბროკენობას მოვესწროთ შემდეგს, განკითხვისათვის მწიფს ეს ქვეყანა.

რაც ჩემი კასრი დავიდა მთხლემდე, მთელი სამყარო ძირს დაექანა.

მეწვრილმანე კუდიანი

აქეთ მობრანდით, ბატონებო, გვერდს ნუ ამივლით!

ნაირ-ნაირი საქონელი მაქვს მოტანილი.

აიღეთ რამე! არჩევანი ძალზე დიდია!

არც ერთი ნივთი, ცოდვა-ბრალი რომ არ ჰკიდია!

არა ფიალა სანამლავთან გაუკარები!

არა ხანჯალი, კაცის გულში გაუტარები!

რაც სამკაული - გაპოხილი ცთუნების შხამით!

რაც დაშნა - ზურგში ჩაცემული მოძმისთვის ღამით!

მეფისტოფელი

დიდუდაჩემო, დაგიძველდა ეგ ხარახურა, უნდა ისეთი გამოჩხიბო, რაც არ ნახულა.

ფაუსტი

რა ძველიც არის, მაინც მამღვრევს ეს უაზრობა.

გმადლობთ, დიაცო! ჩინებული ვნახე ბაზრობა!

მეფისტოფელი

გამოვეცალოთ, ჯელგმა მოდის აღმა მდინარი!

რომ გეგონება, მოისროლე ვიდაცა ბრძოლით, ხედავ, თვითონ ხარ მოსროლილი...

ფაუსტი

ის იქ ვინ არის?

მეფისტოფელი

ის? ლილითია.[70]

ფაუსტი

ვინ?

მეფისტოფელი

ადამის პირველი ცოლი.

რა თმა აქვს, ნახე! სილამაზით დამსხმელი რეტის!

სამკაული და საფარველი რად უნდა მეტი!

გაფრთხილდი, თვალი არ უსწორო ვნებით აღვსილმა, ვინც მაგის თმაში გახლართულა, ველარ დახსნილა.

ფაუსტი

იქ ორნი სხედან, ლამაზმანი და დედაბერი, ხტომით დაღლილან, ისვენებენ მდელოზე ახლა.

მეფისტოფელი

ნამო, ვეცეკვოთ, რამეც ვუთხრათ მათი საფერი.

დღეს აქ რას ჰქვია დასვენება! რას ჰქვია დაღლა!

ფაუსტი, ცეკვავს ლამაზმანთან ერთად

სიზმარი ვნახე, რისია, მითხარ, უცხო წალკოტში ვაშლის ხე იდგა, ბე-ბედან ვაშლი მოესხა წყვილი, უმალ ავძვერი, მეგემა ხილი.

ლამაზი კუდიანი

გიზიდავთ კაცებს ვაშლი მაცთური, სამოთხის ხეა მაგის დასტური.

წალკოტსა ჩემსა კარი აქვს ღია, აქაც იმდარი ვაშლები სხია.

მეფისტოფელი, ცეკვავს დედაბერთან ერთად

სიზმარი ვნახე, რისია, მითხარ, ხრიოკ მინდორზე ხმელი ხე იდგა, ღრუ ჰქონდა ქვედან, ლირნი რამ იყო, მაინც თვალი და გული წამიღო.

დედაბერი

რაინდო, ფლოქვი გიხდება ცხენის, სიტყვაა, გშვენის, საქმეა, გშვენის.

მანდ რომ საოხრე გკიდია მრუში, უნდა პირდაპირ შეჩარო ღრუში.

პროექტოფანტაზმისტი[71]

ერთხელაც იყო, დაგიმტკიცეთ, მე მგონი, კარგად, თუ სულელები ხართ, ესე იგი, ხელ-ფეხი არ გაქვთ.

აქ კი რას ვხედავ! ვაცთა მსგავსად როკავთ, წყეულნო!

დაიმახსოვრეთ სამუდამოდ - ხართ უსხეულო!

ლამაზი კუდიანი, ცეკვავს

ვინ ოხერია, ჩვენს ზეიმზე რა ესაქმება?

ფაუსტი, ცეკვავს

ეგ ყველგან არის, ყველგან ასწრებს კვალის გაგნებას.

სხვები ცეკვავენ, ეს აფასებს გულმოდგინებით, შეფასება კი იმას ჰქვია, იკლებს გინებით.

თუ რამე საქმე წინ წავიდა, ერევა ბრაზი, დახავსებულს და ობმოდებულს კრუხივით აზის.

ვინც და რაც არის, უნდა იყოს ძველზე მისკვნილი, უქმად ბრუნავდეს, როგორც მაგის ძველი წისქვილი.

პროექტოფანტაზმისტი

თქვენ ისევ აქ ხართ? დროზე გაქრით, ნუ მაბოროტებთ!

აზრს ვერ შემიცვლით უწესრიგო თქვენი ფართქალით.

განქარდით-მეთქი! შეცნობილი მყავხართ ბოლომდე, ვერ გამაცურებთ, არ მერევა ტყუილ-მართალი.

ერთი ეგ არის, როცა ტეგელს ჩავდივარ ხოლმე, მოჩვენებები მეხვევიან, წავლენ და მოვლენ...

მაგ ამბებისგან, ხანი გახდა, განვკურნე თავი.

ნუთუ კვლავ ის ხართ? მაუნყებნი შეტევის მწვავის?

ლამაზი კუდიანი

ველარ გაჩერდა!

პროექტოფანტაზმისტი

ძალაც შემწევს! მიჭრის გონებაც!

სულთა კირთებას ჩემი სული არ ემონება!

(ცეკვა გრძელდება) დღეს რაღაც რიხი შემომაკლდა, მიჯობს, წავიდე.

ვისთან გაქვთ საქმე, ცოტა ხანში გამოცდით მაგას!

არ შეგეშვებით, მსურს იცოდეთ ეს ამთავითვე!

ქაჯ-ემშაკებსაც, პოეტებსაც ამოგდებთ ლაგამს!

მეფისტოფელი

ახლა პირდაპირ გუბისკენ მიდის, ჩაჯდება შიგ და - ხილვებო, ჩაცხრით!

სულეებთან ომში სულს ითქვამს რითიც -

ზედ სასკორავზე წურბლების დასხმით.

(sacekvaio wridan gamosul fausts) როგორ მღეროდა ის შენი გოგო!

მიატოვე თუ მან გაგირიდა?

ფაუსტი

კარგად მდებროდა, ვერას იტყვი! ეგ იყო ოღონდ, წითელი თავი ამოუხტა უცებ პირიდან.

მეფისტოფელი

მაგან დაგაფრთხო? დახტუნავდით ფეხანყობილად.

წითელი იყო, თალხისფერი ხომ არ ყოფილა!

მთავარი საქმე ნავიდოდა თავისი რიგით...

ფაუსტი

კიდევ რა ვნახე...

მეფისტოფელი

რა?

ფაუსტი

მეფისტო, გახედე იქით!

ლამაზი ბავშვი, შორს, თავისთვის... ფერი წასვლია...

ჩემი გრეტხენი გეგონება, სრული ასლია.

ოღონდ ფეხები შეკრული აქვს, ბორკილი ადევს...

მეფისტოფელი

მკვდარი კერპია, მოლანდება, სიცრუის ბადე!

თვალი არიდე, სისხლს უყინავს ძარღვებში მოკვდავს, ქვად უქცევია, ვისი მზერაც ახლოდან მოხვდა.

მედუმა გორგო[72] ხომ გსმენია? ჰოდა, ის არის.

ფაუსტი

რა გაყინული თვალეები აქვს... მართლა მკვდრისანი...

თან გრეტხენია! ყველა ნაკვთი - იმისეული!

ჩემი კოცნებით დაფარული იმის სხეული!

მეფისტოფელი

ჯადოქრობაა, გონს მოეგე, ასე ნუ ღელავ!

ვინც არ იხილავს, თავის სატრფოს ხედავს სუყველა.

ფაუსტი

თვალს ვერ ვაცილებ, ვერ ველევი იმ ნეტარ ტკივილს!

ერთად გაცოცხლდა ყველაფერი, მწარეც და ტკბილიც.

ნახე, ზედ ყელზე მონითალო ზოლი ავლია...

მეფისტოფელი

პერსევსმა თავი რომ მოჰკვეთა, იმის კვალია, ტანს არ შეზრდია, ისევ ისე დარჩა მოჭრილი.

სურს და გაივლის იღლიაში თავამოჩრილი.

კარგი, ნუ გიყვარს მიკორძება მაგ შენს ტკივილთან, სერზე ავიდეთ, გადავხედოთ მთელ ამ სამყოფელს.

გიმზიმებს ხალხი, მოხორხოცე და მოლაღობე, გეგონებოდეს, სასეირნოდ პრაქერს[73] მივიდა!

მანდ, შორიახლოს, სათეატროც მიდის მზადება.

ვკითხოთ, რას დგამენ, სასიამო რა გვექადება.

სერვიბილისი

პრემიერაა, შვიდთაგან ბოლო, უთამაშები ეს დაგვრჩა მხოლოდ.

თვალი შეგვავლეთ, დავინყებთ ახლავ, გულის დადებას არ გთხოვთ სრულებით, მოყვარულისგან შეთხზული გახლავთ, ითამაშებენ მოყვარულები.

გტოვებთ, მეცა მაქვს უინი ფარული, ფარდის აწვეის ვარ მოყვარული.

მეფისტოფელი

კარგია, ბლოკსბერგს რომ ვერ ელევით, რომ ხართ ნამდვილი ბლოკსბერგელები.

ვალპურგობის ღამის სიზმარი ანუ ობერონისა და ტიტანიას ოქროს ქორწილი  
[74]

(ინტერმეცო) თეატრის დირექტორი

დღეს მიდინგის[75] ქველნი ძენი

ვისვენებთ და ვერთობით, ეს ტევრია სცენა ჩვენი, ეს ჭალა და ფერდობი.

ჰეროლდი

ოქროს ქორწილს იმით ვაქებ, არას შეგყრის შარიანს, საჩხუბარი ყველა საქმე  
უკვე ნაჩხუბარია.

ობერონი

დღეს მეფე და დედოფალი

უღლდებიან თავიდან.

დაულოცეთ გზები ხვალის, რაც ნავიდა, ნავიდა!

პუკი

როკვა-როკვით მოხტის პუკი, მხიარული დრო გველის, უკან მოსდევს პაკაპუკით  
კიდევ ასი მროკველი.

არიელი

მღერა-მღერით ვუხმობ ქალებს, შესდგომიათ ფართქალი, ყველა ერთად  
მოფართქალებს, თვალადი თუ ართვალადი.

ობერონი

გგინდი, ცოლო, გგბაძი, ქმარო, გესმათ ჩგინი შეგონება: ჟამ-ჟამ უნდა გაიყაროთ,

გაგიტკბილდეთ შეკონება.

ტიტანია

თუ ცოლქმრობას რამე ამღვრევს, ეგე საქმე მოაგვარებს: გაიგზავნოს ცოლი სამხრეთს, ქმარი სადმე ჩრდილო მხარეს!

მთლიანი ორკესტრი

(ფორტისიმო) კოლო არის, ბუზი არის

თუ ჭრიჭინა ბრძანდება, სამყვარეთიც, ყველა მყვარი, სხედან ორკესტრანტებად.

სოლო

ეს კი გუდა გახლავთ სტვირის, ან, უბრალოდ, ბუშტი საჰნის.

თუ ყვირის და - უშვერს ყვირის, თუ უკრავს და - სმენას ჩხაჰნის.

ვერდასრულებული სული

ქინქლის ფრთები, ფაშვი მყვართა, ფეხები აქვს ბაბაჯუის.

სულდგმულია განა მართლა, ლექსია და გაბმით ბზუის.

მოხტუნავე ნყვილი

მოკლე სკუპით, „ჰოპლა-ჰოთი“, დავხტუნაობთ მინდვრად, ფრენა მაინც არ გამოდის, ხტი, რამდენიც გინდა!

ცნობისმოყვარე სული

იქნებ ლანდურ თამაშს ვერთვი, ლანდურია ეს ხატებაც?

თუ ელფების კოხტა ღმერთი, ობერონი, მეცხადება?

ორთოდოქსი[76]

ვერ გავიგე, რაზე სწყალობთ!

ნატვრით მიაჩერდებით!

ემშაკია უკუდბრჭყალო, ვით ელინთა ღმერთები.

ჩრდილოელი ხელოვანი

ჩანაფიქრებს, მონახაზებს

ვერ ვაღირსე დამთავრება.

დროით მინდა გასვლა გზაზე, იტალიას გამგზავრება.

პურისტი[77]

შაბაშია, ვხედავ, სრული, კუდიანნი სხედან ჯარად, მაგრამ შესვრილ-შეპუდრული

ორი ჩანს და მეტი არა.

ახალგაზრდა კუდიანი

სათხიპნარებს მე არ ვისვამ, ბებრის გარდა ვისა სცხია!

შიშვლად მოველ, მალვა რისამ

არ მჭირდება ფერხორციანს.



ხნიერი დედაკაცი

რაც ჩვენ ვნახეთ სანახავი, ცხოვრებაში ვერ იხილავ!

შენც დაგიზრობს სუსხი ყვავილს, შენც გახდები ჩვენი კბილა!

კაპელმაისტერი

დაისჯება კოლო-ბუზი, ვინც შიშვლებში გაფრინდა!

შენც, ჭრიჭინავ, ხეში უსვი, ნუ ამოხტი ტაქტიდან!

ფლუგერი, აქეთ

ვაჟთა კრებავ, დასნო ქალთა, წყვილნო სასძლო-სასიძონო, დაგაფართო ბენამ კალთა, ია კრიფოთ, ვარდი კონოთ!

ფლუგერი, იქით

დურბელა და შავი ჭირი, ვაჟთა კრებავ, ქალთა დასნო!

მინამ გიყოთ ყველას პირი, ჯოჯოხეთი შემოგაგზნოთ!

ქსენიები[78]

მწერები ვართ პატარა, ვიკბინებით მწარედ.

ჩვენი მამა, სატანა, ამბობს: „გაიხარეთ“!

ჰენინგსი[79]

დაგწამებენ ბოროტს, დაგსისხლავენ კბენით, დაგმღერებენ ბოლოს: „კარგი გულით ვქენით“!

მუსაგეტი

კუდიანთან ყოფნა მიჯობს

ცხრავე მუზის მშუქარებას, ეღრიჯო თუ არ ეღრიჯო, ყველა გახლავთ უკარება.

ჩავლილი დროის გენია

უნდა ბროკენს დავესახლო, სხვა სამყოფი არ მაქვს.

გაუმარჯოს ბროკენს, ხალხო, ჩვენს გერმანულ პარნასს!

ცნობისმოყვარე მოგზაური

ეს ვინ არის, ასე ჭიფხი?[80]

სნეული ჩანს მძიმე სენით.

დაგყნოსავს და შვებით იტყვის: „იეზუიტს მივაგენი“!

ყანჩა[81]

მღვრიე წყალი, წმინდა წყალი -

ყველგან ჩემი ფაცურია, თუ მატყვია ეშმას კვალი, სათნოებაც მანერია.

ერისკაცი[82]

ვიცნობ მაგათ სათნო წრიალს, უყვართ ხალხის წაჩხუბება, ბროკენზედაც მოუწყვიათ

ათასგვარი დაჯგუფება.

მოცეკვავე

ეს აქ რისი კიაფია?

ასე მწყობრად რა ხმოვანებს?

იშხვარების „პია-პია“

მოსდებია ლერწმოვანებს.

ტანცმაისტერი

ვის რა ცეკვაც გამოუდის, ფეხებს იქნევს ყველა ჯური, როკავს კოჭლი, ბუქნავს კუტი, დანარნარებს უჭმაჯური.

მეჭიანურე

აქ რა ხდება, მითხრას ვინმემ!

ერთმანეთი როგორ წენეს!

მხოლოდ სტვირი აშოშმინებთ, ვით ორფევისის ქნარი მხეცებს.

დოგმატიკოსი [83]

ვერ დავევები ვერა სკეპსისს, ჩემი რწმენის სანაცვლოდ.

ეშმაკია, ვჭვრეტ და მესმის, მაგრამ ცნობით არა ვცნობ.

იდეალისტი[84]

სამყარო და მისი ხმევა

სუბიექტის არის ხილვა.

რაც აქ ხდება, ეს თუ მე ვარ, დღეს ჭკუაზე არ ვყოფილვარ.

რეალისტი[85]

უხიაგად წამოვეგზენ, რაც ეს ეშმა შემეყარა.

დღეს პირველად ორსავ ფეხზე

ვეღარ ვდგავარ ისე მყარად.

სუპერნატურალისტი[86]

აუხსნელი რაც მრჩებოდა, აქ წავადექ ახსნილს: კეთილ სულთა არსებობას, ამ ავსულით ვასკვნი.

სკეპტიკოსი

თუ ეშმაა ნამდვილი, ეჭვთა სრული ხატება, უკეთესი ადგილი

აღარც მომენატრება.

კაპელმაისტერი

გამოგცლია არაქათი, მყვარი ხარ თუ მწერი ხარ!

მუსიკოსთა მარაქაში

დილეთანტად წერიხარ!

ფხიანები[87]

როგორც გვინდა, ისე ვწირავთ, ლაღნი ვართ და მხიარულნი, თუ დაგვჭირდა, თავდაყირაც

შეგვიძლია სიარული.

უფხონი[88]

დავეჩვიეთ გზად ხეტიალს, განვდილი გვაქვს ცალი ხელი.

ხამლი ცეკვით გაგვცვეთია, დავტანტალეხთ ფეხშიშველი.

ჩამქრალი მეტეორიტი[89]

ვარსკვლავეთში მედო წილი, ვფრენდი თვალთა სალხენად.

ბალახში ვარ ჩამხობილი, არვინ წამომაცენა.

მოციაგე ალები[90]

ვართ ჭონჭყოთა ბინადარნი, ჭაობებში ვიმალებით, მაგრამ ყველას, ვინც მანდ არი, ვჩრდილავთ ჩვენი ბრწყინვალეობით.

სქელები

ჩამოდექით! აბა, განი!

სხვა ბილიკზე იციმციმეთ!

სულნი მოვალთ ზონზროხანი, სქელ-სქელი და მძიმე-მძიმე.

პუკი

სად მოიწევთ! ნუ გვანყდებით

სპილოების ჯოგივით!

არ დაიხევთ თქვენი ნებით, პუკი ვარ და მოგივლით!

არიელი

აისს ვხედავ ძონებიანს, აიშალე, ჩრდილთა ჯარო!

ვისაც ფრთები გვბოძებია, ვარდის მთაზე გავეჩქაროთ!

ორკესტრი

(ფორტისიმო) შეუფაკლავს ნისლი რიჟრაჟს, მზე ამოდის ოქროს სვეტად, ლერწმოვნებში ქარი იძრა, ყველა ლანდი მიმოხვეტა.

ცრიატი დღე. მინდორი

[91]

ფაუსტი, მეფისტოფელი

ფაუსტი

განწირული! იმედგადაწურული! - დიდხანს საბრალობლად დახეტილობდა მიწის პირზე და ახლა დილეგშია! ეს სათნო და სათუთი არსება ბოროტმოქმედივით საპყრობილეშია გამომწყვდეული, საბარელი ტანჯვისთვის გამზადებული! სადამდე მისულა საქმე, არა, სადამდე მისულა! და შენ, უღირსო, დალატეულო სულო, შენ ამას მიმაღავდი! იდექი, ჰო,

იდეჟი, ატრიალე შენი ტარტარობული თვალები, მაგ ბილნი თავიდან გადმოყვლეპილი!  
მათმენინე შენი გულისშემალონებელი ყურყუტი! საპყრობილეშია! და კიდევ უარესის  
მოლოდინში! ბოროტ სულთა საჯიჯგნად დატოვებული, კაცთა უსულგულო სამართალს  
გადაცემული! შენ კი ამ დროს უხამსი ლაზღანდარობით ცდილობ ჩემს შექცევას, ვერ  
შევიტყო მისი ამოუთავებელი ტანჯვა-წამება, ისე დაიღუპოს, ხელიც ვერ გაუწოდო!

მეფისტოფელი

იგი პირველი არ არის.

ფაუსტი

უ, შე ძაღლთაპირო! უ, შე მაჭლაჭუნავ! გვედრები, დაუსაბამო სულო[92], ჩააბრუნე ეს  
უხსენებელი თავის ძაღლურსავე გარსში, რომლითაც ღამღამობით მეცხადებოდა ხოლმე  
და გარიგარ დანრიალედა! ფეხებში ებლანდებოდა უწყინარ მგზავრებს,  
წააფორხილებდა, მხრებზე ჩამოეკიდებოდა! დაუბრუნე თავისი სანუკვარი სახება, ისევ ისე  
მუცლით ახოხე მიწა-მტვერში ჩემ წინაშე, რომ ფეხქვეშ ამოვიდო ეს უწმინდური, წიხლებით  
გადავუარო! „პირველი არ არის“! უბედურება! უბედურება! კაცის სულში მსგავსი რამ არც  
გაბოგინდებოდა! თურმე მით უკეთესი, რომ იგი ერთადერთი არ არის და მაგ ცოდვის  
მორევში სხვაც ბევრი დანთქმულა! რომ იმ პირველისაგან გაღებული მსხვერპლი  
საკმარისი არ აღმოჩნდა მარადმიმტევებლის თვალთა წინაშე ყველა დანარჩენის  
გამოსახსნელად! მე მაგ ერთადერთის სიბრალულით გულ-ღვიძლი მეთუთქება, ეს კი  
დამდგარა და ღმეჭით მანუგეშებს, რომ ასეთი რამ კიდევ ათასთა ხვედრია!

მეფისტოფელი

აჰა, იმ ზღვარსაც მივდგომივართ, კაცთა მოდგმას რომ გონება ებინდება. რაღაზე  
გვეტორღიალეობდი, თუ მეტის ატანა არ შეგეძლო? ფრენას ეპირები და იმის ილაჯიც ვერ  
გიპოვია, თავბრუ არ დაგესხას? ვინ ვისკენ მიიბრძოდა, ჩვენ - შენკენ თუ შენ - ჩვენკენ?[93]

ფაუსტი

ნუ მიკრეჭ მაგ მოკანკანე კბილებს, გული მერევა! ჰოი, დიადო, სასწაულმოქმედო სულო,  
შენ, რომელმაც ღირსმყავი, შენი სახე მეხილა, შენ, რომელიც ჩემს სულსა და გულში  
იხედები, რისთვის გადამაჯაჭვე ასეთ უღირს თანამგზავრს, თვალი რომ მხოლოდ სიავესა  
და წაწყმედაზე უჭირავს?

მეფისტოფელი

დაამთავრე?

ფაუსტი

იხსენი, თორემ ვაი შენს დღეს! წყევლა და კრულვა ათასი და კიდევ ათასი წელი!

მეფისტოფელი

მე არ შემიძლია, გავხსნა მსჯავრმდებლისაგან გავვანძული ნასკვი, ავხსნა კარს მისგან  
დადებული ურდული. გამოჰგვარეთ! საპყრობილიდან გამოუყვანეთ! ვინ ჩააგდო მაგ  
დღეში, მე თუ შენ?

ფაუსტი

(გამმაგებული თვალებს აქეთ-იქით მიმოატარებს.) მეფისტოფელი

მეხს ეძებ, თავზე რომ დამატეხო? კიდევ კარგი, ბედკრულ მოკვდავებს ეგ ძალა არ  
გბოძებიათ. მტარვალის წესია, მუსრი გაავლოს ყველა უდანაშაულოს, როცა სხვა პასუხი  
არა აქვს.

ფაუსტი

წამიძეხი! უნდა საპყრობილიდან გამოვიდეს!

მეფისტოფელი

მერედა, თავი იმოდენა ხიფათში გინდა შერგო? იცოდე, შენი სისხლიანი ცოდვის კვალი ქალაქში ჯერაც არ წაშლილა! მკვლევლობის ადგილს შურისძიების სულები დასტრიალებენ და მკვლელის დაბრუნებას ელიან.

ფაუსტი

და მაგას შენ მეუბნები? ქვეყნიერების ყველა ჭირი და სნება შენს თავს, შე ურჩხულო! წამიძეხ-მეთქი და საპყრობილიდან გამომახსნევენ!

მეფისტოფელი

კარგი, წავიდეთ. ოღონდ ისიც მინდა იცოდე, რისი გაკეთება შემიძლია. მე ხომ არ მაბარია ცა და ქვეყანა? მედილეგებს ბურანს დავცემ, აიღე გასაღები და შენით, შენი კაცური მარჯვენით, გამოიყვანე, მე კართან დაგელოდები. ჯადოსნური ცხენები მზად მეყოლება, რომ იქაურობას გაგარიდოთ. მაგდენი შემიძლია.

ფაუსტი

გავეშუროთ!

ღამე. ტრიალი მინდორი

ფაუსტი და მეფისტოფელი შავი ცხენებით მიგელავენ

ფაუსტი

ის რა გნიასია, იმ შიშველ ადგილთან?

მეფისტოფელი

ჰგავს, საქონდაქრეა, შეეშვი, რად გინდა!

ფაუსტი

დაფრენენ, ბრუნავენ, შექმნიათ ფართქალი.

მეფისტოფელი

გრძნეულთა დასია, აღქაჯთა ამქარი.

ფაუსტი

ჩიბავენ, ქარჩხავენ, რაღაცას ფანტავენ.

მეფისტოფელი

გავწიოთ, ნუ გინდა! მიუშვი სადავე!

საპყრობილე

[94]

ფაუსტი, შერკინული კარის წინ, ხელში გასაღებების ასხმითა და სანათით

ძრწოლა დამეცა! ოდინდელი! გადაჩვეული!

ყველა ტკივილმა, კაცებრივმა, იხმია ძალა!

აქ, ამ ნოტიო კედლის იქით ზის ბრალეული, არადა, სრული სიგიჟეა, რაც ადევს ბრალად.

ყოყმანობ? ვეღარ ენახვები? გემწარა შხამი?

იჩქარე! სიკვდილს უახლოვებს ყოველი წამი.

(საკეტს სინჯავს) სიმღერის ხმა, შიგნიდან

დამკლა ნაბობარმა[95]

ჩემმა დედამაო, ჩემმა გარენარმა

მამამ შემჭამაო, ძვლები შეაგროვა პატარა დამაო, გრილოში დააწყო, ცრემლებით ლამაო.

ჩიტად ვიქეციო, გავფრინდი ტყეშიო, გადავრჩი ღვთითო.

იფრინე, იფრინე, ლამაზო ჩიტო!

ფაუსტი

არც იცის, სატრფო ყურს რომ უგდებს შემოპარული, ჩალის შრიალიც გამოესმის, ჭაჭვის უღარუნიც.

(შედის) მარგერეტე, საწოლზე გადაემხობა

ვაიმე! მოვიდნენ! სიკვდილი! სიკვდილი!

ფაუსტი, ხმადაბლა

ჩუმად! ნუ ყვირი, გაადვიძებ მძინარ დარაჯებს!

მარგერეტე, მუხლებში ჩაუვარდება

დამინდე! შეგბრალდე! ვარ სასომიხდილი!

ფაუსტი

მოველ, დაგიხსნა, გამოგტაცო მაგათ განაჩენს!

მარგერეტე, დაჩოქილი

ვინა ხარ?

ვინ მოგცა უფლება, რომ ასე ძალადობ?

ჯერ შუაღამეა, ჯერ დრო მაქვს დილამდე, ჭალათო!

დილაც გეშორა? არ წამოგყვები ნებით!

(წამოდგება) უდროოდ ვკვდები, გესმის, უდროოდ ვკვდები!

ლამაზიც ვიყავი მე საწყალობელი, დამღუპა მაგან!

ის, ვინც მეგონა მეგობარი და ახლობელი, გამქრალა, წასულა სხვაგან.

გვირგვინი ძირს გდია დაშლილ-დაფურცლული, ვარ ყოვლად უძლური.

ნუ მტკენ, გამიშვი, ისიც მეყოფა, რაც მერგო ხვედრად!

რა დაგიშავე განა ასეთი, პირველად გხედავ!

ფაუსტი

რითი გავუძლო, როგორ შევძლო ამის ატანა!

მარგერეტე

მადროვე, ჯალათო, ჯერ უნდა ვაწოვო პატარას, არ გესმის, ძუძუს რომ ითხოვს?  
გულში მეხუტა მთელი ღამე, ამართვეს, წამართვეს, დამწამეს, მე მოვკვალ თითქოს.  
გამომალექსეს, ქვეყნად რა დაღვეს ბოროტს, დადიან, გამღერენ გზად.

ის მომაკერეს, იმ ძველი ზღაპრის ბოლო! [96]

საიდან სად?

ფაუსტი, დაიჩოქებს

აჰა, შენს ფერხთით ვარ დაიჩოქილი, უნდა საჩქაროდ აგხსნა ბორკილი.

მარგერეტე, მუხლებზე დაეცემა მის გვერდით

ჰო, დავიჩოქოთ, ერთად ვილოცოთ, რაკი მოხვედი!

უსმინე, ზღურბლქვეშ რა გუგუნია, დულს ჯოჯობეთი!

ფაუსტი, ხმამალლა

გრეტხენ! გრეტხენ!

მარგერეტე, მიაყურადებს

მეგობრის ხმაა!

(წამოხტება, ბორკილები ძირს დაცვივა.) გამოხსნილი ვარ!

ცხრება ქვესკნელი!

ის არის! გულში ჩავეკვრები! მკერდს დავესკვნები!

- გრეტხენ! - მეძახის, აქვეა, ზღურბლს უკან დგას!

ჯოჯობეთური ცეცხლის გრიალში, ბოროტეულთა ორომტრიალში

ვცნობ ძვირფას, სანატრელ ხმას!

ფაუსტი

მე ვარ!

მარგერეტე

შენა ხარ? კიდევ მითხარ, კიდევ ერთხელაც!

(გულში ჩავეკვრება) ახდა! გადავრჩი! კვლავ აქა ხარ! ჩემთან ბრუნდები!

აღარაფერი ამის მეტად არ შემემთხვევა, სად გაქრა ძრწოლა დილეგისა? ბორკილ-  
ხუნდები?

ისევ ის ქუჩა, სადაც შევხვდით! სახლი, მდელობი!

პატარა ბაღი, მე და მარტა სადაც გელოდით!

ფაუსტი, აჩქარებული

ნუღარ ვაყოვნებთ!

მარგერეტე

ჯერ დაიცა, ცოტაც მადროვე!

დანატრული ვარ შენთან ყოფნას, მკლავს სიმართოვე.

ფაუსტი

აჩქარდი! ძვირად დაგვიჯდება დროის დაკარგვა!

გრეტხენი

კოცნა რა უყავ, აღარ მკოცნი? ხსოვნაც აღარ გაქვს?

(ეფერება) ასე უეცრად დაგავიწყდა კოცნაც, ფერებაც?

ცა მესხნებოდა! ისევ ის ხარ? არც მეჯერება!

ხვევნიტ მახრჩობდი, ვნება გქონდა დაუყუჩები.

მაკოცე, თორემ მე გაკოცებ!

(ჰკოცნის) რა ცივია შენი ტუჩები!

რა იქნა შენი სიყვარული? სად დასამარდა?

შენი თავი ვინმემ წამართვა?

ფაუსტი

წამომყევ, ძალა მოიკრიბე, გთხოვ, გევედრები!

დროზე დავტოვოთ ამ საბარი ციხის კედლები.

ასმაგად უფრო მეყვარები, ალერსში დაგნთქავ!

წამო, ძვირფასო...

მარგერეტე, პირს მიიბრუნებს

ეს შენა ხარ? შენა ხარ მართლა?

ფაუსტი

მე ვარ, წამოდი!

მარგერეტე

ბორკილები უკვე ამხსენი, გულშიც მიხუტებ, მომიმზადე გზა წასასვლელი.

ნუთუ არ გაფრთხობ? მეძალები მოუთმინარი.

ვის გამოხსნასაც ეპირები, იცი, ვინ არის?

ფაუსტი

დამე ილევა, ნუ ახანებ! დაღუპვა გველის!

მარგერეტე

იცი, ვინ არის? ჩემი ხელით მოვწამლე დედა!

შვილი ტბორშია, ჩვენი შვილი! ვარ მისი მკვლელი!

შენც, შენც გეჩუქა!

ეს შენა ხარ?



თუ სიზმარს ვხედავ?

ხელი მომეცი! საყვარელი, ძვირფასი ხელი!

მაგრამ ზედ სისხლის შხეფებია! საიდან გაჩნდა?

ღმერთო, რა ქენი, ეს რა ქენი! ჩააგე დაშნა!

ფაუსტი

კარგი, მაკმარე, თუ არ გინდა მოვკვდე ახლავე!

მარგერეტე

არა, შენ დარჩე უნდა ცოცხალი, მიხედო საფლავებს.

აი, აგისხნი, დაიხსომებ, რა როგორც არი.

პირველი დედის საფლავია, მის მერე - ძმისა, ხვალვე, დილითვე, მეც იქ უნდა გამიჭრა მიწა.

ჰო, ცალკე, მათგან მოშორებით, ჩემს საფლავს გაჭრი, ოღონდ ძალიან შორსაც არა! და მკერდთან, მარჯვნივ -

ჩემი პატარა! სხვა არავინ, არავინ გვერდით...

როგორ გეკროდი! ნეტარების აღმურში მხვევდი.

გახსოვს? არ გახსოვს! აღარა გაქვს ის გული ჩემზე.

ისე ვერასდროს ჩამეხვევი... მეც ველარ შევძლებ...

არადა, თითქოს ისევ ის ხარ, კეთილი, თბილი...

ფაუსტი

თუ გრძნობ, ისა ვარ, წამომყევი!

მარგერეტე

სად?

ფაუსტი

შორს აქედან!

მარგერეტე

გარეთ? იქ, გარეთ, სიკვდილია, საცა გახედავ...

ჩემი სამარე მელოდება, მარადი ძილი...

სხვაგან ფეხს ვერსად გამოვადგამ, არც მითხრა მეტად!

მიხვალ, ჰაინრიხ? მეც შემეძლოს წამოსვლა, ნეტა...

ფაუსტი

ქმენ! შეგიძლია! გზა ხსნილია, ოღონდ ისურვე!

მარგერეტე

ტყუილად მებრძვი, მაგ საწაღელს ვერ შეგისრულებ.

უცხო მხარეში ხეტიალი... ყოფნა მათხოვრად...

და ქენჯნა, ქენჯნა! რითი შევძლო მისი ჩაცხრობა!

თან, სულერთია, მომაგნებენ... ღირს ორი დღისთვის?

ჩასაფრებულა! ყველგან, ყველგან სიკვდილი მიცდის!

ფაუსტი

მაშინ მეც ვრჩები!

მარგერეტე

ჩქარა წადი!

იხსენ შენი საბრალო შვილი!

ღელეს აივლი, ტყის სიღრმეში შეჰყვები ბილიკს.

ტბორზე ძელი დევს, ის ადგილია!

იცნობ მაშინვე!

წყალში ფართხალებს!

იხსენი! იხსენი!

გადაარჩინე!

ფაუსტი

გონს მოდი! ერთი ნაბიჯი და აქედან შორს ვართ!

მარგერეტე

ბორცვთან როგორღა ჩავიარო, იმ ბოლო ბორცვთან?

ღედა ზის ქვაზე, ზის, თავს აკანტურებს, ცივი ჟრუანტელი მასხამს.

არაფერს მანიშნებს, ზის, თავს აკანტურებს, ვერ გაუღვიძია სანყალს.

დიდხანს ეძინა - შემომეშვი ჩემთან ფარულად -

ახ, რა დრო იყო! - გვესიამა, გვესიყვარულა...

ფაუსტი

რაც გემუდარე, რაც არ გითხარ, ვერ გაგაგონე!

ძალით ნაგიყვან, აღარ დამრჩა, ვხედავ, სხვა ღონე!

მარგერეტე

დამეხსენ, თავი დამანებე! გამიშვი ხელი!

მტკივა, ნუ მახრჩობ!

რაზე მახრჩობ, თუ არ ხარ მკვლელი!

აკი ყველაფერს გისრულებდი დაუყვედრებლად...

ფაუსტი

უკვე თენდება! დღე მოგვისწრებს! გესმას ვედრება!

მარგერეტე

თენდება, ბოლო დღე თენდება... მიხმობს, მიჩქარის!

ქორწილის უნდა ყოფილიყო, სიკვდილის არის!

ნურავის ეტყვი, რომ გრეტხენთან იყავ ნუხელის...

ვაი ჩემს გვირგვინს! დაშლილია! რაღა უშველის!

რაც იყო, გაქრა, ნუ მადალებ, არ გამოგყვები!

კიდევ შევხვდებით, მაგრამ ველარ - ცეკვა-როკვებით.

შეყრილა ხალხი, მოედნისკენ უხმოდ დაძრულა, ბარები რეკენ, გადატეხა ჯოხი მსაჯულმა[97].

ხელებს მიკრავენ... კიდევ ცოტაც... ნაბიჯიც კიდევ...

აჰა, კუნძთან ვარ ჩაჩოქილი, ზედ თავი მიდევს.

ცულის მოქნევას გრძნობს გარშემო ყოველი კეფა...

ისეთი, როგორც სამარეში, სიჩუმე დგება.

ფაუსტი

ნეტავ არასდროს ვშობილიყავ!

მეფისტოფელი, შემოიხედავს

მეტს ვერ მოგიცდი!

თავს დაიღუპავ! ჟამიც ნახე მაგ ყბედობისთვის!

ბინდი დაიძრა, სულ ახლოა დრო გათენების!

კმარა ყოყმანი, დაგდაგებენ სუსხში ცხენები.

მარგერეტე

ეს აქ მიწიდან ვინ ამოძვრა? ის არის! მეძებს!

უთხარ, ნავიდეს! მე ვუნდივარ! გეში აქვს ჩემზე!

წმინდა ადგილსაც, ღვთის სამსჯავროს, არ ეკრძალება!

ლამობს, წამწყმიდოს! კვლავ მომაგნეს მისმა ბრჭყალებმა!

ფაუსტი

არა, იცოცხლებ! შენ იცოცხლებ! არავის მიგცემ!

მარგერეტე

შენი ვარ, უფლის სამართალო! მამაო, მიხსენ!

მეფისტოფელი

თუ არ მოდიხარ, გტოვებ, ნავედი.

მომბეზრდა, რამდენს გეძიძავები!

მარგერეტე

ანგელოზებო, წმინდანებო, ძალნო ცათანო, ფრთა დამაფარეთ, ბოროტეულს არ გამატანოთ!



ჰაინრიხ, ნადი, გზა მშვიდობის! გიცქერ და მზარავ!

მეფისტოფელი

ქვესკნელს დაინთქა!

ზეგარდმო ხმა

ცად ამაღლდა!

მეფისტოფელი

მომყევი ჩქარა!

(გაუჩინარდება ფაუსტთან ერთად.) ხმა, თანდათან სიღრმეში იკარგება

ჰაინრიხ! ჰაინრიხ!

